საქართველოს რესპუბლიკა

პარასკევი, 6 აგვისტო, 2004 წელი. №181 (4910) * გაზეთი დაარსებულია 1918 წელს, აღდგენილია 1990 წელს. * ფასი 50 თეთრი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.



◎ პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი დონალდ რამსფელდს შეხვდა

რუსეთის დუმის პროვოკაციული განცხადება მოთმინებას ვერ დაგვაკარგვინებს და მდგომარეობიდან ვერ გამოგვიყვანს. – განაცხადა ვაშინგტონში მყოფმა საქართველოს პრეზიდენტმა.

აშშ-ში არაოფიციალურ ვიზიტად მყოფი საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი პენტაგონში ამერიკის თავდაცვის მინისტრს დონალდ რამსფელდს შეხვდა.

მხარეებმა „წვრთნისა და აღჭურვის“ ახალ პროგრამაზე იმსჯელეს, განიხილეს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მშენებლობის საკითხი. საუბრის ერთ-ერთი მთავარი თემა ასევე ცხინვალის რეგიონში მიმდინარე მოვლენები იყო.

გუშინ საღამოს, თბილისის დროით 21 საათზე პრეზიდენტი სააკაშვილი „თეთრ სახლში“ პრეზიდენტ ბუშის მრჩეველს ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში კონდოლიზა რაისს შეხვდა. იგეგმება ასევე შეხვედრა ამერიკის სახელმწიფო მდივან კოლინ პაუელთან.

დღეს მიხეილ სააკაშვილი აგლანტაში გაემგზავრება, სადაც აშშ-ის იურისტთა ასოციაცია საქართველოში წარმატებული სასამართლო რეფორმის განხორციელებისათვის მას სპეციალურ ჯილდოს გადასცემს.

◎ ზაფხული – 2004

სად გაირუჯე, ქეთი? – აქვე, „ღამუნა-ვერეზე“

იხ. მე-7 გვ.

ჯემალ კასრაძის ფოტო.

ნომერში წაიკითხავთ:

როცა მომხმარებელს ძაღლადაც არ აგდებენ

მე თქვენთან სალაპარაკო არაფერი მაქვს, სასწრაფოდ მოუსვით აქედან, თორემ ძალით გაგყრითო, დაემუქრა შემმოწმებლებს ობიექტის ხელმძღვანელი. ალბათ, „კრიშის“ იმედი აქვს!

მე-3 გვ.

„კაკ, ვი ი ბრუზინკუ პრიგრელი?!“

– ქართველებიო! – იყვირა ნიკიტა ხრუშჩოვმა და ირინა მოლოსტოვას სიტყვა შეაწყვეტინა, ეტყობა, ხასიათი გაუფუჭდა და ბანკეტიც მალე დაიშალა.

მე-4 გვ.

საბერძნეთი მათ სიყვარულით მიიღებს

– გვჯერა, რომ ქართველი ოლიმპიელები სამშობლოში გამარჯვებულები დაბრუნდებიან, – ამბობს საქართველოში საბერძნეთის ელჩი, ქალბატონი კონსტანტინა მავროსკელიდუ და ათენისკენ გზას ულოცავს ჩვენი ოლიმპიური ნაკრების წევრებს.

მე-7 გვ.

◎ პარლამენტის თავმჯდომარე

როდის ეძნება რუსეთს ნორმალური ქვეყნის სტატუსი?

საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ კონფლიქტებთან დაკავშირებით რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს მიერ გუშინ მიღებულ განცხადებას და სათათბიროს სხდომაზე გაკეთებულ განცხადებას „კავკასიის რეგიონის პრობლემების გადასაწყვეტად მიხეილ სააკაშვილის თვითმფრინავის შესაძლო ჩამოგდების“ თაობაზე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ბათუმში, აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებთან და მთავრობასთან შეხვედრის შემდეგ გამოეხმაურა.

სანამ რუსეთის გარკვეული წრეები ასე იბრალებენენ, სანამ მათ ჰგონიათ, რომ მათი გადასაწყვეტია, ვინ იქნება საქართველოში პრეზიდენტი, ვის გაუშვებენ და ვის დაბრუნებენ, მანამ რუსეთს საერთაშორისო არენაზე ნორმალური ქვეყნის სტატუსი არ ექნება, – აცხადებს ნინო ბურჯანაძე.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის აზრით, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დსთ-ის ქვეყნებთან ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარეზე ანდრეი კოკოშინზე გუშინწინდელი თავდასხმა იმ ძალების მიერ იყო დაგეგმილი, რომელთაც კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარება არ სურთ. მისი თქმით, ერთადერთი, ვისაც გუშინდელი ინციდენტი ხელს არ აძლევდა, ქართული მხარე იყო, რადგანაც საქართველო ერთადერთი მომხრეა კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისა.

იხ. მე-2 გვ.

◎ პოზიცია

ქვეყნის კანონმდებლობის სრულ იგნორირებას ვერ შევურიგდებით

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის განცხადება

1996 წლის 19 იანვრის თანამეგობრობის ქვეყნების მეთაურთა სამიგზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება აფხაზეთში (საქართველო) კონფლიქტის მოწესრიგებასთან დაკავშირებით ზომების მიღების შესახებ. მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, ხელმომწერმა ქვეყნებმა (მათ შორის, რუსეთის ფედერაცია) დადასტურეს თავიანთი ვალდებულება, მხარი არ დაუჭირონ სეპარატისტულ რეჟიმებს.

სამიგის გადაწყვეტილების შესრულების მიზნით, საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 31 იანვრის და 1999 წლის 19 მაისის ბრძანებულებების საფუძველზე განისაზღვრა აფხაზეთის პორტებში უცხო ქვეყნის გემების შესვლის მექანიზმი და გემების მიმოსვლის დროებითი წესები, რომლის თანახმადაც აფხაზეთის ნავსადგურებში შესვლამდე გემების შემოწმება, საბაჟო და სასაზღვრო კონტროლი უნდა განხორციელდეს ფოთის ნავსადგურის გარე რეიდზე განსაზღვრულ კოორდინატებში.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ინფორმაცია აფხაზეთის პორტების და მიმდებარე საზღვაო აკვატორიის დაკეტვის შესახებ დაუგზავნა საქართველოში აკრედიტებულ საელჩოებს და საერთაშორისო ორგანიზაციებს, ასევე დიდ ბრიტანეთში საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციას, საიდანაც მიღებული იქნა ცნობა, რომ საქართველოს მხარის მიერ მოწოდებული ინფორმაცია გავრცელებულია მის წევრ ქვეყნებში (მათ შორის, რუსეთის ფედერაცია) და დაინტერესებულ ორგანიზაციებში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობასთან შეუთანხმებლად აფხაზეთის პორტებში მიმავალი ყველა მცურავი საშუალება, მათი ეკიპაჟის წევრები და მგზავრები, წარმოადგენენ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დამრღვევებს.

ქალაქ სოჭის პორტიდან მცურავი საშუალებების შესვლა საქართველოს ტერიტორიულ წყლებში, აფხაზეთის პორტებში, ხორციელდება საქართველოს სახელმწიფო ორგანოებთან შეუთანხმებლად, საბაჟო და სასაზღვრო კონტროლის გვერდის ავლით, შესაბამისად არ არის გამორიცხული კონტრაბანდის, მათ შორის, იარაღისა და ნარკოტიკული ნივთიერების შეტანის, ასევე ტეროროისტთა გადაადგილების ფაქტები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აფხაზეთის პორტებში ნებისმიერი სახის საგრანსპორტო მიმოსვლა, მათ შორის, საზღვაო ტურისტული რეისების განხორციელება არის პროვოკაციული ქმედებები, საერთაშორისო საზღვაო ნორმებისა და საქართველოს კანონმდელობის სრული იგნორირება.

◎ პრემიერ-მინისტრი

ზურაბ ჟვანია მზადაა კოკოითთან შესახვედრად

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას დავალებით სახელმწიფო კანცელარიის აპარატმა ედუარდ კოკოითის ადმინისტრაციას ოფიციალური წერილი გაუგზავნა, რომელშიც გამოხატულია ჟვანიას მზადყოფნა პირადად შეხვდეს თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს. საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია მოუწოდებს რუსეთისა და თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთის ხელისუფალთ, „შეეშვან პანიკურ გამოსვლებს, აჟიოტაჟს და ქართული მხარის ინიციატივებს გამოეხმაურონ“.

როგორც ზურაბ ჟვანიამ გუშინ საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო და რუსული მედია „სრული აჟიოტაჟით ხვდებიან“ საქართველოს მთავრობის ინიციატივებს, რაც, მისი აზრით, უკანასკნელ ხანებში საქართველოს ხელისუფლების გააქტიურებას უკავშირდება.

„ჩვენ ვთავაზობთ რუსეთის ხელისუფლებას და ოს სეპარატისტებს, სასწრაფოდ დაიწყოს დიალოგი ოსურ მხარესთან, მოხდეს კონფლიქტის ზონის სრული დემილიტარიზაცია, რაც რეგიონიდან სამშვიდობო ძალების გარდა, სხვა შეიარაღებული დაჯგუფებების გაყვანას გულისხმობს. ამასთან, უნდა გაიზარდოს ეუთოს კონტინგენტი ცხინვალის რეგიონში. ამ ინიციატივების პასუხად კი ოსური მხარე ქართულს შეიარაღებულ დაპირისპირებას თავაზობს“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მან კიდევ ერთხელ დააღასტურა, რომ საქართველოს ხელისუფლების კურსი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზით აღდგენაა. ამასთან, პრემიერმა გამოთქვა მზადყოფნა, ყოველგვარი დაცვის გარეშე ჩავიდეს ცხინვალში და შეხვდეს სეპარატისტული ხელისუფლების ლიდერს ედუარდ კოკოითს.

ზურაბ ჟვანიამ არ გამორიცხა, რომ პირადად ეცდება კოკოითთან საგენერალო ფონონ კავშირის დამყარებას.

ინტერ-პრესი.

◎ დროის სუნთქვა

მმობა ჭქონია, ჩვენებრ, იშვიათს!...

ერთად ვიუავით, – ღმერთის ნებისად,
ხხვა გვეოფს, გვაქვსებს –
მტკვან-მართლებად,
ხად გაგონილა შუღლი ძმებისა?
რა გვჭირს, რა მოგვდის,
რა გვემართება?!..

ძმობა ჭქონია, ჩვენებრ, იშვიათს,
დამიდასტურებს ამას წარსულიც, –
ერთად ვიუავით – ჭირში,
ლხინშიაც, –
გვირგვინს იდგამდნენ:
ძენი, ახულნი!...

და ფიცი ახლაც სახლობს ბაგეზე, –
იმ წინაპართა, გვწამდეს იმ ფიცის,
ეშმაკი, როცა შუღლით გვაქეზებს,
გამოცდა უნდა ალბათ ხიმტკიცის!...

ხიაკვმ ხიბრძნე ვერ-რით დაშრიტა! –
ვინ რა მოიგო აკთა დღეთაგან?!..
ვერაკინ წაშლის – ტკვიით, დაშნითა –
შოთა რუსთაველს, კოსტა ხეთაგათს!...

ერთად ვიუავით ომშიც, ლელოშიც, –
ამ ძმობას წლები როდი მალავენ?..
ვერაკითარი ძალა ვერ მოშლის:
ოსურ ხირნას და ქართულ ალავერდს!..

ზეცამ მომაკლის, კვლავაც იბროლოს, –
ვამზეოთ გულთა მისკლა-მოსვლანი,
ამ ხიკვარულის იეო ხიმბოლოდ –
დიდი თამარი, დიდი ხოსლანი!...

ფარნაოზ რაინაული.
ქ. თელავი.

◎ ინფორმაცია

სამშვიდობო კონტინგენტის როტაცია

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მდებარე კოდის, დვანისა და ერედვის საგუშაგოებზე გუშინ და დღეს სამშვიდობო კონტინგენტის როტაცია განხორციელდება.

როგორც „ინტერ-პრესს“ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურში განუცხადეს, მოქმედ სამშვიდობო კონტინგენტს ახალი სამშვიდობო დანაყოფი ჩაენაცვლება.

როტაცია გეგმიურია და პერიოდულად ხორციელდება.

აფხაზური მხარე არ გამოცხადდა

გუშინრხინჯის დღევანდელი შეხვედრა სამმხრივი იყო: აფხაზურ მხარეს მასში მონაწილეობა არ მიუღია. მოლაპარაკებების მაგიდასთან მხოლოდ ქართული, რუსული მხარეებისა და აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში მოქმედი გაეროს სამხედრო დამკვირვებლების წარმომადგენლები ისხდნენ. შესაბამისად, შეხვედრა საკმაოდ ხანმოკლე აღმოჩნდა. როგორც „ინტერ-პრესს“ ქართული მხარის წარმომადგენელმა მებრძოლ ჭკადუამ განუცხადა, შეხვედრაზე აფხაზური მხარის წარმომადგენელთა გამოუცხადებლობამ შესაძლოა, მომავალში კონფლიქტის ზონაში ვითარების დაძაბვა გამოიწვიოს.

როგორც ჟურნალისტებს ქართული მხარის წარმომადგენლებმა განუმარტეს, აფხაზურმა მხარემ უარი განაცხადა შეხვედრაში მონაწილეობაზე და მოგვიად აფხაზეთის საზღვაო აკვატორიაში მომხდარი ინციდენტი, კერძოდ, ქართული სასაზღვრო კატერის მიერ უნებართვოდ შემოსული გემისთვის ცეცხლის გახსნა დაასახელა. როგორც ცნობილია, ამ ინციდენტს. მოჰყვა სოხუმის ხელისუფლების განცხადება „ქართველებთან ყოველგვარი მოლაპარაკებების შეწყვეტის“ თაობაზე.

ბარამიძე მოსკოვს მიემგზავრება

საქართველოს თავდაცვის მინისტრი გიორგი ბარამიძე 9-11 აგვისტოს რუსეთის ფედერაციაში ოფიციალურ ვიზიტს გამართავს.

ვიზიტის დროს გიორგი ბარამიძე რუსეთის თავდაცვის მინისტრს სერგეი ივანოვს, შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსს იური ბალუევსკის და სახელმწიფო სათათბიროს დსთ-ის ქვეყნებთან ურთიერ-

თობების კომიტეტის თავმჯდომარეს ანდრეი კოკოშინს შეხვდება.

შეხვედრების ძირითადი თემა ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგება, საქართველოში განლაგებული რუსული სამხედრო ბაზების გაყვანა და რუსული სამხედრო ობიექტების საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის გადაცემა იქნება.

საბერძნეთი საქალაქო ტრანსპორტით დაგვეხმარება

საბერძნეთის მთავრობა თბილისს უკვე მეორედ დაეხმარება საქალაქო ტრანსპორტით. უახლოეს მომავალში თბილისის მთავრობა საბერძნეთისგან საჩუქრად ტროლეიბუსებსა და ავტობუსებს მიიღებს. ამ საკითხთან დაკავშირებით თბილისის მერი ზურაბ ჭიაბერაშვილი გუშინ საბერძნეთის ელჩს საქართველოში კონსტანტინა მავროსკელიდუს შეხვდა.

როგორც შეხვედრაზე ქალაქის მერმა აღნიშნა, საუბარი როგორც აღნიშნულ დახმარებას, ასევე საქართველოში ბერძნულ-ქართული კულტურის ცენტრის შექმნის პერსპექტივებს შეეხო.

იერუსალიმის ჯვრის მონასტერში რუსთაველის ფრესკის დაზიანების შემდეგ საქართველოსა და საბერძნეთის მთავრობებს შორის ურთიერთობა გამწვავდა, თუმცა ეს გარემოება არ უნდა აისახოს ჩვენს ურთიერთობებზე სამომავლოდ, – განაცხადა ზურაბ ჭიაბერაშვილმა.

ინტერ-პრესი.

◎ ინტერპანორამა

ბინ ლადენი

ბინ ლადენ ას-საღრმ, რომელიც სავარაუდოდ ნეჯეფის ერთ-ერთ მეჩეთში იმალება, ერაყელებს ამერიკელთა წინააღმდეგ ჯიხადისკენ მოუწოდა. მისი მოწოდება ნეჯეფის ქერბელისა და ნასირიის მინარეთებიდან გადაეცემა. მთელი სამხრეთ ერაყიდან მოხალისეები მის დასახმარებლად მიეშურებიან. აშშ-ს ვერტმფრენები ცეცხლს უშენენ შიიტ მოთარეშეებს. დაღუპულთა და დაჭრილთა რიცხვი მატულობს.

ბუშმა ხელი მოაწერა 2005 წლის თავდაცვის ბიუჯეტს. ახალი ბიუჯეტი 417,5 მილიარდი დოლარით განისაზღვრა და წლევანდელზე 22 მილიარდით მეტია. მასში ნაგულისხმევია 25 მილიარდი დოლარიც, რომელიც ერაყსა და ავღანეთში აშშ-ს სამხედრო ოპერაციების დაფინანსებისთვის არის გათვალისწინებული.

ყურადღება!

ბატონებო და ქალბატონებო!

საქართველოს რკინიგზის ხელმძღვანელობის მიერ განხორციელებული ღონისძიებების შედეგად საგრძნობლად გაუმჯობესდა რკინიგზის მუშაობა, გაიზარდა ტვირთების გადაზიდვა, მგზავრთა გადაყვანა და მატარებელთა სიჩქარე.

რკინიგზაზე მატარებელთა მაღალი სიჩქარით ინტენსიური მოძრაობის მიუხედავად, მოსახლეობა და ავტომობილის მძღოლები უხეშად არღვევენ უსაფრთხოების წესებს რკინიგზაზე გადასვლისას. დასახლებულ რაიონებში მოსახლეობა მასიურად დადის ლიანდაგებში, უყურადღებოდ ჰყავთ დატოვებული შინაური ცხოველები, ანაგვიანებენ ლიანდაგს სამშენებლო-საყოფაცხოვრებო ნარჩენებით, მიუხედავად იმისა, რომ რკინიგზის გადასასვლელი წარმოადგენს განსაკუთრებულად საშიშ ზონას ყველა სახის ტრანსპორტისათვის, მძღოლები არ იცავენ საგზაო გამაფრთხილებელი ნიშნების მოთხოვნებს, მ. 1.1; 1.2; 1.3.1; 1.3.2; 1.4.1-1.4.6, გაფრთხილების მიუხედავად, რკინიგზას კვეთენ ჩაკეტილი შლაგბაუმის შემთხვევაშიც, რაც საშიშროებას უქმნის მატარებელთა მოძრაობის უსაფრთხოებას, მოქალაქეების სიცოცხლეს.

სტატისტიკური მონაცემებით, მოსახლეობისა და მძღოლების მიერ რკინიგზაზე უსაფრთხოების პირობების უგულებელყოფამ გამოიწვია მოძრავი შემადგენლობის ფეხით მოსიარულეებზე და ავტომობილებზე დაჯახების მრავალი შემთხვევა, რომელთაგან თითქმის ყველა მძიმე შედეგით დამთავრდა.

ძვირფასო მოქალაქენო!

გახსოვდეთ, რომ რკინიგზა წარმოადგენს გაძლიერებული საფრთხის ობიექტს. მძღოლი რკინიგზის გადასასვლელებზე მოძრაობისას, ვალდებულია, მკაცრად დაიცვას მოძრაობის წესები, სარკინიგზო გადასასვლელის გადაკვეთისას გამოიჩინოს განსაკუთრებული სიფრთხილე და გადაკვეთოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დარწმუნდება, რომ ის თავისუფალია და საფრთხე არ ექმნება.

ლიანდაგის საზღვრებში სასტიკად აკრძალულია ფეხით მოსიარულეთა სიარული, შინაური ცხოველების უყურადღებოდ დატოვება და დანაგვიანება, რადგან საფრთხე ექმნება მატარებელთა მოძრაობის უსაფრთხოებას და მოქალაქეების სიცოცხლეს, რომელთა შორის შესაძლებელია აღმოჩნდნენ თქვენთვის საყვარელი ადამიანები, ოჯახების წევრები და ახლო ნათესავები.

მატარებელთა მოძრაობის უსაფრთხოების წესების დამრღვევების მიმართ მიღებულ იქნება კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები.

პატივისცემით,
თბილისის სალიანდაგო დისტანციის ადმინისტრაცია.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 181. პარასკევი. 6 აგვისტო. 2004 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

◎ უკომენტაროდ

არ გათეთრდების ყორანი...

რუსეთის სახელმწიფო სათათბირო რუსეთის პრეზიდენტისა და მთავრობისგან ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური კონფლიქტების ზონებში ვითარების ნორმალიზაციისა და რუსეთის მოქალაქეების უსაფრთხოების დაცვის მიზნით აქტიური ღონისძიებების განხორციელებას მოითხოვს.

გუშინ სათათბირომ ერთხმად მიიღო განცხადება „კავკასიაში სიტუაციის შესახებ", რომლითაც ხელისუფლებას საქართველოში არსებული კონფლიქტების მოსაგვარებლად, რუსეთის მოქალაქეების, საგრასპორტო საშუალებებისა და სხვა სახის ქონების დასაცავად ქმედითი ღონისძიებების განხორციელებისაკენ მოუწოდა. განცხადების მიღებას 425-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი.

განცხადებაში ნათქვამია, რომ რუსეთის სახელმწიფო სათათბირო განიხილავს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოთხოვნას მათი თვითგამორკვევის აღიარების შესახებ.

დეპუტატთა აზრით, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების ზონებში საქართველოს ხელისუფლების მოქმედებებმა შესაძლოა, ფართომასშტაბიანი სამხედრო დაპირისპირება გამოიწვიოს, რომელშიც რუსეთი აღმოჩნდება ჩათრეული. მათი შეფასებით, საქართველოს ხელისუფლების კურსი, რომელიც კონფლიქტების ძალისმიერი გზით გადაწყვეტას ითვალისწინებს, უპერსპექტივოა.

რუხი დეპუტატები „მიზანმიმართულ პროვოკაციად" აფასებენ ქართული მხარის მიერ გუშინ სათათბიროს დსთ-ის ქვეყნებთან ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარის ანდრეი კოკოშინის მანქანისათვის ცეცხლის გახსნას და მიუღებლად მიიჩნევენ საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს მესაზღვრეებისათვის გაცემულ განკარგულებას აფხაზეთის წყლებში მცურავი საშუალებებისათვის ცეცხლის გახსნის შესახებ.

სააგენტო „ინტერფაქსის" კორესპონდენტის ინფორმაციით, სათათბიროს გუშინ მიღებული განცხადების ტექსტი არაერთხელ შეიცვალა და შერბილდა. მხარი არ დაუჭირეს სათათბიროს საერთაშორისო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის კონსტანტინე კოსაჩოვის წინადადებას და ამოიღეს ტექსტიდან დეპუტატთა მოწოდება რუსეთის ხელისუფლებისადმი საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო და ეკონომიკური ღონისძიებების გატარების შესახებ.

სათათბირომ ასევე მხარი არ დაუჭირა ფრაქცია „სამშობლოს" ლიდერის დმიტრი როგოზინის წინადადებას, რომელიც სთავაზობდა ხელისუფლებას, საქართველოს ხელისუფლების მიერ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ინიციდენტების ინსპირირების გაგრძელების შემთხვევაში დაეწყო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სტატუსის განხილვა.

სათათბირომ ასევე უარყო რუსეთის „ლიბერალურ-დემოკრატიული" ფრაქციის წარმომადგენლის ალექსანდრე მიტროფანოვის წინადადება რუსეთის მიერ საქართველოსთვის ელექტროენერგიის დაბალი ტარიფით მიწოდების შეწყვეტის შესახებ.

განცხადების შერბილებული ტექსტის მიღების წინააღმდეგ გამოვიდა სათათბიროს ვიცე-სპიკერი ელადიმერ ჟირინოვსკი, რომელმაც რუსეთის სათათბიროს მთელ შემადგენლობას დასასვენებლად გაგრაში, ბიჭვინთასა და სოხუმში გამგზავრებისაკენ მოუწოდა.

ინტერ-პრესი.

◎ წვრთნები

ბათუმი „ბლექსიფორს" მასპინძლობს



„ბლექსიფორის" (შავი ზღვის საზღვაო თანამშრომლობის ჯგუფი) სამხედროსაზღვაო წვრთნებში მონაწილეობის მისალებად გუშინ დილით ბათუმის საზღვაო ნავსადგურში შავი ზღვის აუზის ქვეყნების – თურქეთის, რუმინეთის და საქართველოს სამი საბრძოლო ხომალდი შევიდა. ქართული მხარე სამხედრო საზღვაო ძალების ხომალდ „დოსკურიით" არის წარმოდგენილი.

„ბლექსიფორი" შავი ზღვის ქვესა ქვეყნის – საქართველოს, უკრაინის, თურქეთის, ბულგარეთის, რუსეთის, რუმინეთის სამხედრო საზღვაო ძალებს აერთიანებს. აღნიშნული სწავლებები 2001 წლის 2 აპრილს სტამბოლის შეთანხმების საფუძველზე შავი ზღვის აუზის სხვადასხვა ქვეყნებში ყოველწლიურად ტარდება. სწავლების მიზანია შავი ზღვის ეკონომიკური უსაფრთხოება, სამაშველო ოპერაციებისა და ზღვაზე ძებნისა და გადარჩენის ოპერაციების განხორციელება.

წლეულს საქართველო შავი ზღვის აუზის ქვეყნების სამხედრო საზღვაო ძალების წვრთნების სარდალი ქვეყანაა. სწავლებას საქართველოს სამხედრო საზღვაო ძალების წარმომადგენელი, პირველი რანგის კაპიტანი გენადი ჰაიდაროვი უხელმძღვანელებს.

წვრთნების დაწყებასთან დაკავშირებით 9-10 აგვისტოს საქართველოში წვრთნებში მონაწილე ყველა ქვეყნის საზღვაო თავდაცვის ძალების სარდალი ჩამოვა, 11 აგვისტოს კი ბათუმის სამოქალაქო ნავსადგურში სწავლების საპატიო სტუმართა დღე გაიმართება.

12 აგვისტოს საზღვაო სწავლებები საქართველოს პასუხისმგებლობის ზონაში გაიხსნება. წვრთნებში 6 ხომალდის გარდა, საქართველოს სამხედრო საზღვაო ძალების საჰაერო ძალების მფრინავი საშუალებები მიიღებენ მონაწილეობას.

საქართველოს გარდა, წვრთნები უკრაინასა და რუსეთში ჩატარდება და 29 აგვისტოს დასრულდება. 17-20 აგვისტოს სწავლება ქალაქ ნოვოროსიისკში გაიმართება, 15-27 აგვისტოს კი – სევასტოპოლში. 28 აგვისტოს სწავლების აქტიური ფაზა დასრულდება და ხომალდები დისლოკაციის ადგილებს დაუბრუნდებიან. წვრთნების მეორე ეტაპი რუმინეთში ჩატარდება.

ინტერ-პრესი.

◎ პასუხად ქართველთმოძულეებს

სიმართლე კი ასეთია

ქართულ-ოსური კონფლიქტის ისტორიული და პოლიტიკურ-სამართლებრივი ასპექტები

საუბელურად, საბჭოთა რუსეთისა და ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელთა მიერ ჩაფიქრებული ვერაგული გეგმა მაინც განხორციელდა – საქართველოში ძალით დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება და, ფაქტობრივად, მეორედ მოხდა საქართველოს ანექსია, რაშიაც არცთუ მცირე წვლილი შეიტანეს შიდა ქართლის აჯანყებულმა ოსებმა. 1921 წლის თებერვალ-მარტში ჩრდილო კავკასიაში გადასულ ოსთა შეიარაღებული რაზმები დაბრუნდნენ და რუსეთის წითელი არმიის ნაწილებთან ერთად აქტიურად იბრძოდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ, რომელიც ამ დროისათვის უკვე სცნო რამდენიმე სახელმწიფომ, მათ შორის, საბჭოთა რუსეთმაც (1920 წლის 7 მაისი). სწორედ ამ გარემოებამ მნიშვნელოვანწილად განაპირობა ის, რომ ბოლშევიკურმა პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ ე.წ. სამხრეთ ოსეთს, ორი წლით ადრე (1922 წლის აპრილი), ვიდრე ისტორიულ ოსეთს (1924 წლის ივლისი), რომელიც იმთავითვე რსფსრ-ში შედიოდა, მიანიჭა ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის – ავტონომიური ოლქის სტატუსი. ამრიგად, „ჭეშმარიტმა ინტერნაციონალისტებმა", და არავითარ შემთხვევაში არა პატრიოტმა ქართველებმა, სტალინმა და ორჯონიკიძემ ე.წ. სამხრეთ ოსეთი კი არ „აჩუქეს" საქართველოს, როგორც ოსი სეპარატისტები საქვეყნოდ აცხადებენ, არამედ ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე დაუმკვიდრეს მას ავტონომიური ოლქის სტატუსი.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი ხელოვნურად შეიქმნა. მის შემადგენლობაში ოსებით დასახლებულ სოფლებთან ერთად ძალდატანებით გაერთიანეს რამდენიმე ათეული ქართული სოფელიც, ოლქის აღმინისტრაციულ ცენტრად კი გამოიყენეს ცხინვალი, რომელიც იმ დროს ქართულ ქალაქს წარმოადგენდა. ყოველივე ამან ქართული მოსახლეობის კანონიერი აღშფოთება გამოიწვია. ავტონომიური ოლქის შექმნის შედეგად ამ რეგიონში მცხოვრები ქართველობა საკუთარ სამშობლოში „ეროვნულ უმცირესობად" იქცა, რაც ხალხმა სრულიად სამართლიანად შეაფასა როგორც ადამიანისა და ერის უფლებათა და თავისუფლებათა შეუწყნარებელი დარღვევა.

აქ აუცილებლად მიგვაჩნია, საგანგებოდ აღინიშნოს, რომ ოსებს საქართველოში ყველა პირობა ჰქონდათ შექმნილი ეროვნული კულტურისა და ეკონომიკის განვითარებისათვის. საკმარისია ითქვას, რომ საქართველოში 1990-1991 სასწავლო წლის დასაწყისში 97 მოვადსაგანმანათლებლო სკოლა იყო (მათ შორის 90 – ყოფილ ავტონომიურ ოლქში), სადაც სწავლება ოსურ ენაზე მიმდინარეობდა ან ოსური ენა და ლიტერატურა ცალკე საგნად ისწავლებოდა. ცხინვალში ფუნქციონირებდა პედაგოგიური ინსტიტუტი, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი, სამედიცინო, სამუსიკო, სამხატვრო, პროფტექნიკური სასწავლებლები და ა.შ. 1979 წლის მონაცემებით, ყოველ ათას მოსახლეზე გაანგარიშებით უმაღლესი განათლების მქონე პირთა რაოდენობით, ე.წ. სამხრეთ ოსეთი მეორე ადგილზე იყო სსრკ-ში. მხარეთცოდნეობის საზოგადოების ბაზაზე 1927 წელს დაარსდა მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტი, რომელიც შემდგომში გადაკეთდა ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტად. აქ მომზადდა „ოსეთის ისტორიის" მრავალტომეული (დოკუმენტები და მასალები უძველესი დროიდან დღემდე), სამხრეთ ოსეთის ისტორიის ნარკვევების ორტომეული, „ოსური ენის განმარტებითი ლექსიკონის" ოთხტომეული, „ოსური ენის შებრუნებული (ინვერსიული) ლექსიკონი", „ოსეთის ლიტერატურის ისტორიის" მრავალტომეული, ოსური ხალხური მღეფრების კრებული 3 ტომად, ოსური ხალხური სიმღერების კრებული და ა.შ. ყოფილ ავტონომიურ ოლქში ფუნქციონირებდა სახელმწიფო მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, სახელმწიფო სამხატვრო გალერეა, საჯარო ბიბლიოთეკა, საქართველოს მწერალთა და მხატვართა კავშირების, თეატრალურ და მუსიკალურ-ქორეოგრაფიულ საზოგადოებათა განყოფილებები; მშობლიურ ენაზე წარმოებდა რადიოგადაცემები, გამოდიოდა ჟურნალ-გაზეთები, სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურა. ე.წ. სამხრეთ ოსეთში 1988 წელს 10 ათას მოსახლეზე პროცენტული შეფარდებით 5-ჯერ მეტი დასახელებისა და 3-ჯერ დიდი ტირაჟით წიგნი და ბროშურა გამოიცა, ვიდრე ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

აქ შედარებისთვის შეგახსენებთ ერთ ადგილს ჩრდილოეთ ოსეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ბ-ნ ა. გალაზოვის 1989 წლის 11 ნოემბერს გაზეთ „პრავდაში" გამოქვეყნებული წერილიდან: „მე გულწრფელად მეცოდებიან ჩემი ეროვნების ახალგაზრდა ადამიანები, რომელნიც უცხო ენებისა და მსოფლიო ცივილიზაციის ცოდნის მიუხედავად, ოსური კულტურის ელემენტარული საფუძვლების უცოდინარობის გამო თავს უხერხულად გრძნობენ საკუთარ სახლში... მაგალითისთვის: ეროვნულ ახალგაზრდობას წაართვეს მშობლიური ენა. გასულ წლამდე ჩრდილოეთ ოსეთში ფაქტობრივად არ იყო არც ერთი სკოლა, სადაც სწავლება ოსურ ენაზე მიმდინარეობდა".

1980-იანი წლების დამლევს, ისევე, როგორც ადრე, მნიშვნელოვანი იყო ოსთა წარმომადგენლობა რესპუბლიკის სადირექტიოვო და მმართველობით ორგანოებში. საკმარისია ითქვას, რომ საქართველოს უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის თავმჯდომარეთა მოადგილეების, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, მინისტრის პირველი მოადგილისა და მინისტრის მოადგილის, აგრეთვე ორი სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილისა და რესპუბლიკური მნიშვნელობის მოგიერთი სხვა ხელმძღვანელი თანამდებობა ეკავათ ოსი ეროვნების პირებს. ამასთან, 1990 წლის მონაცემებით ქართველების ხვედრითი წილი ყოფილი ავტონომიური ოლქის სამმართველო აპარატში უფრო მცირე იყო, ვიდრე ეს მას მოსახლეობის პროცენტული შეფარდებით ეკუთვნოდა. ყოფილი ოლქის პარტიულ ორგანოებში 1990 წლის მონაცემებით 140 კაციდან ქართველი იყო 34, ოსი – 85; თვით პარტიის საოლქო კომიტეტის აპარატში 37 კაციდან ქართველი იყო მხოლოდ 6, ოსი – 29; საბჭოთა აპარატში 227 ადგილიდან ოსებს დაკავებული ჰქონდათ 176, ქართველებს – 49; ოლქის კულტურის სამმართველოს უფროსი და ხუთივე საქალაქო და რაიონული განყოფილების გამგე ეროვნებით ოსი იყო; ასევე ოსები იყვნენ ცხინვალის სამუსიკო და სამხატვრო სასწავლებელთა დირექტორები და სასწავლო ნაწილის გამგეები; მომსახურების სფეროში 2408 ადგილიდან ოსებს დაკავებული ჰქონდათ 1500, ქართველებს – 631; ვაჭრობის სფეროს 226 საშტატო ერთეული ასე ნაწილდებოდა: ოსი – 174, ქართველი – 32 და ა.შ. აქვე შევნიშნავთ, რომ მარტო 1979-1989 წლებში ყოფილ ოლქს საქართველოს რესპუბლიკური ბიუჯეტიდან დამატებით გამოეყო 10 მლნ. მანეთზე მეტი.

ამავე დროს, არ შეიძლება, არ აღინიშნოს, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთის ქართულ მოსახლეობას, არსებითად, არ ჰქონდა შესაძლებლობა, განვითარებინა ქართული კულტურა. საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში თავისუფლად გამოეყენებინა თავისი დედაენა, რომელიც რესპუბლიკის სახელმწიფო ენაა. ხდებოდა ამკარა დევნა ქართული კულტურისა, ქართული ისტორიული ძეგლების ხელყოფა, ოდინდელი ქართული ტოპონიმების ხელოვნური დამახინჯება ან გადარქმევა. ნიშანდობლივია, რომ ყოფილი ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე არ მოიპოვება ოსური მატერიალური კულტურის არც ერთი ისტორიული ძეგლი, ყველა ისტორიული ტოპონიმი ქართულია.

ეს მოკლე მონაცემებიც კი საკმარისია, რომ კიდევ ერთხელ დავძინოთ: ქართველი ხალხი და მისი მთავრობა არასოდეს ეწეოდნენ ოსთა დისკრიმინაციას. პირიქით, მათ ყველა პირობა ჰქონდათ შექმნილი ეროვნულ-კულტურული, სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარებისთვის.

მიუხედავად ამისა, ოსმა სეპარატისტებმა ჯერ კიდევ საბჭოურ პერიოდში არაერთხელ დაყენეს საკითხი ე.წ. სამხრეთ ოსეთის საქართველოდან გამოყოფისა და ჩრდილოეთ ოსეთთან (ფაქტობრივად, რუსეთის ფედერაციასთან) შეერთების შესახებ. ცხადია, ეს პროცესები კრემლიდან იმართებოდა და, როგორც მოსალოდნელი იყო, ოსური სეპარატიზმი კვლავ ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის კვალობაზე ძლიერდებოდა. ისტორია მართლაც რომ მეორდება.

(დასასრული იქნება)

◎ პარლამენტის თავმჯდომარე

როდის ექნება რუსეთს ნორმალური ქვეყნის სტატუსი?

(პირველი გვერდიდან)

ნინო ბურჯანაძე სამ ძირითად მოთხოვნას აყალიბებს, რომლითაც პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტთან ედუარდ კოკოითთან შეხვედრაზე უნდა წასულიყო: კონფლიქტის ზონაში ეუთოს მისიის გაფართოება, პირდაპირი დიალოგი ოსურ მხარესთან და კონფლიქტის ზონაში მყოფი სამხედრო ძალების დემილიტარიზაცია.

– რომელ ძალას არ აძლევს ხელს ეუთოს მისიის გაფართოება, დღეს ყველასათვის ნათელია. რაც ბოლო დროს ხდება, ერთიანი გეგმის ნაწილია და ხორციელდება მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რომ საქართველოს საშუალება არ მიეცეს, ქვეყანაში არსებული კონფლიქტები მშვიდობიანად მოაგვაროს, – აღნიშნა ბურჯანაძემ.

მან „ცინიკური" უწოდა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს გუშინდელ განცხადებას, განსაკუთრებთ, მის იმ ნაწილს, რომელიც საქართველოს საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ რესპუბლიკად მოხსენიებას შეეხება. რუსეთის სათათბიროს განცხადების აღნიშნული ნაწილი ყოველგვარ ჩარჩოებს სცილდება. მაშინ საქართველომ რუსეთი სხვაგვარად უნდა მოიხსენიოს, – აღნიშნა ნინო ბურჯანაძემ, რომლის თქმით, დღეს ყველასათვის ნათელია, რომ რუსეთი პირდაპირ ეხმარებოდა აფხაზ სეპარატისტებს.

– რუსი ტურისტები დღეს იაფად ისვენებენ ქართველების სისხლის, ოფლისა და ცრემლის ხარჯზე, – აღნიშნა ბურჯანაძემ და აქვე კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საქართველოს ხელისუფლების უმთავრესი ამოცანაა, ცხინვალთან ურთიერთობები პოლიტიკურ ჭრილში გადაიტანოს და კონფლიქტი მშვიდობიანად მოაგვაროს.

ინტერ-პრესი.

◎ კონკურსი

ვინც რისკავს, შამპანურსაც ის სვამს

საქართველოს პარლამენტის სატენდერო კომისიამ მორიგი სხდომა ჩააგარა. ტენდერმა უნდა გამოავლინოს ის გამარჯვებული ორგანიზაცია, რომელიც პარლამენტს ექვსი თვის განმავლობაში მიაწვდის საჭირო რაოდენობის ბენზინს. საამისოდ 150 ათასი ლარია გამოყოფილი. პრეტენდენტი არის ორი ორგანიზაცია – შპს „ავიასაწვავსერვისი" და შპს „ინტერგანი".

სატენდერო კომისიის სხდომაზე პირველ მათგანს წარმოადგენდა გაყიდვების მენეჯერი ამირან ოთარაშვილი, მეორეს კი – დირექტორი დავით ბაიდურაშვილი.

სხდომა საკალდებულო საპროცედურო წესების დაცვით გაიხსნა. კომისიის თავმჯდომარემ, პარლამენტის აპარატის უფროსმა გოჩა მარგინენკომ ჟურნალისტები ტენდერის გამჭვირვალედ ჩატარებისთვის მიგვიწვია.

პრეტენდენტებს საბუთები სრულად ჰქონდათ წარმოდგენილი. რაკი ყველაფერი წესრიგში იყო, სადავო და საჩხრეკიც არაფერი გახდა გარდა ერთისა. ხანგრძლივი სჯა-დასჭირდა ფასებს. გადამწყვეტი, პრინციპში, ეს იყო, თორემ თვეში რომ 30 ათას ლიტრ საწვავს მიაწვდიდნენ პარლამენტის ავტობაზას დღის გარკვეულ საათებში, ეს იმთავითვე იგულისხმებოდა.

ერთი შეხედვით, საკმაოდ მაცდუნებლად ჟღერდა „ავიასაწვავსერვისის" წინადადება – 1 ლიტრი ბენზინი 93 თეთრად. მაშინ როცა, „ინტერგანი" პარლამენტს 1 ლიტრი ბენზინის მიწოდებას 99 თეთრად სთავაზობდა.

– რატომ არის თქვენთან ასე მაღალი ფასი? – ბუნებრივია, გაჩნდა ეს კითხვა, რაზეც დავით ბაიდურაშვილმა უპასუხა:

– დღეს ვალუტის კურსი ძალიან დაბალია, რაც, ცხადია, მალე აიწევს. ჩვენ ვითვალისწინებთ ვალუტის კურსისა და მსოფლიო ბაზარზე ბენზინის ღირებულების ცვლილებას. თუ ხელშეკრულებას დავდებთ, როგორც არ უნდა აიწიოს ფასებმა, ჩვენს მიერ თქვენთვის მოწოდებული ბენზინის ფასი 99 თეთრს არ გადააჭარბებს.

მართალია, მეორე პრეტენდენტის მიერ შეთავაზებული 93 თეთრი, ერთი შეხედვით, გაცილებით ხელსაყრელი ჩანს, მაგრამ გასათვალისწინებელია სხვა ფაქტორებიც. თუ გაიზრდება დოლარის კურსი ან ბენზინის ფასი მსოფლიო ბაზარზე, რა თქმა უნდა, ბიზნესმენი ზარალზე არ წავა და პარლამენტის აპარატს ახალ ფასებს წარუდგენს. ამირან ოთარაშვილი ამის მოწესრიგებას ხელშეკრულებით ითხოვდა, თუმცა თავად ვერ ასახელებდა სავარაუდო მაქსიმალურ ზღვარს.

– თუ ჩვენ 93 თეთრად მოგაწვდით ლიტრ საწვავს, მოგება 1,5 თეთრი დაგვრჩება. გვინდა, ეს მიზერული მოგება შევინარჩუნოთ. მაგრამ არავინ იცის, რა მოხდება მსოფლიო ბაზარზე, ამიგომ ვერ გეტყვით, სანამდე შეიძლება, გაიზარდოს ბენზინის თვითღირებულება, შესაბამისად –

საბითუმო ფასიც. შეიძლება, 5-6 თეთრით ძვირადაც კი მოგვიწიოს თქვენთვის საწვავის მიწოდება.

ისე გამოვიდა, რომ შეიძლებოდა, ლიტრი ბენზინი სახელმწიფოს 99 თეთრზე ძვირიც დაჯდომოდა, ეს კი, ცხადია, ხელსაყრელ ვითარებად ვერ ჩაითვლებოდა. სხვათა შორის, დავით ბაიდურაშვილი, ფასის მაქსიმალური ზღვრის წარმომდგენი, ძალზე თავდაჯერებული ჩანდა, თითქოს თავი ქუდში ჰქონდა. მას საკუთარი გათვლები ეიმედებოდა. თუ ლიტრ ბენზინს პარლამენტს 99 თეთრად მიაწვდის, დღეს დიდ მოგებას ნახავს, ხვალ კი, როცა ფასები გაიზრდება – ვერა, მაგრამ წაგება-მოგება ერთმანეთს დააბალანსებს. ის თანახმაა, დღეს ნაკლებ ფასადაც კი მიჰყიდოს ბენზინი პარლამენტს.

რამდენად?

92 თეთრად.

ამ უკუღმა შებრუნებულმა „აუქციონმა" კომისიის წევრებიც გაამხიარულა და ჩვენც, ჟურნალისტებიც. ამით ბაგონმა დავითმა, შეიძლება ითქვას, მოწინააღმდეგის ნერვებს ჩამოკრა ხელი, თორემ ამ ფასად ის ნამდვილად ვერ გაიმეტებდა ბენზინს, ქვეყანაზე ჯერ არ დაბადებულა ისეთი ბიზნესმენი, წაგებაზე რომ იმუშაოს სახელმწიფოს სასარგებლოდ.

რაკი ფასების საკითხი გორდიას კვანძი აღმოჩნდა, კომისიის ერთ წევრს ასეთი იდეა გაუჩნდა – დღესვე ვიყიდოთ საჭირო რაოდენობის ბენზინი 93 თეთრად და სპეციალურად დამზადებულ უზარმაზარ ავზებში ჩავასხათო. საპასუხოდ ამირან ოთარაშვილმა სხვა წინადადება წამოაყენა – დღესვე გადაგვიხადეთ თანხა და ბენზინს ჩვენ თვითონ შეგინახავთო. მაგრამ რაკი ბიუჯეტი ამგვარ მოქმედებებს არ ითვალისწინებს და ფულს კვარტალურად გაწერს, კომისია კვლავ მიუბრუნდა თავსაგეხი საკითხის კვლევას. ფასების მოულოდნელ ზრდასთან დაკავშირებით შარშანდელი შემთხვევა გაიხსენეს, როცა ბენზინის მიმწოდებელმა ფირმა „კანარგომ" პარლამენტს წარმოუდგინა სათანადო დოკუმენტაცია და მოითხოვა, შეეცვალათ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფასი. სხდომაზე საბოლოო გადაწყვეტილება არ გამოკვეთილა, ის დღეს, სამ საათზე გახმაურდება.

გუშინ კი ჟურნალისტების სიმპათია ფასის მაქსიმალური ზღვრის წარმომდგენი ფირმისკენ გადაიხარა. შეკითხვაზე, რატომ ვერ აკონკრეტებს მეორე პრეტენდენტი მაქსიმალურ ფასს, პასუხი ასეთი იყო – არავინ იცის, რამდენად გაიზრდება ვალუტის და ბენზინის ფასიო. „ინტერგანი" ახალია და რისკავს. ვინც რისკავს, შამპანურსაც ის სვამსო, – წამოიძახა ჩემმა ერთმა კოლეგამ. თუმცა, „ავიასაწვავსერვისიც" რისკავს. მან კვლავ მოიწადინა ბენზინის მიწოდება პარლამენტისთვის, რომელსაც შარშანდლიდან მართებს ამ ორგანიზაციის ვალი – 35000 ლარი.

რუსუდან გახარია.

◎ გიუჯეტი

მთავარი მიზანი – სიღატაკის დონის შემცირება

საქართველოს პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი საჯარო სამსახურიდან გათავისუფლებული მოხელეებისთვის დამატებითი სოციალური გარანტიების ბიუჯეტში ასახვას მოითხოვს.

როგორც გუშინდელ სხდომაზე კომიტეტის თავმჯდომარემ გიგი წერეთელმა განაცხადა, საბიუჯეტო ორგანიზაციებში განხორციელებულ შემცირებებში მოყოლილი თანამშრომლები დამატებით სოციალურ შეღავათს საჭიროებენ, თუმცა ვინაიდან პარლამენტმა „ორთვიანი კომპენსაციების გაცემის შესახებ" კანონის მოქმედება გადაავადა, სამსახურიდან გათავისუფლებული პირები დამატებით ორი თვის კომპენსაციას ვეღარ იღებენ.

როგორც სხდომაზე მყოფმა ფინანსთა მინისტრმა ზურაბ ნორაიძელმა განმარტა, ამ კანონის ამოქმედების გადავადება მნიშვნელოვანი იყო ქვეყნის განვითარებისთვის, რადგან მთავრობა ზედმეტ სოციალურ ვალდებულებებს ვეღარ აიღებდა. ქვეყანაში უნდა გაგარღეს სტრუქტურული რეფორმები, რომელიც თანამშრომელთა შემცირებებსაც ითვალისწინებს. ამას ამჟამად არსებული ფინანსური რესურსებით ვახორციელებთ, – აღნიშნა მან.

ჯანდაცვისა და სოციალური სფერო 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროფიციტიდან 34,6 მილიონ ლარს მიიღებს. აქედან 27,1 მილიონი ლარი საპენსიო დავალიანებების გასასტუმრებლად დაიხარჯება, 7,5 მილიონი ლარი კი ჯანდაცვის პროგრამებში არსებული დავალიანების დაფარვას მოხმარდება.

ფინანსთა მინისტრის განცხადებით, საპენსიო დავალიანებების დაფარვა ქვეყანაში 2005 წლის ბოლომდე დასრულდება. მომავალ წელს მნიშვნელოვნად შემცირდება ჯანდაცვის პროგრამებში არსებული დავალიანებები. პროფიციტიდან ჯანდაცვისა და სოციალური სფეროსათვის გათვალისწინებული თანხებიდან 4 მილიონი ლარი გარდაცვლილი პენსიონერების დავალიანებების გასტუმრებას მოხმარდება.

ჩვენი მთავარი მიზანია ქვეყანაში სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესება და მოსახლეობაში სიღატაკის დონის შემცირება, – დასძინა ნოღაიდელმა.

ინტერ-პრესი.

◎ ინფორმაცია

ულიარებელთა სტუმარი იური ლუჟკოვი – აფხაზეთში

სოხუმის ხელისუფლების მიწვევით გუშინ აფხაზეთში ორდღიანი ვიზიტით მოსკოვის მერი იური ლუჟკოვი ჩავიდა. სოხუმის ხელისუფლების ვიცე-პრეზიდენტი ვალერი არშბა, პრემიერ-მინისტრი რაულ ხაჯინბა და სხვა პასუხისმგებელი პირები მოსკოვის მერს რუსეთ-საქართველოს საზღვარზე, ფსოუს საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე დახვდნენ.

სოხუმის ხელისუფლების პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურის ინფორმაციით, მოსკოვის მერის ვიზიტი თვითგამოცხადებულ აფხაზეთსა და მოსკოვს შორის თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების რეალიზაციის ფარგლებში იმართება.

ვიზიტის ფარგლებში ლუჟკოვი მრავალრიცხოვან თანმხლებ პირებთან, მათ შორის ადიღეს რესპუბლიკის პრეზიდენტ ხაზრეტ სოვმენთან ერთად გაგრისა და ბიჭვინთის საკურორტო ინფრასტრუქტურის ზოგიერთ ობიექტს, აფხაზეთის კულტურის ობიექტებს, მათ შორის ახალი ათონის მღვიმეს და სამონასტრო კომპლექსს მოინახულებს.

ოპოზიცია პროექტს მხარს არ დაუჭერენ

საპარლამენტო ფრაქცია „მემარჯვენე ოპოზიცია" 2004 წლის გაზრდილი სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მხარდაჭერას არ აპირებს.

„მემარჯვენე ოპოზიციის" წარმომადგენელთა აზრით, 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ცვლილებათა პროექტი ხალხის ინტერესებს არ ემსახურება. როგორც გუშინ ფრაქციის სხდომაზე „მემარჯვენე ოპოზიციის" ლიდერმა დავით გამყრელიძემ აღნიშნა, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტი გაზრდილია, სახელმწიფო მაინც არ ზრუნავს საკუთარ მოსახლეობაზე და იმ ხალხზე, რომელიც სამსახურიდან დაითხოვა და ქუჩაში გაყარა.

გამყრელიძის განცხადებით, ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული სამსახურიდან დათხოვნილ პირთა საკომპენსაციო თანხების დაფინანსება. გარდა ამისა, მისი თქმით, ქვეყანაში ცხოვრება ძალიან გაძვირდა, მოსახლეობის შემოსავლები კი არ მომატებულა. თუ პერისა და ბენზინის, ყველაფრის გაძვირების ფონზე ბიუჯეტს გაზრდით, ეს მოსახლეობისთვის არანაირი შეღავათი არ იქნება, – აღნიშნა გამყრელიძემ.

ინტერ-პრესი.

◎ დოკუმენტი

ზვიად გამსახურდიას მიმართ შეწყდა სისხლის სამართლის საქმე და სისხლისსამართლებრივი დევნა

კ. გამსახურდიას სახლ-მუზეუმის გახსნასთან დაკავშირებით მიმდინარე სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესრულების დროს მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა პირი, რომელთა სახლებიც აღებული იქნა, დაკმაყოფილდნენ საცხოვრებელი ბინებით. როგორც სახლ-მუზეუმის გახსნის, ისე მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები პირთა გამოსახლებისა თუ მათი სხვა ბინებით დაკმაყოფილების თაობაზე საქართველოს პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას ერაიმე მითითება არ მიუცია და შესაბამისად საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულებები, რაც აღნიშნულ ეპიზოდში მას ბრალად აქვს შერაცხული.

ამრიგად, მიმოხილული და გაანალიზებული მტკიცებულებებით უტყუარადაა დადასტურებული, რომ შესაბამის მტკიცებულებათა გარეშე ზვიად გამსახურდიას უსაფუძვლოდ შერაცხა თანამდებობის ბოროტად გამოყენება და სახელმწიფოსათვის ზარალის მიყენება, რის გამოც ხსენებულ ეპიზოდში მის მიმართ სისხლის სამართლი საქმე და სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა შეწყდეს წარმოებით საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – არ არსებობს რა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება.

5. გამოძიებით ასევე მოპოვებული არაა მტკიცებულებები, რომლითაც დასაბუთებული იქნებოდა ზვიად გამსახურდიას ბრალდება განსაკუთრებით დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონების გაგაცების მიზნით დამნაშავეთა ჯგუფის ორგანიზებაში, რომელთა დახმარებით და ხელშეწყობით თითქოსდა მან, სხვადასხვა დროს, ცხრა დანაშაულებრივ ეპიზოდში 21.667.000 მანეთი გაიგაცა და გაფლანგა, ასევე პირადი სარგებლობისათვის „მერსედეს ბენცის“ ფირმის ჯავშნიანი ორი ავტომანქანა, ასევე „პეერს“ მარკის მეკრეტავრუ[illegible] ელბრ ირგალიანი-[illegible]

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „სრ“ № 161-166, 168-176, 178-180.

სი მიითვისა და მათი გაფორმებისათვის დიდი ოდენობის სახელმწიფო თანხები არამიზნობრივად გახარჯა.

მტკიცებულებით ასევე ვერ ჰპოვა დადასტურება ზვიად გამსახურდიას ბრალდებამ – ეკონომიკის და ფინანსთა მინისტრთან გურამ აბსანძისთან და თანამდებობის სხვა პირებთან მონაწილეობით მის მიერ განსაკუთრებით დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონების გაგაცების მიზნით დამნაშავეთა ჯგუფის ჩამოყალიბებამ და ცხრა დანაშაულებრივ ეპიზოდში 21667000 მანეთის გაგაცებამ, მითვისებამ და გაფლანგვამ.

საქმეზე გამოძიების განახლების შემდეგ, 2004 წლის 3 აპრილს, მოწმედ დაკითხულმა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის ლექტორმა გულთაშ ღაბარტყავამ აჩვენა, რომ იგი 1991 წელს საქართველოს რესპუბლიკის „ბინსოცბანკის“ გამგეობის თავმჯდომარის მოადგილედ მუშაობდა.

ქ. თბილისში საგანგებო მდგომარეობის გამო, რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს, მინისტრთა საბჭოს, ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროს, ასევე ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობის დავალებით, „ბინსოცბანკის“ ისნის განყოფილებიდან სამთავრობო ხარჯებისათვის გაცემულ იქნა 2167000 მანეთი, მათ შორის, 1991 წლის 26 დეკემბერს 27000 და 25000, 27 დეკემბერს – 140000, 29 დეკემბერს – 160000, 1992 წლის 1 იანვარს – 50000, ხოლო 2 იანვარს – 100000 მანეთი.

ხსენებული თანხის გაცემა ბანკის ისნის განყოფილებიდან იმიგომ მოხდა, რომ „ბინსოცბანკი“ და მისი ქ. თბილისის საოპერაციო სამმართველო დედაქალაქის ცენტრში – პუშკინის ქუჩის №3-ში მდებარეობდა, სადაც იმ დროს საბრძოლო მოქმედებები მიმდინარეობდა და უსაფრთხოების მიზნით დაკეტილი იყო.

აღნიშნულის გამო მთავრობის გადაუდებელი ხარჯების ოპერაციები დროებით „ბინსოცბანკის“ ისნის განყოფილებაში გარდებოდა. მსგავსი ოპერაციები, შედარებით მშვიდობიან პერიოდში, როგორც წესი ხორციელდებოდა მინისტრთა კაბინეტისა და ფინანსთა სამინისტროს სპეცხარჯების ანგარიშებიდან, რომელიც „ბინსოცბანკის“ თბილისის სამმართველოში, პუშკინის №3-ში იყო გახსნილი.

პირადად მის მიერ, თავის დროზე დაისვა საკითხი საქართველოს ეროვნული ბანკისა და ფინანსთა სამინისტროს წინაშე, ისნის განყოფილებიდან გაცემული 2167000 მანეთის „ბინსოცბანკის“ ქალაქის საოპერაციო სამმართველოს დებეტზე დასმის შესახებ, რათა მისი დაფარვა მომხდარიყო მთავრობის სპეციალიშნულების ანგარიშიდან. ამდენად, მითითებული თანხების გაგაცებას არავის მხრიდან აღგილი არ ჰქონია, ხოლო 1992 წლის 24 იანვარს, მის მიერ საკითხის კანონიერ გადაწყვეტამდე დაკავებული თანამდებობიდან იქნა გათავისუფლებული.

ტ. 103, ს. ფ. 343-345.

1990 წლის 22 ნოემბრიდან 1992 წლის 4 იანვრამდე გურამ აბსანძეს ეკავა საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილისა და ფინანსთა მინისტრის თანამდებობა.

(გაგრძელება იქნება).

◎ მომხმარებელს აბუჩად იგდებენ

დაგველაპარაკე, კაცი არა ხარ?!

მე თქვენთან სალაპარაკო არაფერი მაქვს, სასწრაფოდ მოუსვით აქედან, თორემ ძალით გაგყრით, დაემუქრა შემმოწმებლებს ობიექტის ხელმძღვანელი

ვინ უნდა დაგველაპარაკებოდა და არ დაგველაპარაკა? არის ვინმე, როგორც თვითონ განაცხადა, ყაჯრიშვილი – ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე 75-ე კორპუსში (ნოგარიუსის გვერდით) გახსნილი სასურსათო მაღაზიის მეპატრონე, რომელმაც თუ გაიგო, რომ რაღაცის შესამოწმებლად მიხვედი, შვილიც რომ მოუნათლო, ძაღლს მოგიქსევს და გამოგაგდებს.

თუმცა ძაღლი რაში სჭირდება, როცა თვითონაც მაგრად არის დახელოვნებული მისთვის არასასურველი პირების მაღაზიიდან გამოყრაში. სხვის მოყოლილს არ გეუბნებით, ეს ყველაფერი საკუთარი თვალით ვნახე, როცა დასახელებულ მაღაზიას საქართველოს მომხმარებელთა და ადგილობრივ მეწარმეთა უფლებების დაცვის ეროვნული ასოციაციის ექსპერტებთან ერთად ვეწვიე.

ამ „წვეულებამდე“ უფრო აღრე, კერძოდ 19 ივლისს, თურმე ზემოხსენებულ მაღაზიას ამავე ასოციაციის ექსპერტები ვაჟა ხომასურიძე, ზაქრო მოდებაძე და ია გეგეჭკორი ეწვივნენ, მაგრამ სავაჭრო ობიექტის მუშაკებმა კანონით დადგენილი ინფორმაციის მოპოვების საშუალება არ მისცეს. ინფორმაციას ვინ ჩივის, მაღაზიის ხელმძღვანელმა, იმის მაგივრად, რომ თანამშრომლები უსაქციელობისთვის დაეტუქსა, ღანძღვა-გინების კორიანტელი დააყენა და თავადაც „ომში“ ჩართულმა „არამკითხე შემმოწმებლები“ სულ კინწისკვრით გამოყარა.

ექსპერტები მუშგიკრიავს ხომ არ გამართავდნენ, შეურაცხყოფილებმა ისევ რედაქციაში მოსვლა ამჯობინეს (რედაქციასთან ასოციაცას გაფორმებული აქვს ერთობლივი თანამშრომლობის პროგრამა) და მომხმარებელთა უფლებების დასაცავად დახმარება გვთხოვეს. იფიქრეს, ჟურნალისტთან ერთად რომ ვიქნებით, მაღაზიის თავნება ხელმძღვანელი იქნებ გონს მოეგოს და ადამიანურად დაგველაპარაკოსო.

თქვენც არ მომიკვდეთ, მოვაჭრეები ჟურნალისტის დანახვამ და ექსპერტებთან ერთად თავად ასოციაციის პრეზიდენტის, პროფესორ ლევან ბაღდავაძის გამოჩენამ კიდევ უფრო გააცოფა – ვერც პროდუქტებს გაგასინჯებთ, ვერც ინფორმაციას მოგცემთ და, საერთოდ, მაღაზიაში ფეხს არ შემოგადგმევინებთო.

– ამის უფლება არა გაქვთ, – ეუბნება ბატონი ლევანი, – არათუ ასოციაციის ექსპერტებს, ყველა მომხმარებელს აქვს უფლება, მოითხოვოს სერტიფიკატი, ინფორმაცია პროდუქციის ვარგისიანობის შესახებ, როცა მას ყიდულობს.

– არა, არა გაქვთ უფლება, მორჩა და გათავდა, – თქვა მოვაჭრით მაღაზიის ბუღალტერმა. – მოიტანეთ სასამართლოს გადაწყვეტილება და ისე შეგვამოწმეთ.

– ჩვენ არ გვჭირდება სასამართლოს გადაწყვეტილება, აი, ამის დამადასტურებელი დოკუმენტიც. გთხოვთ, ჩაიხედოთ და დარწმუნდებით, – უხსნის წყნარად ასოციაციის პრეზიდენტი.

ამ კამათში იყვნენ, რომ გვერდით ოთახიდან გამოვარდა ვიღაც ახოვანი მამაკაცი, რომელმაც ყვირილით და ლანძღვა-გინებით აიკლო იქაურობა.

– რაგომ გვეჩხუბებით და გველანძღავთ, – შეეცადეთ დაგვემშვიდებინა უფროსი, არ შეიძლება კაცურად დაგველაპარაკოთ და ისე გავარკვიოთ რის უფლება გვაქვს და რისი არა?

– არა, მე თქვენთან სალაპარაკო არაფერი მაქვს, სასწრაფოდ მოუსვით აქედან, თორემ ძალით გაგყრით!

ასეც მოიქცა, თან სასამართლოთი დაგვემუქრა – ეგყობა, „კრიშის“ იმედით.

რაგომ მოიქცა ასე, თუ მაღაზიაში ყველაფერი წესრიგშია და, როგორც იტყვიან, მის უფროსს „თავი ქუდში აქვს“? აი, სწორედ ამის იმედი რომ არ ჰქონდა. ამიტომ ახგა. აქეთ დაიწყო მოწოლა. იქით რომ არ შეეღავებოდით. ეტყობა, ბევრი სხვა ობიექტის მსგავსად, აქაც იყიდება ვადაგასული, ფალსიფიცირებული, საკვებად უვარგისი პროდუქტები, ალკოჰოლური სასმელები და სხვა უამრავი რამ, რომელთა გამომზეურება მაღაზიის მეპატრონეს, ბუნებრივია, სულაც არ ეპიტნავებოდა.

ყველაფერს რომ თავი დაეანებოთ, მაღაზიას მისი საქმიანობისა და პროფილის ამსახველი აბრაც კი არა აქვს, რითაც უხეშად ირღვევა „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ კანონი (მუხლი 5,2 და 6,3) მოთხოვნები.

რადგან კანონი ვახსენე, მაღაზიის პატრონს ხელმძღვანელს აქვე გაზეთის საშუალებით (კანონებს არ კითხულობს და იქნებ გაზეთი მაინც წაიკითხოს) გვინდა, ავუხსნათ ზოგი რამ, რის შესრულებაც მას ეევალება, მაგრამ ჯიუტად არ ასრულებს.

მას, როგორც ჩანს, ერთხელაც არ გადაუშლია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, თორემ ეცოდინებოდა, რომ მისი 153-ე მუხლის მიხედვით, მომხმარებლისათვის კანონით გათვალისწინებული ინფორმაციის მიუწოდებლობის ან არასწორი და არასრული ინფორმაციის მიწოდებისთვის დაწესებულია ჯარიმა 100-დან 150 ლარამდე. იქვე ნათქვამია, რომ ინფორმაცია უნდა გაიცეს ქართულ ენაზე, თანაც სწორად და სრულად, თორემ ფიზიკური პირი დაჯარიმდება 200-დან 400 ლარამდე, ხოლო იურიდიული პირი – 500-დან 800 ლარამდე.

ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში ვერც ქართულად და ვერც რუსულად ვერავითარი ინფორმაცია ვერ მივიღეთ. სამაგიეროდ მშობლიურ ენაზე ისეთი ლანძღვა მოვისმინეთ, ყური ნუ გაიგონებს!

კიდევ მოვიშველიოთ კანონი? კი ბატონო. „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ კანონში (33-ე მუხლი) შავით თეთრზე წერია, რომ „მომხმარებელთა საზოგადოებრივი გაერთიანებები უფლებამოსილნი არიან – მოაწყონ პროდუქციის ხარისხისა და უსაფრთხოების დამოუკიდებელი ექსპერტიზა“.

ბატონო ყაჯრიშვილო (თუ მართლა ყაჯრიშვილი ხართ), ახლა რაღას იტყვით? მომხმარებელთა უფლებების დაცვის ასოციაციის წარმომადგენლებმა არ იციან თავიანთი უფლება-მოვალეობანი, თუ თქვენ ვერ ერკვევით კანონებში? უბედურებაც ისაა, რომ თავად ვერ ერკვევით და სხვებსაც არ გინდათ მოუსმინოთ. ამით ორმაგ დანაშაულს სჩადით – კანონებსაც არღვევთ და მომხმარებელთა უფლებებსაც, თანაც იგინებით. ეს უკვე მესამე დანაშაულია.

ხედავთ, ერთბაშად რამდენი დანაშაული გაპაგიეს მომხმარებელთა უფლებების დამცველებმა? თუმცა, თავს ნუ დაიარხეინებთ, დარწმუნებული არ ვარ, რომ ისინი ყველაფერს ჩაყლაპავენ და პასუხს არაფერზე მოგთხოვენ!

ოთარ ხუციშვილი.

◎ ინფორმაცია

დანიშვნა

პოეტი

ახალ ამპლუაში

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელად ცნობილი ქართველი პოეტი რაგი ამაღლობელი დაინიშნა.

განათლების მინისტრის ალექსანდრე ლომაიას თქმით, რაგი ამაღლობელი კარგად არის ცნობილი ქართული საზოგადოებისთვის და უაღრესად საინტერესო პოეგია. „მნიშვნელოვანია ისიც, რომ ის არანაკლებ ცნობი-

ლია მისი ზუსგად ფორმულირებული სამოქალაქო პოზიციით. რაგის პოზიცია მის შემოქმედებით ასპარეზზე გამოზენასთან ერთად განისაზღვრა. ძალიან მიხარია, რომ რაგი შემოუერთდა ჩვენს გუნდს და ღღეიდან ყველა მთავარ სიახლეს განათლებისა და მეცნიერების სფეროში რაგისაგან შევიგყობთ“, – აღნიშნა მინისტრმა.

ბანილვა

ინვესტიციათა

მოზიდვის

ხელშესაწყობად

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო დღეს „გაკოგრების შესახებ“ კანონპროექტს განიხილავს. განხილვაში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის გაკოგრების კანონმდებლობის ექსპერგი მაპემ უგამჩანდანიც მიიღეს მონაწილეობას.

შეხვედრას ასევე დაესწრებიან საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსა და ქვეყანაში მოქმედი დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

როგორც „ინგერ-პრესს“ იუსტიციის სამინისტროს პრესსამსახურში განუცხადეს, პროექტის მიზანია ქვეყანაში ეკონომიკის განვითარებისათვის აუცილებელი საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საქართველოში ადგილობრივი თუ უცხოური ინვესტიციების მოზიდვას.

ინტერ-პრესი.

◎ ჟურნალისტი მივლინებიდან დაბრუნდა

2. „ბათუმს ქათქათას, ბათუმს თვალწარმტაცს...“

წინა წერილში ვწერდი, რომ აჭარაში ჩემი შემოქმედებითი მივლინების წარმატებით დასრულებაში დიდი წვლილი შეიტანა ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ მიხეილ მახარაძემ. შეიტყო თუ არა სტუმრობის მიზანი, მაშინვე მკითხა, რითი შემიძლია გემსახუროთო. ჩემთვის, უპირველესი, რა თქმა უნდა, რეგიონებში გასამგზავრებლად ტრანსპორტით უზრუნველყოფა იყო და ბატონმა მიხეილმა ამ პრობლემის მოგვარება უყოყმანოდ იკისრა:

– თქვენი მობილურის ნომერი დამიტოვეთ, თვითონ შეგატყობინებთ, სად და ვინ მოგაკითხავთ. მანამდე, შეგიძლიათ, ქალაქი დაათვალიეროთ.

იცოცხლეთ, ქალაქში გასეირნება დიდი ბედნიერებაა. თოთხმეტი წლის უნახაობის მიუხედავად ბევრი რამ მახსოვს. მახსოვს მისი კრიალა ქუჩები, დიდებული სკვერები, კოხტა სახლები და, რა თქმა უნდა, კეთილმოსურნე და სტუმართმოყვარე ბათუმელები.

მაგრამ ახლა სასეირნოდ და მზერის დასატკბობად არ მცალია. თუ არ ვიყოჩაღე, ეს ერთი კვირა ჩიტივით გამიფრინდება, რედაქციაში კი ხელცარიელი ვერ დავბრუნდები. ამიტომ გავიჩქარე მერიისკენ, სადაც ჩემი ვაჟი, ბათუმის მერიის პრესსამსახურის უფროსი მირიან ლებანიძე მეგულება. სულ ორი თვეა, აქ არის, უკვე მიეჩვია უცხო გარემოსაც და სამსახურსაც, თუმცა მასაც ერთობ რთულ ვითარებაში უხდება მუშაობა.

ბათუმში პირველივე ღღეს დიდი აეიოტაჟი დამხვდა: ძველ ბაზართან თავი მოეყარათ მომიგინგეებს, რომლებიც ბაზრის სხვაგან გადატანის თაობაზე ახალი ხელისუფლების განზრახვას აპროტესტებდნენ. რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ლევან ვარშალომიძის გადაწყვეტილებით შეიქმნა საგანგებო კომისია, რომელმაც ბაზრის ახალ ტერიტორიაზე გადატანა პირველი სექტემბრისთვის უნდა უზრუნველყოს, – მითხრა პრესსამსახურის უფროსმა და იქვე დასძინა: – ბატონ მურმან ბერიძეს შეხედით, ის უფრო სრულყოფილ ინფორმაციას მოგაწვდითო.

ბათუმის მერის დანიშვნა ცოტა გაჭიანურდა. ეს ხელისუფლების პროტესტაგეთა და სიტყვას არ გავაგრძელებ. მხოლოდ აღვნიშნავ, რომ ამ მოვალეობას ასრულებს ბათუმელთათვის ფრიად ავტორიტეტული პიროვნება, გამოცდილი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი **მურმან ბერიძე,** თავის დროზე ქვეყნის მმართველის მიერ შერისხული კაცი. როგორც მითხრეს, ბატონ მურმანს ბიოლიგიკური ამბიციები არ აწუხებს, მას მხოლოდ თავისი უშუალო საქმე აინტერესებს. სწორედ ამით უნდა გამოხატოს თავისი შესაძლებლობებიც და მისწრაფებაც, რომ რესპუბლიკის ახალი ხელმძღვანელობის ჩანაფიქრი განხორციელდეს, ქალაქი ქალაქს დაემსგავსოს და ადამიანებს ყოფა-ცხოვრების ნორმალური პირობები შეექმნათ.

მაგრამ მისი მოხელეობა არც ისე ადვილი გამოდგა. ის ხან ქალაქის ერთ კუთხეში იყო და ხან – მეორეში, ხან მომიგინგეებს ესაუბრებოდა და ხან დახმარებისათვის მოსულ ადამიანებს იღებდა. ბოლოს ჩვენი შეხვედრაც შედგა.

უპირველესი, ცხადია, სოციალური საკითხებია. საუბარს ჩვენც ამით ვიწყებთ.

– წლების მანძილზე ინფრასგრუქტურას მხოლოდ ცენტრში ექცეოდა ყურადღება. მაგრამ ქალაქი მარგო მისი ცენტრი ხომ არ არის... როცა საქმეში ჩავიხედეთ, დაეარწმუნდით, რომ ასეთ ცალმხრივ ყურადღებას მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის არავითარი სიკეთე არ მოჰქონდა – მძიმე სოციალური პრობლემები ერთმანეთს ემატებოდა და ახლა თავს იმაზე ვიმტვრევთ, ჩვენი მწირი შესაძლებლობებით მოკლე ხანში მდგომარეობა როგორ გამოვასწოროთ.

– ერთბაშად ყველა საკითხს, ბუნებრივია, ვერ გასწვდებით. და მაინც, რითი დაიწყეთ, რას აქცევთ მთავარ ყურადღებას?

– გზებს. გზებს, საცხოვრებელი სახლების სახურავებსა და ლიფტებს. ეს იმდენად გადაუდებელია, ისე მძიმე სურათია, რომ ვერც წარმოგვედგინა. რახან ხელი მოვკიდეთ, გვინდა, რომ ყველაფერი 10-15 წლის გარანტიით გავაკეთოთ. ბათუმში უპირატესად დახრილი გადახურვაა და ეს საქმეს გვიიოლებს. რომ მოვედი, 108 მოსახლის განცხადება დამხვდა, ახლა 480 მაქვს. 65 სახლის სახურავი უკვე შეკეთებულია. 108 ლიფტიდან 28 მუშაობს. მოგეხსენებათ, ზღვა ხელის ერთ გაწვდენაზეა. ეს კარგიც არის და ცუდიც: სამსართულიანი სახლების სამივე სართული დანესტიანებული იყო. მოსახლეობას სურს, რომ ყველაფერი სასწრაფოდ გამოსწორდეს, მაგრამ ამას უზარმაზარი სახსრები სჭირდება. ეტაპობრივად ყველაფერს მივხედავთ. სამუშაოების პირველი ეტაპი სექტემბრისთვის დასრულდება. მერე ხელახლა გამოვყოფთ ფინანსებს, გადავანაწილებთ და დავიწყებთ მეორე ეტაპს.

– რამდენია ქალაქის ბიუჯეტი, გასწვდებით ამხელა საქმეებს?

– ამჟამად ჩვენი ბიუჯეტი 12 მილიონი ლარია. რა თქმა უნდა, ყველაფრისთვის არ გვეყოფა.

– რითი აპირებთ მის შევსებას, რა წყარო გაგაჩნიათ?

– წყარო, ცხადია, გამოინახება. გუნ– იმაზე მწყდება, რომ ვითომ ხალხის სიკეთეზე მოფიქრალი ძველი ადმინისტრაცია ბიუჯეტის სახსრებს, პირდაპირ რომ ვთქვათ, ანიავებდა. 3,5 მილიონი ლარია გახარჯული ორი თვითმფრინავის შეძენაზე. ისინი, ცხადია, ბათუმელებს არ სჭირდებოდათ – აბაშიძეს ემსახურებოდა. უამრავი თანხა იხარჯებოდა მფრინავთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე. ავიაკომპანიის ერთი ხელმძღვანელი ამჟამად დაკავებულია. საგიგანტო კომპანიებისათვის ავტობუსების შეძენაზეც გვარიანი სახსრებია გაფლანგული. ხალხს ისე მოაჩვენეს, თითქოს მერის უსაფრთხოებას განსაკუთრებული საშიშროება შეექმნა და... 390 ათას ლარად ღირებული „კრაისლერი“ იყიდეს... ეს მანქანა ახლა სად არის, ჯერაც ვერ დაგვიდგენია.

– დავუშვათ და, ის 12 მილიონი მიზნობრივად ეხარჯათ. ეყოფოდათ?

– რა თქმა უნდა, არა. მიმაჩნია, რომ ქალაქის ბიუჯეტი უნდა გაიზარდოს. ხომ გაიზარდა 300 მილიონამდე თბილისის ბიუჯეტი, ბათუმმა რაღა დაუშავა? მისი ბიუჯეტის 80 პროცენტი საგადასახადო მოსაკრებლებით ივსება. ეს კანონიერი პრეტენზიაა და, იმედია, ცენტრი გაითვალისწინებს. რაც შეეხება შევსების სხვა წყაროებს, ესენია კომერციული სტრუქტურები, სახელმწიფო წილის მქონე საწარმოები, ტერმინალი, პორტი. საბაჟოს შემოსავლის 40 პროცენტი აჭარაში რჩება. აქედან ქალაქს არაფერი ეძლეოდა.

– ბატონო მურმან, ქალაქი ზღვას ეკვრის. ეს, ალბათ, დამატებით სიძნელეებს უქმნის გამწმენდ ნაგებობებს. რა მდგომარეობაა ამ მხრივ? ზოგიერთ უბანში საშინელი სუნი დგას, აქა-იქ დამყაყებული წყლის გუბეებიც არის...

– გამწმენდი ნაგებობები ძირითადად ამორგიზებულია. ეს პრობლემა ათწლეულების მანძილზე გროვდებოდა, გამოსწორებით კი ჩვენ უნდა გამოვასწოროთ და რაც შეიძლება, მაგრამ ამჟამად ბიუჯეტი 12 მილიონი ლარია. ეს ფული ბათუმელებს 12 მილიონ ადამიანზე ანგარიშდება. ეს ფული ბევრ ადგილას, ბევრ ამოცანას ეხმარ

საქართველოს რესპუბლიკა
№ 181. პარასკევი, 6 აგვისტო, 2004 წელი.

⊙ მიმოგონება

იმ სუსხიან ზამთარს

მკითხველს ვთავაზობთ მსოფლიოში სახელგანთქმული, გამოჩენილი ქართველი მომღერლის, საქართველოს და სსრ კავშირის სახალხო არტისტის, უკრაინის დამსახურებული არტისტის, საერთაშორისო და საკავშირო კონკურსების მრავალგზის ლაურეატის, პროფესორ ლამარა ჭყონიას ერთ დიდად საინტერესო მოგონებას მისი საკმაოდ ვრცელი მეუღლისადმი. ავტორს მრავალი ქვეყანა აქვს მოვლილი და ბევრი რამის თვითმხილველია.

1956 წელს, ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დამთავრებისთანავე ლამარა ჭყონია მიიწვიეს ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტად. 1960-1968 წლებში იგი იყო ტ. შევჩენკოს სახელობის კიევის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი. 1968 წელს დაუბრუნდა თბილისის საოპერო თეატრს და წლების განმავლობაში, სცხოვრებლად საზღვარგარეთ გადასვლამდე, ილვწოდა აქ როგორც წამყვანი სოლისტი.

ლ. ჭყონია შესანიშნავი პედაგოგია. მან მრავალი გამოჩენილი მომღერალი აღზარდა. ქალბატონ ლამარას ქალიშვილები მისივე მოწაფეები არიან. უფროსი, ნათელა ჭყონია, ვენაში ცხოვრობს და მოღვაწეობს. უმცროსი, ეთერ ჭყონია კი – მადრიდში. ორივეს მრავალჯერ აქვთ მოპოვებული ლაურეატის წოდება და პირველი ხარისხის პრემია ვოკალისტ-პროფესიონალთა საერთაშორისო კონკურსებზე. ამჟამად ისინი წარმატებით გამოდიან მსოფლიოს მრავალ სახელგანთქმულ საოპერო თეატრის სცენაზე.

1962 წლის 20 დეკემბერს უკრაინის მთავრობამ კიევში დიდი წვეულება გამართა ნიკიტა ხრუშჩოვისა და იოსიპ ბროზ ტიტოს პატივსაცემად, რომლებიც იქ ოფიციალურ ვიზიტად იყვნენ ჩამოსული. კიევის ოპერისა და ბალეტის თეატრიდან მიგვიწვიეს მე და საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, უკრაინის სახელგანთქმული ბარიტონი დიმიტრი ტანტიუკი. თუ როგორ ჩაიარა ამ წვეულებამ, ცოტა ქვემოთ გიამბობთ. ახლა კი უნდა გავიხსენო ის მოვლენები, რომლებიც წინ უსწრებდა მას.

1962 წლის ნოემბრის ბოლოს კიევის ოპერისა და ბალეტის თეატრის მთელი დასი საგასტროლოდ მოსკოვში ჩავიდა. ყრილობათა სასახლეში კიევის თეატრის როგორც საოპერო, ისე საბალეტო სპექტაკლებს დიდი წარმატება ხვდა წილად. ამ წარმატებაში მეც შევიტანე წვლილი – რიხარდ ვაგნერის ოპერა „ლოენგრინში“ ელსას როლი შევასრულე. ეს იყო 6 დეკემბერს, ხოლო 9 დეკემბერს, გასტროლების ბოლო დღეს, გაიმართა დასკვნითი გალა-კონცერტი, სადაც კომპოზიტორ მეიერბერის ოპერა „ჰუგენოტებიდან“ პაჟის არია შევასრულე, ვიმღერე, აგრეთვე, კომპოზიტორ კრაპივნიცკის „სოლოვეიკო“ – უკრაინელების საყვარელი სიმღერა. მეცვა ახალშეკერილი, არაჩვეულებრივად ლამაზი, შინდისფერი ხავერდის საკონცერტო კაბა. იმ საღამოს ძალიან დიდი წარმატება მხვდა წილად – კრემლის ყრილობათა სასახლეში შეკრებილი მაყურებელი სცენიდან აღარ მიშვებდა.

კონცერტის მსვლელობის დროს ჩვენთან, კულისებში, მოვიდა თეატრის დირექტორი, ნიკიტა ხრუშჩოვის სიძე, ვიქტორ გონტარი და გამოგვიცხადა, რომ ხრუშჩოვი თეატრის გამოჩენილი მსახიობებისათვის იქვე, ყრილობათა სასახლეში, გამოსათხოვარ ბანკეტს მართავდა, აგრეთვე გაგვაფრთხილა, რომ ხრუშჩოვი თავისი მეუღლითურთ კონცერტის დამთავრებისთანავე პირდაპირ საბანკეტო დარბაზში მოვიდოდა. ამიტომ საკონცერტო კოსტიუმების გამოცვლის დრო აღარ გვექნებოდა, ასე რომ, ბანკეტზე იმავე განსაცმლით უნდა მივსულიყავით.

მართლაც, კონცერტის შემდეგ თეატრის მსახიობები, დირიჟორები, რეჟისორები და დირექტორი, სულ 18 კაცი საბანკეტო დარბაზში მიგვიყვანეს, სადაც ნიკიტა ხრუშჩოვთან ერთად უკვე გვიცდიდა უკრაინის რესპუბლიკის რამდენიმე პარტიული ხელმძღვანელიც. ხრუშჩოვი, როგორც მასპინძელი ყველას ღიმილით შეგვხვდა, მოგვილოცა წარმატება და მაგიდასთან მიგვიწვია. შემდეგ მიუბრუნდა თეატრის დირექტორს ვიქტორ გონტარს, ხელით ჩემზე ანიშნა და ხმამაღლა უთხრა – ეს შავთვალება მშვენიერი გოგონა სუფრის თავში ჩემს გვერდით დასვითო. დირექტორმა პირადად მიმაცილა იქ, სადაც ხრუშჩოვის მეუღლე უკვე იჯდა. თვითონ ხრუშჩოვი მეუღლის გვერდით დაჯდა, მე კი მეორე მხარეს მის გვერდით მდგომ სკამზე მიმითითა.

დასაწყისში, ბუნებრივია, ყველანი დაძაბულები ვიყავით – ჩვენ ხომ პირველად ვუსხედით საბანკეტო მაგიდას დიდი რუსეთის იმპერიის ხელმძღვანელთან ერთად. ეს დაძაბულობა თვითონ ნიკიტა ხრუშჩოვმა განმუხტა, როდესაც კონიაკით სავსე ჭიქა გადაპკრა და ყველას მოუწოდა მისთვის მიებაძათ. ბევრი საღეღრძელო დაილია და თითქმის ყველა შეგარხოშდა, ჩემს გარდა, ვინაიდან მე საერთოდ არ ვსვამ. ხრუშჩოვი ძალიან თავაზიანად მექცეოდა. იგი სხვადასხვა კერძებს მთავაზობდა და უკვირდა, რომ არაფერს ვსვამდი წყლის გარდა. როდესაც გვარიანად შეგარხოშდა, დაიწყო ეპიზოდების გახსენება თავისი ცხოვრებიდან. ყველა ამ ეპიზოდის მთავარი გმირი იოსებ სტალინი გახლდათ. იგი მოურიდებლად, ბოროტი შურითა და ზიზღით იგონებდა სხვადასხვა ეპიზოდებს სტალინის ინგიმური და საზოგადოებრივი ცხოვრებიდან. ილაპარაკა იმაზედაც, რომ სტალინს ქართული ღვინის სმა უყვარდა (თავშეუკავებელ ლოთადაც კი გამოიყვანა იგი), უყვარდა ქალები, რომელთა მიმართ დაუნდობელი იყო, რომ მას მუსიკალური სმენა საერთოდ არ ჰქონდა, წიგნებს სხვები უწერდნენ, არ გააჩნდა არავითარი მადლიერების გრძნობა, ირგვლივ მყოფთაგან არავის აფასებდა, ყველას დასცინოდა და, თქვენ წარმოიდგინეთ, მათ შორის მეც ვიყავი, თქვენი მონა-მორჩილიო. თურმე, ნუ იტყვით, სტალინს მისთვის ჩიბუხიც კი ჩაუკაკუნებია თავში.

ნიკიტა ხრუშჩოვის ეს „მოგონებები“ ყოველგვარ ზნეობრივ ზღვარს რომ გასცდა, მისი მეუღლე, ეტყობა, ამით ძალიან შეწუხდა და ხშირად ექაჩებოდა ქმარს პერანგის სახელოზე, თანაც ემუდარებოდა: „ნიკიტუშკა, უკვე გვიან არის, გეყოფა ამდენი სმა, წასვლის დროა!“ ეს მართლა „ნიკიტუშკა“ კი თავისას არ იშლიდა.

ავბედითი ბანკეტი ჩემთვის და ჩემი ოჯახისათვის მეგად სამიანო და სავალალო გამოდგა.

კიევის თეატრში მუშაობდა ერთი საკმაოდ ნიჭიერი და ენერგიული რუსი რეჟისორი ირინა მოლოსტოვა, რომელიც იმ ბანკეტს ესწრებოდა. ჩანს, ძალიან მოუნდა თავი გამოეჩინა, ხელში სასმისი აიღო და სიგყვა მოითხოვა. სადღეგრძელო დაიწყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ქება-დიდებით, შემდეგ ხოგბა შეასხა უკრაინის მთავრობას და თეატრის დირექტორს, კერძოდ, აღნიშნა, რომ მათი წყალობით თეატრში დემოკრატიული და ინტერნაციონალური სულისკვეთება სუფევსო. ამის დამდასტურებლად მან მოიყვანა ის ფაქტი, რომ კიევის ოპერისა და ბალეტის თეატრში, უკრაინელებთან ერთად, მუშაობენ რუსები, ებრაელები, თათრები, სომხები, ქართველები...

– ქართველებიო! – იყვირა ნიკიგამ და ირინა მოლოსტოვას სიტყვა შეაწყვეტინა, ხმამაღლა ჩაეძია:

– ქართველები? ვინო?!

მოლოსტოვამ არტისტული ეესტით ჩემკენ გამოიშვირა ხელი და თან დააყოლა: „აი, თქვენ გვერდით რომ ზის შავთვალება მშვენიერი მომღერალი (გაიმეორა მან ხრუშჩოვის მიერ აღრე ჩემზე ნათქვამი ფრაზა), ის ხომ ქართველია!“

ამ სიტყვების გაგონებაზე ნიკიგას, ეტყობა, ელდა ეცა, ძალიან მკვეთრად შემოტრიალდა ჩემკენ სავსე ჭიქით ხელში და კონიაკი გადმომასხა ახალთ-ახალ საკონცერტო ხავერდის კაბაზე, თან ღვარძლიანად კბილებში გამოსცრა: „Как, вы и грузинку пригрели?!“.

მე შიშმა ამიგანა. ნიკიგას კი, ეტყობა, ხასიათი გაუფუჭდა და ბანკეტიც მალე დაიშალა.

ყრილობათა სასახლიდან გამოსვლის დროს კარებთან წამომეწია აღელვებული ვიქტორ გონტარი და შეწუხებულმა წამოიძახა: „რა ეშმაკი შეუჯდა იმ მოლოსტოვას, რომ ასეთი სადღეგრძელო წარმოთქვა. კიევში ჩასვლისთანავე ვაპირებდი შენთვის კარგი ბინის გამოყოფას და შენს წარდგენას უკრაინის სახალხო არგისგის წოდებაზე. ახლა კი, შექმნილ სიტუაციაში, მე ეს ნამდვილად გამიჭირდება!“

სასტუმრო „მოსკოვში“ დილის ხუთ საათზე დავბრუნდი. ჩემს მეუღლეს, მორისს, არ ეძინა, მიცდიდა. რაღა თქმა უნდა, მას ყველაფერი დაწვრილებით მოვუყევი. სიმწრით შეძენილი კაბის გაფუჭების გამოც ორივეს ძალიან დავეწყვა გული (ხავერდს ლაქები აღარ მოშორდა და მისი გამოყენება უკვე აღარ შეიძლებოდა, ამიგომ გადავწყვიტეთ კაბა რელიკვიასავით შეგვენახა, ისე, მოსაგონებლად).

ახლა კი დავუბრუნდეთ კიევის მოვლენებს. უნდა ითქვას, რომ 19 დეკემბერს მთელი კიევი ფეხზე დადგა იუგოსლავიის პრეზიდენტ იოსიპ ბროზ ტიტოსა და ნიკიგა ხრუშჩოვის უკრაინაში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოსვლასთან დაკავშირებით. 20 დეკემბერს, საღამოს, დიდი სამთავრობო ბანკეტი გაიმართა.

ძალიან აველელდი, როდესაც [illegible] ირინა მოლოსტოვა [illegible] და მითხრა: „ხრუშჩოვს ძალიან მოეწონა შენი შესრულებით „სოლოვეიკო“ და უკრაინის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ ბანკეტზე ეს სიმღერა შენ უნდა იმღეროო. ამის გაგონებაზე ელდა მეცა. კარგად მახსოვდა კრემლის ყრილობათა სასახლეში ხრუშჩოვის მიერ წამოძახილი სიტყვები: „Как, вы и грузинку пригрели?!“.

გამოსვლის წინ მთელი ძალღონე მოვიკრიბე და, როგორც იქნა, გული გავიმხნევე: ბოლოს და ბოლოს, რა უნდა მოხდეს, ხომ არ შემჭამენ-მეთქი. ასე გავედი სცენაზე და, მაღლობა ღმერთს, კარგად ვიმღერე, ალბათ, იმაზე უკეთესადაც კი, ვიღრე მოსკოვში. სხვადასხვა მაგიდებიდან გაისმა აპლოდისმენტები და შეძახილები – ბრავო, ბრავოო! იოსიპ ბროზ ტიტო ადგილიდან წამოიჭრა, ჩემთან მოვიდა, წარმგება მომილოცა და ხელზე მეამბორა, თანაც გამართული რუსულით რამდენიმე თბილი სიტყვის თქმაც მოასწრო, სანამ მის გვერდით ხრუშჩოვი გაჩნდებოდა. ტიტო მოუბრუნდა ხრუშჩოვს და აღფრთოვანებით უთხრა: „რა კარგად მღერის ეს უკრაინელი ქალი. მინდა იუგოსლავიაში მივიწვიო გასტროლებზე“. ხრუშჩოვმა ცივად უპასუხა: „მე ვიცნობ ამ უკრაინელ ქალს. რომ იცოდეთ, სინამდვილეში იგი ქართველია!“. ითქვა თუ არა ეს, მაშინვე ორივენი უსიტყვოდ, ცივად შეტრიალდნენ და თავიანთ მაგიდას დაუბრუნდნენ. ბანკეტიც მალე დამთავრდა.

მორისი კი, ჩემი „პირადი მცველი“, როგორც ყოველთვის, ქუჩაში მიცდიდა. დავბრუნდით მინ, მაგრამ რაღა დაგვაძინებდა!

კაცობრიობის ისტორიამ შეოგვინახა იმის უამრავი მაგალითი, რომ საქვეყნოდ ცნობილ ადამიანებს საშინელი უმადურობა გამოუჩენიათ თავიანთ მოამაგე პირვნებათა მიმართ და რომ ეს უმადურობა თვით ბიოლოგიურ სიძულვილშიც კი გადადიოდა. რაოდენ დიდი ძალაუფლებაც უნდა ეპყრათ ხელთ ასეთი სიძულვილით გამსჭვალულ ადამიანებს, ისინი ხომ მაინც საოცრად პატარა არსებებად რჩებიან, რომლებიც კონტროლს ვეღარ უწევენ თავიანთ საქციელს.

როგორც უკვე გიამბეთ, ამის ცოცხალი მოწმე უნებლიედ ორგზის მეც გახლდით, თანაც ამ სიძულვილის სუსხი თავადაც მწარედ გადმომწვდა.

ლამარა ჭყონია.
მადრიდი,
2004 წლის ივლისი.

⊙ თაობა

ეს ხუთი და სხვა მრავალი...

ნორჩ მათემატიკოსთა 45-ე საერთაშორისო ოლიმპიადა ათენში

დიახ, უკვე გვაქვს ხუთი მედალი, ათენიდან ჩამოგანილი, ბრინჯაოს ჩამოსხმისა. რა ვუყოთ, რომ დიდი ოლიმპიადა ჯერ არ დაწყებულა, სამაგიეროდ, მცირე დამთავრდა კიდეც. ლაპარაკია საერთაშორისო მათემატიკურ ოლიმპიადაზე, რიგით 45-ზე, რომელიც სულ ახლახან გაიმართა საბერძნეთის დედაქალაქში. ჩვენმა ბიჭებმა, პროფესორ ლერი გოგოლაძისა და დოცენტ გია ბარელაძის უკვე ტრადიციული ხელმძღვანელობით, წლეულს 5 ბრინჯაოს მედალი და 1 სიგელი მოიპოვეს (გუნდი ექვსმოსწავლიანია და ამრიგად, უჯილდოოდ არავინ დარჩენილა). ეს შედეგი უკეთესია შარშანდელ ერთ ვერცხლსა, ორ ბრინჯაოსა და სამ სიგელთან შედარებით.

ახლა კი გავეცნოთ ამ „ჩვენს ბიჭებს“: ივანე გოქაძე, ქუთაისის ოცხელის სახელობის გიმნაზიის XI კლასელი (პედაგოგი გოჩა გოგაძე), 42 შესაძლებელი ქულიდან 20 მოაგროვა; ალექსანდრე ლომაძე, თბილისის გეგელიას სახელობის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა-ინტერნატის X კლასელი (პედაგოგი – მალხაზ ჯინჭარაძე), 23 ქულა; ირაკლი მერაბიშვილი, სრულიად ანალოგიური მონაცემებით; გიორგი ორველაშვილი, იმავე სასწავლებლის XI კლასელი (პედაგოგი – გელა მანელიძე), 20 ქულა; ავთანდილ რუხაძე, ქუთაისის რაზმაძის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური გიმნაზიის XI კლასელი (პედაგოგი – გენადი მარგველაშვილი), 23 ქულა; დავით ცირეკიძე, თბილისის გეგელიას სახელობის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა-ინტერნატის X კლასელი (პედაგოგი – მალხაზ ჯინჭარაძე), 14 ქულა. აქედან, პირველი ხუთია ბრინჯაოსანი, მეექვსეს სიგელი ხვდა. დასანანია, რომ სამ 23-ქულიანს (ლომაძე, მერაბიშვილი, ორველაშვილი) მხოლოდ თითო ქულა დააკლდა ვერცხლის მედლამდე. ეს გაუმართლებლობის ამბავიცაა...

ჭაბუკი მათემატიკოსების წარმატებაში, რასაკვირველია, მათ პედაგოგებთან ერთად, თვალსაჩინო წელილი შეიტანეს ლერი გოგოლაძემ და მისმა მოადგილემ გია ბარელაძემ. საგულისხმოა, რომ ბატონი ლერი ზედიზედ მეოთხეჯ ვიპყვა საზღვარგარეთ ბიჭებს, ბატონი გიას ასეთი სგაჟი კი ორჯერ მეგია.

ჩვენ მოგვეცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი მათემატიკის კათედრის გამგესთან, პროფესორ ლერი გოგოლაძესთან საუბრის საშუალება. ჩემი შეკითხვები ნაკლებ საინტერესოა, ბატონი ლერის პასუხებს კი „შეჯამებულს“ შემოგთავაზებთ:

– მთელი ეს საოლიმპიადო სამზადისი სოროსის საერთაშორისო-საგანმანათლებლო პროგრამების საფუძველზე დაფინანსდა. ჯერ რესპუბლიკური და „სოროსული“ ოლიმპიადები მოეწყო, საიდანაც, შედეგების მიხედვით, 14 კანდიდატი შეევარჩიეთ. შემდეგ, საერთაშორისო შეჯიბრებებზე მიღებული სტანდარტების მიხედვით, 14 კანდიდატს კიდევ 4 შესარჩევი ტური ჩავუგარეთ და გამარჯვებულთაგან შეავადგინეთ ექვსმოსწავლიანი გუნდი.

ერთთვიანი საწვრთნელი შეკრება გეგელიას სახელობის სკოლა-ინტერნატში გავმართეთ, სადაც დირექტორმა ნათელა კოღონიამ თანამშრომლებთან ერთად კარგი პირობები შეგვიქმნა. ყოველდღიურად 6-8 საათი ვმეცადინეობდით.

საბერძნეთში ორი კვირა დავყავით. მათემატიკურ ოლიმპიადაზე, დელეგაციების მეთაურებს ლიდერებს უწოდებენ, ყველა დიდერი ეიურიში მეღის დაცხადია, მეც გახლდით ეიურის წევრი. 45-ე ფორუმზე 85 ქვეყნიდან შეიკრიბა 486 მონაწილე. ეიურის წევრები ლელფიში მოგვათავსეს, მოადგილეები და უშუალო მონაწილენი – ათენში. ჩვენ მოგვიანებით ჩავედით საბერძნეთის დედაქალაქში.

საკონკურსო ამოცანებზე ყმაწვილები ორი დღე მუშაობდნენ – სამ-სამი ამოცანა უნდა გადაწყვიტათ პირველ დღესაც და მეორესაც.

ოლიმპიადა რიგიანად იყო ორგანიზებული და მასპინძლების მიმართ სასაყვედურო არაფერი გვაქვს. ოფიციალურად გუნდური შედეგები არ ცხადდება, მაგრამ შემიძლია გითხრათ, რომ, როგორც ყოველთვის, ძლიერად გამოვიდნენ ჩინეთის, აშშ-ისა და რუსეთის წარმომადგენლები. შარშანდელთან შედარებით ხუთი ადგილით წინ გადაგვინაცვლებია. სხვათა შორის, როდესაც ეროვნული თვალსაზრისით, ხუთი მედალი არასოდეს ჩამოგვიგანია.

ახლა ჩვენი გულისტკივილიც უნდა გაგიზიაროთ. საერთაშორისო მოსწავლეთა ოლიმპიადები მრავალსაგნობრივია და იქ მოპოვებული წარმატებები, ერთის მხრივ, ნათლად წარმოაჩენს ქვეყანაში არსებულ განათლების დონეს, მეორეს მხრივ, მშვენიერი სტიმულია მოზარდი თაობისათვის.

ყველგან, მათ შორის, დსთ-ის ქვეყნებშიც, მოსწავლეებთან მთელი წლის განმავლობაში მუშაობენ და შესაბამისად, ამ შრომის ანაზღაურებაც ხდება. გარდა ამისა, უცხოეთში ერთმანეთს იწვევენ თავიანთ ქვეყნების ოლიმპიადებზე და სულ ცოტა, ორ ფურუმში მაინც მონაწილეობენ საერთაშორისომდე. ეს ჩინებული წერთნა არის ჭაბუკებისათვის. ასეა, მაგალითად, ბულგარეთში, რუსეთში, ბელორუსიაში, უკრაინაში, მოლდავეთში.

ჩვენ კი აქ, საქართველოში, ანაზღაურებასაც მოკლებული ვართ და წინასწარ შეჯიბრებებში მონაწილეობასაც – სხვადასხვა ქვეყანაში.

მოსწავლეთა მომზადებაში ბევრი დამხმარე, დაუფინანსებლობის გამო, უკვე შემოგვეფანტა, მხოლოდ გეგელიას სახელობის სკოლა-ინტერნატის პედაგოგები ვანო კვიტაიშვილი და მალხაზ ქინქაძე შემოგვრჩნენ. კიდევ კარგი, რომ თსუ-ის ალგებრა-გეომეტრიისა და ტოპოლოგიის კათედრის დოცენტი ქეთევან შავგულიძე შემოგვემატა.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის საერთაშორისო ოლიმპიადებზე გამარჯვებები ხომ უნდა იყოს პრესტიჟული! ჩვენდამი უყურადღებობა თუ გაგრძელდა, ვაითუ ერთ წელიწადს ჩაგვეშალოს მონაწილეობა და საერთაშორისო წესები ისე მკაცრია, რომ აღდგენა გაგვიჭიანურდება...

ჩემს ერთ „მაინტრიგებელ“ შეკითხვას მაინც „გავაყღერებ“ – ბატონო ლერი, თქვენი ახლანდელი „ფორმით“ რომ მიჯდომოდით ათენში საწერ მაგიდას, რამდენ ქულას მოაგროვებდითმეთქი. გაეცინა:

– ეიურის წევრებმა წინასწარ მარგო ამოცანები კი არა, ამოხსნებიც ვიცოდით და გამიჭირდება თქვენს კითხვაზე პასუხის გაცემა. ისე, უჯილდოოდ ნამდვილად არ დავრჩებოდი...

კიდევ რამდენიმე შტრიხით შევავსებ ლერი გოგოლაძის ნაამბობს. წლევანდელთაგან შარშანდელ 44-ე ოლიმპიადაში ორი მონაწილეობდა: მაშინდელი X კლასელები ივანე გოქაძე (სიგელი მოიპოვა) და გიორგი ორველაშვილი (ბრინჯაოს მედალს დაეუფლა); წლევანდელ X კლასელებს ალექსანდრე (სანდრო) ლომაძეს, ირაკლი მერაბიშვილსა და დავით ცირეკიძეს ყველა მანსი აქვთ ნაკრებ გუნდში გაისადაც მოხვდნენ; სხვათა შორის, სანდრომ პაპის მათემატიკური გენი დაიყოლა – 93 წლის უხუცეს ქართველ მათემატიკოსს, რიცხვთა თეორიის გამოჩენილ სპეციალისტს, პროფესორ გიორგი ლომაძეს ვგულისხმობთ.

ჩვენ ამ ჩკოლის სამი კურსდამთავრებული ბრინჯაოსანი უგამოცდოდ ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში: ივანე გოქაძე – მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, გიორგი ორველაშვილი – ფიზიკის ფაკულტეტზე, ავთანდილ რუხაძე – გამოყენებითი მათემატიკისა და კიბერნეტიკის ფაკულტეტზე.

თამაზ ეგანოიძე.

⊙ ინფორმაცია

<u>განათლება</u>

შენდება ახალი სკოლა

ისანი-სამგორის რაიონში, მარტყოფისა და ნასაკირალის ქუჩების გადაკვეთაზე, გუშინ ახალი სკოლის მშენებლობას ჩაეყარა საფუძველი. მშენებლობის ადგილი განათლების მინისტრმა კახა ლომაიამ და თბილისის პრემიერმა ბიძინა ბრეგაძემ დათვალიერეს.

პრემიერის განცხადებით, 15 წელია, დედაქალაქში ახალი სკოლა არ ამშენებულა. 98-ე საშუალო სკოლის ახალი შენობის მშენებლობა 2005 წლისთვის დასრულდება. მშენებლობის ხარჯებს მთლიანად ქალაქის მერია გაიღებს, სკოლის აღჭურვაზე კი განათლების სამინისტრო იზრუნებს. წელს ამ მიზნით თბილისის ბიუჯეტში 650 ათასი ლარია გათვალისწინებული.

<u>პროექტი</u>

ახალგაზრდები ძეგლებს უვლიან

სამხატვრო აკადემიის რესტავრაციისა და არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტები გუშინ საგურამოში, ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმსა და გურამიშვილების საგვარეულო მარანში გაწმენდითი-წინასაარსებლავრაციო სამუშაოების ჩასაგარებლად გაემგზავრნენ.

როგორც „ინტერ-პრესს“ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორგის სამინისტროს რეგიონალური დეპარტამენტის ხელმძღვანელმა პაპუნა დავითაიამ განუცხადა, აღნიშნული სამუშაოები სამინისტროს მიერ მომზადებული პროექტის „ახალგაზრდები სიძველეებზე“ ფარგლებში ჩაგარდება. უახლოეს მომავალში მსგავსი ღონისძიებების ჩაგარება საქართველოს ყველა რეგიონში, მათ შორის – აღიგენის რაიონის ჭულევის მონასტერში, რაჭაში, გურიასა და სამეგრელოში იგეგმება.

„ყველა რეგიონი გვინდა, მოვიცვათ. ეს არ არის ერთჯერადი პროექტი და იმედი გვაქვს, რომ აღნიშნული სამუშაოების ჩაგარება გრადიციად დამკვიდრდება“, – აღნიშნა დავითაიამ, რომლის მონაცემებით, ასეთი სახის სამუშაოები 1991 წლის შემდეგ აღარ განხორციელებულა.

<u>შენება</u>

ლენგეხში ეკლესია აშენდება

თბილისის მერიის კულტურისა და სპორგის სამსახურის ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების ინიციაგივით, ლენგეხში ახალი ეკლესიის მშენებლობას ჩაეყრება საფუძველი. განყოფილების ინიციაგივით, ძეგლთა დაცვის პროექტის ფარგლებში დღეს ახალგაზრდების 15-კაციანი ჯგუფი ლენგეხში ეკლესიის მშენებლობის მიზნით გაემგზავრება.

ეკლესიის მშენებლობისათვის საჭირო საშენი მასალა ლენგეხში გუშინ გაიგზავნა. დღის მეორე ნახევარში კი ახალგაზრდები სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ დალოცა.

<u>ციხე</u>

„დაბრაგული“ პატიმრები

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის რუსთავის №2 დაწესებულებაში გუშინ არაგეგმიური ჩხრეკა ჩაგარდა. ღონისძიება 10 საათზე დაიწყო და დაახლოებით სამი საათის განმავლობაში გრძელდებოდა.

როგორც „ინტერ-პრესს“ იუსტიციის სამინისტროს პრესსამსახურში განუცხადეს, ჩხრეკა სასჯელაღსრულების აპარაგის თანამშრომლებმა და იუსტიციის სამინისტროს სპეცრაზმმა ჩაგარეს. ოპერაციას სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე შოთა კოპაძე პირადად ხელმძღვანელობდა.

გაიჩხრიკა 800-მდე პატიმარი და მათი საცხოვრებელი ბარაკები. ამოღებულია 20-მდე დანა, სხვა ბასრი და ბლაგვი რკინის საგნები, 6 ჩაქუჩი, რკინის საჭრელი ხერხი, 10-მდე მობილური ტელეფონი, ერთჯერადი შპრიცები და 10 ლიგრი ალკოჰოლური სასმელი „ბრაგა“.

ინტერ-პრესი.

⊙ წუთისოფელი

ცხოვრება გვანჯი ჩიქოვანისა

ჩაწერილი ექიმ დავით კვიტაიშვილის მიერ თბილისის მეორე კოლონიაში, ორთაჭალაში, 1948 წელს



მოგზევნო დღე მშობლებთან გავატარე. დედაჩემი წუთითაც არ მშორდებოდა, მამმზადებდა და თვალცრემლიანი ღმერთს ჩემს მშვიდობით დაბრუნებას ევედრებოდა. მამაჩემი დაღონებული იყო და ჩემს გასამგზავრებლად ყველაფერს მდუმარედ, უსიტყვოდ აკეთებდა.

დილით გამოვემშვიდობე ყველა ჩემიანს და ფრთხილად ჩავედი ზუგდიდში გრიშა ჯიქიასთან, რომელიც ჩემი კარგი მეგობარი იყო. გრიშა ჯიქიამ და პაჭუ ალშიბაიამ მოიყვანეს განთქმული მეეტლე ფუცურა ხარებავა, რომელსაც სწრაფი ცხენები ჰყავდა და გამიყვანეს ზუგდიდის გარეთ, მოშორებით, მიხა ხუხუნის ოჯახში. იქვე შევხვედი დათიკო თოლორაიას. ის ღამე ქეიფში გავატარეთ. ყველანი განიცდიდნენ ჩემთან განშორებას. მეორე დილით დავემშვიდობე ამ ჩემს კეთილისმყოფელებს და ისევ დაიძრა ეტლი, თამამად შევედი სენაკში. მეეტლე კმაყოფილი გავისტუმრე და ერთ პატარა რესტორანში შევიარე. იქ ვნახე სანდრო მესხი, რომელსაც ჰქონდა სასტუმრო „კოლხიდა“. სანდრომ მიმიწვია და მეგობრული პატივი მცა. ჩემმა მდგომარეობამ ძლიერ შეაწუხა. ოქროს თუმნიანი ჩამიდო ჯიბეში. ვუთხარი, რომ ფულის გასაჭირი არ მქონდა, სხვაგვარი დახმარება მჭირდებოდა – უნდა აღელ ბათუმის ბილეთი, რადგან იქ ბიქტორ ლოლუა უნდა მენახა. გავარდა მათემატიკის კათედრის გამგესთან, პროფესორ ლერი გოგოლაძესთან საუბრის საშუალება. ჩემი შეკითხვები ნაკლებ საინტერესოა, ბატონი ლერის პასუხებს კი „შეჯამებულს“ შემოგთავაზებთ:

– მთელი ეს საოლიმპიადო სამზადისი სოროსის საერთაშორისო-საგანმანათლებლო პროგრამების საფუძველზე დაფინანსდა. ჯერ რესპუბლიკური და „სოროსული“ ოლიმპიადები მოეწყო, საიდანაც, შედეგების მიხედვით, 14 კანდიდატი შეევარჩიეთ. შემდეგ, საერთაშორისო შეჯიბრებებზე მიღებული სტანდარტების მიხედვით, 14 კანდიდატს კიდევ 4 შესარჩევი ტური ჩავუგარეთ და გამარჯვებულთაგან შეავადგინეთ ექვსმოსწავლიანი გუნდი.

ერთთვიანი საწვრთნელი შეკრება გეგელიას სახელობის სკოლა-ინტერნატში გავმართეთ, სადაც დირექტორმა ნათელა კოღონიამ თანამშრომლებთან ერთად კარგი პირობები შეგვიქმნა. ყოველდღიურად 6-8 საათი ვმეცადინეობდით.

საბერძნეთში ორი კვირა დავყავით. მათემატიკურ ოლიმპიადაზე, დელეგაციების მეთაურებს ლიდერებს უწოდებენ, ყველა დიდერი ეიურიში მეღის დაცხადია, მეც გახლდით ეიურის წევრი. 45-ე ფორუმზე 85 ქვეყნიდან შეიკრიბა 486 მონაწილე. ეიურის წევრები ლელფიში მოგვათავსეს, მოადგილეები და უშუალო მონაწილენი – ათენში. ჩვენ მოგვიანებით ჩავედით საბერძნეთის დედაქალაქში.

საკონკურსო ამოცანებზე ყმაწვილები ორი დღე მუშაობდნენ – სამ-სამი ამოცანა უნდა გადაწყვიტათ პირველ დღესაც და მეორესაც.

ოლიმპიადა რიგიანად იყო ორგანიზებული და მასპინძლების მიმართ სასაყვედურო არაფერი გვაქვს. ოფიციალურად გუნდური შედეგები არ ცხადდება, მაგრამ შემიძლია გითხრათ, რომ, როგორც ყოველთვის, ძლიერად გამოვიდნენ ჩინეთის, აშშ-ისა და რუსეთის წარმომადგენლები. შარშანდელთან შედარებით ხუთი ადგილით წინ გადაგვინაცვლებია. სხვათა შორის, როდესაც ეროვნული თვალსაზრისით, ხუთი მედალი არასოდეს ჩამოგვიგანია.

ახლა ჩვენი გულისტკივილიც უნდა გაგიზიაროთ. საერთაშორისო მოსწავლეთა ოლიმპიადები მრავალსაგნობრივია და იქ მოპოვებული წარმატებები, ერთის მხრივ, ნათლად წარმოაჩენს ქვეყანაში არსებულ განათლების დონეს, მეორეს მხრივ, მშვენიერი სტიმულია მოზარდი თაობისათვის.

ყველგან, მათ შორის, დსთ-ის ქვეყნებშიც, მოსწავლეებთან მთელი წლის განმავლობაში მუშაობენ და შესაბამისად, ამ შრომის ანაზღაურებაც ხდება. გარდა ამისა, უცხოეთში ერთმანეთს იწვევენ თავიანთ ქვეყნების ოლიმპიადებზე და სულ ცოტა, ორ ფურუმში მაინც მონაწილეობენ საერთაშორისომდე. ეს ჩინებული წერთნა არის ჭაბუკებისათვის. ასეა, მაგალითად, ბულგარეთში, რუსეთში, ბელორუსიაში, უკრაინაში, მოლდავეთში.

ჩვენ კი აქ, საქართველოში, ანაზღაურებასაც მოკლებული ვართ და წინასწარ შეჯიბრებებში მონაწილეობასაც – სხვადასხვა ქვეყანაში.

ბაბრაძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 147-151, 153-166, 168, 170, 173, 174, 176-179.

(ბაბრაძელება იქნება).

◎ ახალი წიგნიდან

ბერნს ჯეიმს მაკგრეგორი:

ევროპა: ბზარები იზრდება

ჰარიმანი დადებითად პასუხობდა ამ კითხვაზე, ყოველ შემთხვევაში იმით, რომ მონაწილეობა მიიღო ჩერჩილისა და სტალინის შეხვედრაში. სექტემბრის შუა რიცხვებში მან თეთრ სახლს მიაწოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბოლო ორ თვეში რუსებთან ურთიერთობამ საგანგაშო სახე მიიღო. მხარეები დუმდნენ, სხვადასხვა პრობლემისადმი მიდგომაში კი განურჩევლობასა და სიჯიუტეს ამჟღავნებდნენ. მოსკოვის პოზიცია იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ „ვალდებულნი“ ვართ დავეხმაროთ რუსეთს და მივიღოთ მისი პოლიტიკა, ვინაიდან „მან ჩვენთვის ომი მოიგო“. თუ ვაშინგტონი არ გაარკვევს თავის დამოკიდებულებას ამ პოლიტიკისადმი, – აფრთხილებდა ჰარიმანი, – რუსეთი მსოფლიოს შანტაჟირებას შეუდგება.

ჰალმა ჰარიმანს საკუთარი აზრის განვითარება სთხოვა. ფიქრის შემდეგ ჰარიმანმა უფრო თავშეკავებული, უფრო სწორად, ორჭოფული პოზიცია დაიკავა. სტალინი, – ბრწმუნებოდა ის, – ხელმძღვანელობს ორი ურთიერთგამომრიცხავი პოზიციით – მეგობრობით დასავლეთთან მიმართებაში და მისდამი ეჭვითა და მტრობით. რუს ხალხს მშვიდობა უნდა, ამის შემდეგ მოკავშირე სახელმწიფოებთან მჭიდრო ურთიერთობების გაგრძელება სურს. მოსახლეობაში სერიოზული შეშფოთების გამოწვევის გარეშე სტალინი მოკავშირულ ურთიერთობებს ვერ გაწყვეტდა. მეორე მხრივ, საბჭოთა ხელმძღვანელობა მწვავედ განიცდის საკუთარი ქვეყნის ეკონომიკურ ჩამორჩენილობას; იგი მეტისმეტად მგრძნობიარე და ეჭვიანია. მარშალის გარემოცვის გავლენიანი პირები დაჟინებით მოითხოვენ დამოუკიდებელი გაღაწყვეტილებების მიღებას იქ, სადაც რუსეთის უსაფრთხოებას ყველაზე მეტად შეეხებიან.

პრაქტიკულად ეს იმას ნიშნავს, – განაგრძნობდა ჰარიმანი, – რომ რუსეთი მომავალში ხშირად მიმართავს ცალმხრივ მოქმედებებს: მოახდენს რუსეთის ეროვნული უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებული გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოს მოსაზრებების ბლოკირებას; მოითხოვს საკუთარი ურთიერთობების დამყარებას მეზობელ ქვეყნებთან.

ჰარიმანის რეკომენდაციაც ორჭოფული ხასიათისა იყო – ევლოთ რუსეთისკენ შემხვედრი მიმართულებით გზის ნახევარზე ოდნავ მეტ მონაკვეთამდე, მაგრამ „მაქსიმალური სიმტკიცით სწრაფად გაეწიათ მათთვის წინააღდეგობა მაშინ, როცა გაჩნდება იმის შეგრძნება: რომ ისინი „არასწორი მიმართულებით“ იხრებიან.

ყოველივე ეს კი რუზველტის გადასაწყვეტს ხდიდა: როდის შეწინააღმდეგებოდა რუსეთს და როდის აპყოლოდა და დაეთმო.

ხისტი კურსის მომხრე ამ ელჩმაც კი აღმოაჩინა რუსი ხალხის გულითადობისა და კეთილი ნების პოტენციალი და ფიქრობდა: რომ, შეიძლებოდა ამ პოტენციალის იმედი ჰქონოდა.

აზია: მეორე „მეორე ფრონტი“

იტალიაში პრეზიდენტი ისე სუსტად გამოიყურებოდა: სახის ნაკვთები ისე დაუგრძელდა და გაუფითრდა, რომ თანამგზავრები ყურადღებით აკვირდებოდნენ, ძალის გამოლევის ნიშნები ხომ არ დაეტყოო. პირველ საღამოს იღენს ის ყურადღებაგაფანტული და მოღუნებული ეჩვენება, ლორდი მორანი კი ისე აღწერდა პრეზიდენტს, როგორც მომაკვდავს, მაგრამ ამერიკელები, რომლებიც მასთან მჭიდროდ მუშაობდნენ კონფერენციაზე – ბირნსი, სტეტინიუსი, ლიხი, ჰარიმანი, – მიიჩნევდნენ, რომ ის ეფექტიანად, ის კი არა, ოსტატურად ხელმძღვანელობდა დელეგაციის მუშაობას.



(გაგრძელება იქნება).

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „სრ“ № 141-144, 148-149, 151, 153, 156-158, 161, 163, 172-175, 179-180.

განცხადება

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო აცხადებს ღია ტენდერს სამოქალაქო აქტების ჩანაწერებისა და რეგისტრაციის მოწმობების ბლანკების შესყიდვაზე. რუსთაველის გამზირი № 30, 0146. თბილისი

შესყიდვის ობიექტებია:

№	მისაწოდებელი საქონლის მოკლე დახასიათება	რაოდენობა	მიწოდების ადგილი	მიწოდების გრაფიკული ვადები
1	სახელის, მამის სახელის, გვარის შეცვლის მოწმობა	700 ცალი	იუსტიციის სამინისტროს საწყობი ქ. თბილისი რუსთაველის 30	1 სექტემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით
	სააქტო ჩანაწერი	700 ცალი		
2	შვილად აყვანის მოწმობა	300 ცალი	იუსტიციის სამინისტროს საწყობი ქ. თბილისი რუსთაველის 30	1 სექტემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით
	სააქტო ჩანაწერი	300 ცალი		
3	ქორწინების მოწმობა	12000 ცალი	იუსტიციის სამინისტროს საწყობი ქ. თბილისი რუსთაველის 30	1 სექტემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით
	სააქტო ჩანაწერი	12000 ცალი		
4	განქორწინების მოწმობა	1600 ცალი	იუსტიციის სამინისტროს საწყობი ქ. თბილისი რუსთაველის 30	1 სექტემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით
	სააქტო ჩანაწერი	1600 ცალი		
5	დაბადების მოწმობა	60000 ცალი	იუსტიციის სამინისტროს საწყობი ქ. თბილისი რუსთაველის 30	1 სექტემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით
	სააქტო ჩანაწერი	60000 ცალი		
6	გარდაცვალების მოწმობა	25000 ცალი	იუსტიციის სამინისტროს საწყობი ქ. თბილისი რუსთაველის 30	1 სექტემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით
	სააქტო ჩანაწერი	25000 ცალი		
7	მამობის დადგენის მოწმობა	8000 ცალი	იუსტიციის სამინისტროს საწყობი ქ. თბილისი რუსთაველის 30	1 სექტემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით
	სააქტო ჩანაწერი	8000 ცალი		
8	სამინისტროს ტიტულოვანი ბლანკები (CT)	20 000 ცალი	იუსტიციის სამინისტროს საწყობი ქ. თბილისი რუსთაველის 30	1 სექტემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით
	სამინისტროს გერბიანი ბლანკები	6000 ცალი		

მოწმობები უნდა შეესაბამებოდეს იუსტიციის მინისტრის 2002 წ. 16 მაისის № 356 ბრძანებით დამტკიცებულ ნიმუშებს. დეტალური აღწერა მოცემულია სატენდერო წინადადებაში. ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია მხოლოდ მკაცრი აღრიცხვა-ანგარიშგების „დაცული“ ფორმებისა და დოკუმენტების პოლიგრაფიულ შესრულებაზე უფლებამოსილ პირებს.

ტენდერში გამარჯვებულების მიერ აღნიშნული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს **2004 წლის 1 სექტემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით** შემსყიდველის მიერ წინასწარ განსაზღვრული საქონლის მოცულობისა და მოწოდების გრაფიკის შესაბამისად, ზემოთ ჩამოთვლილ მისამართებზე ცხრილის მიხედვით.

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა სატენდერო კომისიას „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის შესაბამისად საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოუდგინონ ქართულ ენაზე, (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილ უნდა იქნეს ინგლისურ ენაზე, ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის დართვით) **2004 წ. 20 აგვისტოდან – 23 აგვისტოს 18 საათამდე,** შემდეგ მისამართზე:

თბილისი, (0146), რუსთაველის გამზირი № 30, ოთახი № 62ა, ტელ: 75-83-35

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიული პირებისთვის:

– ცნობას საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მისი ქონება არ არის დაყადაღებული (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

– ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

– ცნობას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ ტენდერში მონაწილეობის მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ არიან ნასამართლევი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

– ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

– ცნობას, გაცემულს ფინანსთა სამინისტროს მკაცრი აღრიცხვა-ანგარიშგების ფორმების განმხილველი კომისიის მიერ.

– ცნობას სახელმწიფო უშიშროების სამინისტროსგან განსაკუთრებული რეჟიმის სტატუსის მინიჭების შესახებ.

– ცნობას სასამართლო ორგანოებიდან იურიდიული პირის ხელმძღვანელი მუშაკის (დირექტორი, პრეზიდენტი) იდენტიფიკაციის შესახებ.

ფიზიკური პირებისთვის:

– ცნობას შესაბამისად უფლებამოსილი ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ იგი ქმედუნარიანია;

– ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ იგი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

– ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

– ცნობას, გაცემულს ფინანსთა სამინისტროს მკაცრი აღრიცხვა-ანგარიშგების ფორმების განმხილველი კომისიის მიერ.

– ცნობას სახელმწიფო უშიშროების სამინისტროსგან განსაკუთრებული რეჟიმის სტატუსის მინიჭების შესახებ.

– ცნობას სასამართლო ორგანოებიდან იურიდიული პირის ხელმძღვანელი მუშაკის (დირექტორი, პრეზიდენტი) იდენტიფიკაციის შესახებ.

ფიზიკური პირებისთვის:

– ცნობას შესაბამისად უფლებამოსილი ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ იგი ქმედუნარიანია;

– ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ იგი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

– ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

– ცნობას, გაცემულს ფინანსთა სამინისტროს მკაცრი აღრიცხვა-ანგარიშგების ფორმების განმხილველი კომისიის მიერ.

– ცნობას სახელმწიფო უშიშროების სამინისტროსგან განსაკუთრებული რეჟიმის სტატუსის მინიჭების შესახებ.

– ცნობას სასამართლო ორგანოებიდან იურიდიული პირის ხელმძღვანელი მუშაკის (დირექტორი, პრეზიდენტი) იდენტიფიკაციის შესახებ.

საკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე.

ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირი გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, დასახელებულ იქნება პრეტენდენტად მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა საკვალიფიკაციო დოკუმენტს და ისინი არ აღმოჩნდება ყალბი.

სატენდერო დოკუმენტაცია პრეტენდენტებს გადაეცემათ მათ მიერ სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდგომ, მისამართზე – საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, რუსთაველის პროსპექტი 30, ოთახი № 62ა ქართულ ენაზე, **2004 წლის 25 აგვისტოდან 27 აგვისტოს 18 საათამდე.**

სატენდერო მოსაკრებლის საბანკო რეკვიზიტებია:

საქ. იუსტიციის სამინისტროს კოდი 117 ა/ა . 000141408, ეროვნული ბანკი კოდი 220101107, საიდენტიფიკაციო კოდი 203845349. სატენდერო მოსაკრებელი (500 ლ.).

სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს ინფორმაციას მისაწოდებელი საქონლის ყველა დასახელებაზე.

სატენდერო წინადადებასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს მისაწოდებელი მოწმობებისა და სააქტო ჩანაწერების ნიმუშები შესრულებული ტენდერში მონაწილის მიერ. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება. ტენდერში გამოვლინდება მხოლოდ ერთი გამარჯვებული.

პრეტენდენტები ყველა დასახელებებზე წარმოადგენენ ერთ საგენდერო წინადადებას დახურული კონვერტით.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ საკონტაქტო პირს – **გოჩა ბიკაშვილი, ტელეფონის ნომერი – 758335, რუსთაველის გამზირი 30, ოთახი № 62ა.**

დამატებითი ინფორმაცია:

სახელმწიფო შესყიდვები რეგულირდება შემდეგი საკანონმდებლო აქტებით:

– საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;

– დებულება „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“;

– საქართველოს კანონი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში დამატებების შეტანის შესახებ“.

ტენდერის პროცედურებში საქართველოსა და უცხო ქვეყნის პრეტენდენტების მონაწილეობის შემთხვევაში საქართველოს პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილ სატენდერო წინადადებების ფასის მიმართ გამოიყენება პრეფერენციული შეღავათი 15 პროცენტის ფარგლებში. პრეფერენციული შეღავათი გამოიყენება მხოლოდ ფასის კრიტერიუმით შეფასებისას და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებული იურიდიული და ფიზიკური პირის მიერ შემოთავაზებული სატენდერო წინადადების ფასი აღემატება უცხოელი პრეტენდენტის სატენდერო წინადადების ფასს არა უმეტეს 15 პროცენტისა.

პრეფერენციული შეღავათი ენიჭება საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მეწარმეებს, თუ მათ მიერ შემოთავაზებული საქონელი წარმოებულია საქართველოს ტერიტორიაზე, რაც დადასტურებული უნდა იქნეს შესაბამისი შესყიდვის ობიექტის წარმოშობის ქვეყნის სერტიფიკატით.

სახელმწიფო შესყიდვების პროცედურის განხორციელების დროს წარმოქმნილი პრეტენზიები გასაჩივრდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის 241 მუხლის, „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების 33-37-ე მუხლებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. იმ პრეტენდენტებს, რომლებიც გადაიხდიან სატენდერო მოსაკრებელს, გადაეცემათ სატენდერო დოკუმენტაცია და განმარტებათა შესახებ ხელშეკრულება.

მძევლების გამტაცებლები „მიზანს ვერ მიაღწევენ“

ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლება აცხადებს, რომ ერაყში სამხედრო კომპანიაში მონაწილე ყველა ქვეყანამ უარი თქვა დათანხმდეს რაიმე დათმობას მძევლების გამტაცებლებთან ურთიერთობაში.

„ჩვენ ყველას მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი საკადრისი პასუხი გავცეთ ტერორისტებს“, – ხაზგასმულია ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გავრცელებულ განცხადებებში. განცხადებამ უნდა შეაგნებინოს მოთარეშეებს, რომ ისინი ვერ მოახდენენ ზემოქმედებას კოალიციის ძალებზე მძევლების გაგაცების გზით.

ერაყში გაათავისუფლეს იორდანიისა და თურქეთის ექვსი მოქალაქე, რომლებიც რამდენიმე დღის წინ აიყვანეს მძევლად. ამას იგყობინებოდა ერთ-ერთი აღგილობრივი ტომის ბელადი შეიხ ჰაჯ იბრაჰიმ ჯასამი. მისი თქმით, მძევლები გააათავისუფლეს მაშინ, როცა მისმა რაზმმა განახორციელა ჩხრეკა დასავლეთ ერაყის ქალაქ ფალუჯის ერთ-ერთ სახლში, რომელშიც დაკავებული ჰყავდათ ოთხი იორდანიელი.

არაბული ტელეარხი „ალ-ჯაზირა“ იუწყებოდა, რომ მოთარეშეებმა გაათავისუფლეს, აგრეთვე, ორი თურქი მძღოლი, მას შემდეგ, რაც მათი კომპანიების ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ შეწყვეტდნენ მუშაობას ერაყში.

მოთარეშეებმა ერაყში მძევლად აიყვანეს უამრავი აღამიანი იმ მიზნით, რომ გამოიწვიონ ქვეყანაში ბოიკოტი ყოველივე იმის წინააღმდეგ, რასაც ამერიკელები აკეთებენ.

გაფთრებული ბრძოლები ნეჯეფში

ერაყის სამხრეთ ნაწილში მდებარე ქალაქ ნეჯეფში ხუთშაბათს მიმდინარეობდა გაფთრებული ბრძოლები ამერიკელ სამხედრო მოსამსახურეებსა და „მაჰდის არმიის“ შიიტთა რადიკალური დაჯგუფების მოთარეშეებს შორის.

როგორც ყატარის „ალ-ჯაზირას“ თანამგზავრული ტელეარხი იტყობინებოდა, ბრძოლები გაჩაღებული იყო ქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ მოედანზე.

მუსლიმანი შიიტების ამ წმინდა ქალაქში ამერიკელებმა შეიყვანეს ჯავშანტექნიკის კოლონები, ნეჯეფის ცაში დაფრინავენ ვერტმფრენები, ქალაქის ცენტრალურ უბნებში ისმის ჭურვებისა და ნაღმების აფეთქების ხმა. არიან მოკლულები და დაჭრილები.

არ არის გამორიცხული, რომ ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეები ცდილობენ, ტყვედ იგდონ შიიტთა იმამი მუქთადა ას-სადრი: როგორც „ალ-ჯაზირა“ იტყობინებოდა, ქალაქში შევიდნენ „მაჰდის არმიის“ მოთარეშეთა რაზმები, რომლებიც აპირებენ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცვან თავიანთი ლიდერი.

ქალაქ ნეჯეფის ირგვლივ წარმოქმნილი ბოლო კრიზისი დასრულდა მაისში, როცა შიიტი სასულიერო პირების სამუშაოლო ძალისხმევის შედეგად მოხერხდა შეთანხმების მიღწევა ცეცხლის შეწყვეტასა და ქალაქიდან ას-სადრის შეიარაღებული მოთარეშეების გამოყვანის შესახებ.

თავის მხრივ, ერაყის თავდაცვის მინისტრმა ჰაზემ ამ-შაალიანმა ნეჯეფში ვითარების გამწვავებისათვის პასუხისმგებლობა ირანს დააკისრა. იორდანიაში ვიზიტად ყოფნისას, ერაყის სამხედრო უწყების მეთაურმა განაცხადა, რომ თეირანი „ცდილობს ერაყში ვითარების დესტაბილიზაციას და ახორციელებს ტერორიზმის ექსპორტს“. ერაყელი მინისტრის მტკიცებით, ირანის სპეცსამსახურები „ერაყში გზავნიან თავიანთ აგენტებსა და დივერსანტებს“.

გუანტანამოს პატიმრები სპეცტრიბუნალებს არ ცნობენ

ამერიკის გუანტანამოს სამხედრო-საზღვაო ბაზაში, სადაც დაკავებული ჰყავთ თალიბების მოძრაობასთან და „ალ-ყაიდასთან“ კავშირში ეჭვმიტანილი 585 კაცი, მუშაობა დაიწყეს სპეციალურმა ტრიბუნალებმა, რომლებსაც ევალებათ დაადგინონ, თუ რამდენად მართლზომიერია ამ ადამიანების პატიმრობაში ყოფნა. პირველი ექვსი პატიმრიდან ოთხმა, რომლებსაც მიეცათ შესაძლებლობა ტრიბუნალისთვის განემარტათ თავიანთი პოზიცია, განაცხადეს, რომ არ სურთ საქმე ჰქონდეთ სპეცტრიბუნალებთან.

როგორც ცნობილია, გუანტანამოს პატიმრებმა წლეულს ივნისში მიიღეს წერილობითი შეტყობინებები სამი სპეციალური ტრიბუნალის მიერ მათი საქმეების განხილვის წესის შესახებ.

ამ სპეციალური პროექტით მუშაობას მეთვალყურეობას უწევს სამხედრო-საზღვაო მინისტრი გორდონ ინგლენდი, რომლის გამგებლობაშიც შედის გუანტანამოს ბაზა. სამ-სამი ოფიცრისგან შემდგარი ეს ტრიბუნალები აპირებენ იმუშაონ დაჩქარებული რეჟიმით. ყოველი მათგანი ღღეში 4-4 პატიმრის საქმეს განიხილავს. შედარებით რთული საქმეების შესწავლას, რა თქმა უნდა, გაცილებით მეტი დრო დასჭირდება. თუმცა მთელი პროცესი, სავარაუდოდ, ნოემბრისთვის უნდა დასრულდეს.

საჰართალდამცველებს მთელი ეს პროცესი მანკიერად მიაჩნიათ, რადგან პატიმრებს არ ჰყავთ ადვოკატები. თითოეულ მათგანს მიუჩინეს ოფიცერი, რომელსაც არა აქვს იურიდიული განათლება. ამ ოფიცრებს ეწოდებათ პატიმრების „პერსონალური წარმომადგენლები“ და ისინი ეხმარებიან გუსაღებს სპეცტრიბუნალის წევრებთან ურთიერთობაში.

კიდევ რამდენ ხანს შეინარჩუნებს შვეიცარია ნეიტრალიტეტს?

შვეიცარიის მთავრობის კაბინეტის სექტემბრის სხდომაზე განიხილავენ ქვეყნის შეიარაღებული ძალების საკითხს. შვეიცარიის თავდაცვის მინისტრმა სამუელ შმიდმა არაორაზროვნად აღნიშნა, რომ სახალხო ლაშქარი, რომელიც ქვეყანაში არმიის როლს ასრულებს, მალე ჩაბარდება წარსულს.

საღღეისოდ ხშირად გაისმის მოსაზრებები იმის თაობაზე, რომ ქვეყანამ თვითონ უნდა უზრუნველყოს საკუთარი თავის დაცვა. თუმცა, მომომხილველთა აზრით, უშიშროების ასეთი კონცეფცია მოძველებულია და მთავრობამ სერიოზულად უნდა იფიქროს იმაზე, გამოდგება თუ არა ასე 10-12 წლის შემდეგ შვეიცარიის არმია დღევანდელი სახით. ევროპის ცენტრში განლაგებული შვეიცარია ვეღარ განუდგება გვერდზე თავისი მეზობლების ძალისხმევას, რომელიც მიზნად ისახავს ევროპის კოლექტიური უშიშროების უზრუნველყოფას.

მართალია, ამ ძალისხმევას ჯერჯერობით არ მოჰყოლია კონტინენტის გაერთიანებული არმიის შექმნა, მაგრამ მოვლენები სწორედ ამ მიმართულებით ვითარდება და შვეიცარიაც უნდა ჩაებას ამ საკითხის განხილვაში, – მიაჩნიათ ექსპერტებს.

მსოფლიო ორგანიზაცია მხარს არ დაუჭერს

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციამ, როგორც ჩანს, გამოიგანა ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც არ იქნება ხელსაყრელი ევროკავშირისათვის. საქმე ეხება ევროკავშირის საკმაოდ გაჭიანურებულ დავას ბრაზილიასთან, გაილანდთან და ავსტრალიასთან შაქრის მწარმოებელი ფერმერებისათვის ფინანსური დახმარების თაობაზე.

ეს სამი ქვეყანა ამტკიცებს, რომ ევროკავშირის მიერ მიღებული შაქრის საექსპორტო სუბსიდიები ეწინააღმდეგება საერთაშორისო ვაჭრობის ნორმებს.

ევროკავშირმა ამ ბრალდებებს ეს ასე უპასუხა: ევროკავშირის ბიუჯეტიდან ფერმერებისთვის გადახდილი სუბსიდიები ეწინააღმდეგება საერთაშორისო ვაჭრობის ნორმებს.

ევროკავშირის ბიუჯეტიდან ფერმერებისთვის გადახდილ სუბსიდიებს ბრაზილია, ავსტრალია და გაილანდია ეწინააღმდეგებიან, ეს ფულები ხელს უშლიან ამ ქვეყნებიდან ევროკავშირში შეტანილ შაქრის ექსპორტს.

ევროკავშირი ამ ბრალდებებს ასე ხსნიდა:

საქართველოს რესპუბლიკა
№ 181. პარასკევი. 6 აგვისტო. 2004 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განცხადება

სსიპ საქართველოს ტელევიზია და რადიომაუწყებლობა აცხადებს საერთაშორისო ღია ტენდერს სატელევიზიო აპარატურის, კომპიუტერული სისტემების და ზოგადი დანიშნულების მოწყობილობების შესყიდვაზე

რეკვიზიტები – ქ. თბილისი კოსტავას ქ. №68

N	საქონლის დასახელება	რ-ბა
	I ლოტი	
1	ფერადი LCD ტელევიზორები აქტიური ანტენით: 6"	3
2	ფერადი ტელევიზორები 17"	7
3	ფერადი ტელევიზორები 21"	2
4	გიბრიდული მინი ატს-ის სრული კომპლექტი - 8 შემავალი ხაზი, 40 შიდა ქსელის ხაზი, 2 სისტემური ტელეფონი და 40 ანალოგური ტელეფონის აპარატი	1
5	ტელეფონის აპარატები ღილაკიანი	50
6	ფაქსი თერმულ ქაღალდზე	12
7	მუსიკალური ცენტრი მინი დისკ პლეიერით	3
8	CD პლეიერი	1
9	ქსეროქსი: A4, სიჩქარე - 12 ეგზ.წთ, წარმადობა - 4000 ეგზ.თვეში	5
10	DVD რეკორდერი კომპონენტური გამოსავლით, iLink (DV) შემავალ-გამომავალი 4 pin-ნი (DVD+RW/-RW/+R/-R)	3
11	DVD პლეიერი თავსებადი რეკორდერის ჩანაწერებთან	5
12	DVD დისკები ერთჯერადი ჩაწერისათვის	200
13	DVD დისკები მრავალჯერადი ჩაწერისათვის	50
14	კონდიციონერები - "ზამთარ-ზაფხული" (4-მცირე სიმძლავრის, 1-საშუალო სიმძლავრის, 2-დიდი სიმძლავრის)	9
	II ლოტი	
1	მინიატურული ფერადი ვიდეოკამერა: CCD - 1/4", Resolution - 420 TVL, Min.Illumination - 0.1 Lux, S/N Ratio - >48dB, White Balance - Auto, Lens - 3.6 mm cone lens, Lens Angle - 70 grad, Audio, Power Source - DC12V	4
2	მცირე გაბარიტიანი ვიდეომაგნიტოფონის კომპლექტი: ვიდეომაგნიტოფონი, მართვის პულტი, აკუმულატორი სწრაფად დასატენი x3 ც., სწრაფად დამტენი მოწყობტლობა	4
3	ჩამწერი ვიდეომაგნიტოფონი: ჩაწერა-აღწარმოების რეჟიმები: DVCAM/DV (SP); შემავალი ვიდეო: ანალოგური კომპოზიტური, 2-კომპონენტიანი S-Video, ციფრული iLINK (DV In/Out) IEEE 1394-ის ბაზაზე; შემავალი აუდიო: ანალოგური სტერეო; გამომავალი ვიდეო: ანალოგური კომპოზიტური, 3-კომპონენტიანი, 2-კომპონენტიანი S-Video, მონიტორი, ციფრული iLINK (DV In/Out) IEEE 1394-ის ბაზაზე; გამომავალი აუდიო: ანალოგური სტერეო, მონიტორი; მართვა: RS-422A, RS-232C, Control S, LANC; მონიტორი თხევად კრისტალიანი 2"	1
4	ჩამწერი ვიდეომაგნიტოფონი: ჩაწერა-აღწარმოების რეჟიმები: DVCAM/DV (SP); შემავალი ვიდეო: ანალოგური კომპოზიტური, 2-კომპონენტიანი S-Video, ციფრული iLINK (DV In/Out) IEEE 1394-ის ბაზაზე; შემავალი აუდიო: ანალოგური სტერეო; გამომავალი ვიდეო: ანალოგური კომპოზიტური, 2-კომპონენტიანი S-Video, ციფრული iLINK (DV In/Out) IEEE 1394-ის ბაზაზე; გამომავალი აუდიო: ანალოგური სტერეო; მართვა: Control S, LANC	1
5	აუდიომონიტორი (10 ვტ) აქტიური	1
6	ვიდეომონიტორი 14" პროფესიონალური მილაკიანი	1
7	ვიდეოკამერის დისკ-რეკორდერის კომპლექტი (კამერაზე მისადგმელი ვარიანტი), გამოიყენება Anton/Bauer, V-Mount (Sony/IDX) NP ან PAG თავსებად პლატებთან, ჩაწერა DTE ფაილების ფორმატში, შემავალ/გამომავალი: DV Video I/O - 25 Mb/s (1x6 pin IEEE-1394), External HDD I/O - up to 400 Mb/s (1x6 pin IEEE-1394), Slot Internal HDD I/O - up to 400 Mb/s (1x6 pin IEEE-1394), GPI&RS-232C Control (1x3.5 mm mini jack). კომპლექტაცია: case, hdd-40 Gb, acumulator-25 wt/hour, AC adapter, DV cable, distance DV 6x4 pin adapter, remote control infrared.	4
8	ვიდეოკამერის დისკ-რეკორდერის კომპლექტი (საქამრე ვარიანტი), შემავალ/გამომავალი: DV Video I/O - 25 Mb/s (1x6 pin IEEE-1394), External HDD I/O - up to 400 Mb/s (1x6 pin IEEE-1394), FireWire Computer I/O - up to 400 Mb/s (1x6 pin IEEE-1394), GPI&RS-232C Control (1x3.5 mm mini jack), ჩაწერა DTE ფაილების ფორმატში, DV ფორმატები: DV, MiniDV, DVCam, DVCPro. კომპლექტაცია: case, hdd-40 Gb, acumulator-25 wt/hour, AC adapter, DV cable, distance DV 6x4 pin adapter, remote control infrared.	2
9	სამონტაჟოებისათვის ვიწრომიმართულებიანი მიკროფონი დინამიური (სუპერკარდიოიდული მახასიათებლით) ანტივიბრაციული სადგამითა და ადაპტერით (დამჭერით)	10
10	მიკროფონის "ანკესი" ალუმინის 3 სექციანი - 2 მ	5
11	პროფესიონალური რადიოსისტემა სამკერდე მიკროფონით (მრავალარხიანი) - კომპლექტი: სამკერდე მიკროფონი, გადამცემი, მიმღები.	5
12	ყურსასმენი რადიოხაზით (კომპლექტი): გადამცემი, მიმღები, ყურსასმენი	5
13	ყურსასმენისა და მიკროფონის გარნიტურა	4
14	სამონტაჟოებისათვის ყურსასმენები	10
15	სარკე-მინა Autocue ტელესუფლიორისათვის 11"	2
16	Canon BCTV Zoom Lense YJ18X9B ობიექტივის პოლარიზაციული ფილტრი 0.75	2
17	ობიექტივის ფილტრების კომპლექტი - პოლარიზაციული + ნეიტრალური (DSR-250 კამერისათვის)	9
18	დამცავი შალითა DSR-250 კამერისათვის	9
19	კამერის კაბელი - 50 მეტრი - 26 pin	2
	III ლოტი	
1	სამონტაჟო კომპიუტერი: P4 2.8c 512kb 800 Mhz S478 / Cooler / Motherboard - i865 / Lan 10/100/1000 x 2 / Case - MidiTower 400w / Memory - RAM 512 Mb DDR PC2700 x 2 / HDD - 80 GB 7200 rpm / CD-ROM - 52x / Video - 64 MB / Keyboard / Mouse - scroll+ Optical / Speakers Active / Floppy - 3.5" 1.44 MB / Monitor - 17" LCD TFT / UPS - 1000VA Smart	1
2	არაწრფივი NLE სამონტაჟო სისტემა მაგნიტოფონის კაბელით და გარე მეხსიერების კარტით: Pentium 4 3,2 GHz C ან E (800 MHz FSB) / MB S478, IEEE 1394, Dual-Channel, SATA Raid 0 / HDD 120 Gb IDE (7200 rpm) ან SATA / 1 GB PC3200 DDR DRAM / FDD 3,5" / SVGA AGP 128 Mb / SVGA Edit Card AGP, IEEE 1394, RCA/S-Video In-Out / CD RW / DVD ± RW / Sound Card / Keyboard+Optical Mouse / Speakers Active / MidiTower 450 W / 17" TFT / IEEE 1394 Cable - 6 pin x 4 pin / Soft / Flash Drive USB 2.0/USB 1.0 - 512 Mb	1
3	სუფლიორის კომპიუტერი: 2.4 128 K S478 / Cooler / Motherboard - i865 Lan / Case - MidiTower 300w / Memory - RAM 256 Mb DDR PC2700 / HDD - 40 GB 7200 rpm / CD-ROM - 52X / Video - Dual Head TV Out / Keyboard / Speaker / Mouse - scroll+ Optical / Floppy - 3.5" 1.44 MB / Monitor - CRT 17" / UPS - 600VA Smart	1
4	არქივისა და ბანკის კომპიუტერები: P4 2.0 512kb 800Mhz S478 / Cooler / Motherboard - i865 Lan / Case - MidiTower 400w / Memory - RAM 512 Mb DDR PC2700 / HDD - 80 GB 7200 rpm / CD-ROM - 52X / CD-RW - 52x24x52 / Video - 64 Mb DDR / Keyboard / Speaker / Mouse - tscroll+ Optical / Floppy - 3.5" 1.44 MB / Monitor - 17" / UPS - 600VA Smart	3
5	ინტერნეტ-საფოსტო სერვერი: P4 2.4e 1024kb 533 Mhz S478 / Cooler / Motherboard - i865 / Lan 10/100/1000 x 2/ Case - MidiTower 400w / Memory - RAM 512 Mb DDR PC2700 x 2 / HDD - 80 GB 7200 rpm / CD-RW - 52x24x52 / DVD±RW - 8x / Video - 64 MB / Keyboard / Mouse - scroll+ Optical / Speakers / Floppy - 3.5" 1.44 MB / Monitor - 17" LCD TFT / (CPU Switch for 2 PCs (2*VGA(F) + 2*Keyboard PS/2(F) + 2*Mouse PS/2(F)) - w/ autoscan non-manual) x 2 / (Switch Cable M-F, 2 m. VGA(M)+PS/2(M)+PS/2(M) - VGA(F)+PS/2(M)+PS/2(M)) x 2 / Storage - SATA 160 GB x 2 / UPS - 1000VA Smart	1
6	საოფისე კომპიუტერები (ბრტყელი თხევად კრისტალიანი მონიტორებით): 2.4 128 K S478 / Cooler / Motherboard - i865 Lan / Case - MidiTower 300w / Memory - RAM 256 Mb DDR PC2700 / HDD - 40 GB 7200 rpm / CD-ROM - 52X / Video - 64 Mb DDR / Keyboard / Speaker / Mouse - scroll+ Optical / Floppy - 3.5" 1.44 MB / Monitor - LCD 17" / UPS - 600VA Smart	10
7	საოფისე კომპიუტერები: 2.4 128 K S478 / Cooler / Motherboard - i865 Lan / Case - MidiTower 300w / Memory - RAM 256 Mb DDR PC2700 / HDD - 40 GB 7200 rpm / CD-ROM - 52X / Video - 64 Mb DDR / Keyboard / Speaker / Mouse - scroll+ Optical / Floppy - 3.5" 1.44 MB / Monitor - CRT 17" / UPS - 600VA Smart	33
8	პორტატიული კომპიუტერი NoteBook: 2.5 128K / 256 MB / 30 GB / VGA 64MB / 14.1" / DVD / FM / LAN / USB /WinXP	1
9	პორტატიული კომპიუტერი NoteBook სამონტაჟო დანიშნულების: P4 2,8 GHz / HDD 60 Gb IDE / 512 MB DDR / SVGA AGP 64 Mb / DVD ± RW / IEEE 1394 with Cable	2
10	ვებ-სერვერის უსაფრთხოებისათვის ავტომატური კოპირების მოწყობილობებიc კლმპლექტი: HDD – IDE 160 GB 7200 rpm 8 MB x 2, Raid - IDE Raid x 1	1
11	კომპიუტერებისა და ქსელების აქსესუარების კომპლექტი: Net Card - 10/100 - x 15, Power Protector - SurgeProtector 5x - x 50, Switch - 16 port 10/100 (power inside) - x 5, Cable - UTP, box - x 7, Connectors - RJ-45 - x 240, Cable - Electro 2x2.5, m - x 200, Cable Holder - Cable Holder №3, box - x 8	1
12	PC-ში ვიდეოსიგნალის შემყვან-გამომყვანი მოწყობილობა (Encoder) - DV In\Out 1x4 Pin, 1x6 Pin / Analog In\Out S-Video (Mini DIN4 pin)x1, Composite (BNC)x1, Y (BNC)x1, B-Y (BNC)x1, R-Y (BNC)x1	1
13	სკანერი ფერადი - A4	4
14	ლაზერული პრინტერები შავ-თეთრი: A4, 1200dpi, 19ppm, 16mb, LPT/USB	7
15	უწყვეტი კვების წყარო (UPS) - 5 კვტ	3
16	უწყვეტი კვების წყარო (UPS) - 10 კვტ	1
17	უწყვეტი კვების წყარო - UPS SMART, 1000 VA	1
	IV ლოტი	
1	ორმხრივი პროფესიონალური პორტატიული რაციები: არხების ტევადობა - 16, კვება - 7.5 ვ აკუმულატორი, გადამცემ-მიმღების სიხშირეები - VHF: 136-174 MHz / UHF: 403-470 MHz	23
2	ყურსასმენი მიკროფონით (გარნიტურა) რაციებისათვის	5

შესყიდვის ობიექტებია:

ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

ტენდერში გამარჯვებულების მიერ აღნიშნული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მიერ წინასწარ განსაზღვრული საქონლის მოცულობისა და მიწოდების გრაფიკის შესაბამისად, ზემოთ ჩამოთვლილ მისამართებზე ცხრილის მიხედვით.

ტენდერში .მონაწილეობის მსურველებმა სატენდერო კომისიას 'სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" კანონის შესაბამისად საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოუდგინონ ქართულ ენაზე (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილ უნდა იქნეს ინგლისურ ენაზე, ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმნის დართვით) 2004წ. 23 აგვისტოს 11 საათიდან 27 აგვისტოს 18 საათამდე შემდეგ მისამართზე: თბილისი, კოსტავას 68 ოთახი № 341.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიული პირებისთვის:

– ცნობას საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

– ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

– ცნობას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ ტენდერში მონაწილეობის მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ არიან ნასამართლევი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

ფიზიკური პირებისთვის:

– ცნობას, შესაბამისად უფლებამოსილი ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ იგი ქმედუნარიანია;

– ცნობას, შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ იგი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის.

– ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

საკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის საქმოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე.

ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირი გაიკვლის საკვალიფიკაციო შერჩევას, დასახელებულ იქნება პრეტენდენტად მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა საკვალიფიკაციო დოკუმენტს და ისინი არ აღმოჩნდება ყალბი.

ტენდერო დოკუმენტაცია შედგენილი ქართულ ენაზე პრეტენდენტებს გადაეცემათ მათ მიერ სატენდერო მოსაკრებლის (500ლ.) გადახდის შემდეგ, 2004 წლის 3 სექტემბრის 10 საათიდან 10 სექტემბრის 18 საათამდე მისამართზე – ქ.თბილისი. კოსტავას ქ. №68, ოთახი № 341 – სსიპ საქტელეგადიო-მაუწყებლობა.

პრეტენდენტის სატენდერო წინადადებები უნდა შედგეს ცალკეული ლოტების მიხედვით. ტენდერში შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით გამოიყენება გარანტირების მექანიზმი (დეტალური ინფორმაცია ასახულია სატენდერო დოკუმენტაციაში).

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ საკონტაქტო პირს – ზამთარაძე ნათია. ტელ: 33-23-64 ან იხილეთ ვებ გვერდზე **www.geotvr.ge**

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მცენარეთა დაცვის სამსახური, ქ. თბილისი, 0162, ჭავჭავაძის გამზ. 82, ტელ: 22-04-18, 23-54-29; აცხადებს ღია ტენდერს ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეძენაზე:

1. პიკაპის ტიპის მაღალი გამავლობის ავტომობილი – 2 ერთეული;

2. მაღალი გამავლობის ავტომობილი – 2 ერთეული;

ტენდერში გამარჯვებულის მიერ აღნიშნული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს 2004 წლის განმავლობაში შემსყიდველის მიერ წინასწარ განსაზღვრული საქონლის მოცულობისა და მოწოდების გრაფიკის შესაბამისად, პირობით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მცენარეთა დაცვის სამსახური, ჭავჭავაძის გამზ. № 82.

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა სატენდერო კომისიის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის შესაბამისად, საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილ უნდა იქნეს ინგლისურ ენაზე, რომელსაც აუცილებლად უნდა ახლდეს ქართულ ენაზე თარგმანი. ნოტარიულად დამოწმებული) შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 82, მცენარეთა დაცვის სამსახური, 2004 წლის 23 აგვისტოს 10 სთ-დან 25 აგვისტოს 17 სთ-მდე.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიული პირებისთვის:

— ცნობას საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ — შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან; ქართულ ენაზე თარგმანი ნოტარიულად დამოწმებული);

— ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ ტენდერში მონაწილეობის მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ — შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან; ქართულ ენაზე თარგმანი, ნოტარიულად დამოწმებული);

— ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ — შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან; ქართულ ენაზე თარგმანი, ნოტარიულად დამოწმებული);

ფიზიკური პირებისთვის:

— ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ იგი ქმედითუნარიანია;

— ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

— ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

საკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე.

ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირი გაიკვლის საკვალიფიკაციო შერჩევას, დასახელებული იქნება პრეტენდენტად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა საკვალიფიკაციო დოკუმენტს და ისინი არ აღმოჩნდება ყალბი.

სატენდერო დოკუმენტაცია პრეტენდენტებს მიეცემათ ქართულ ენაზე, ამა წლის 3 სექტემბრიდან 6 სექტემბრის 17 საათამდე, მცენარეთა დაცვის სამსახურში, თუ იგი შესულია სატენდერო კომისიის მიერ დამტკიცებულ პრეტენდენტთა სიაში და გადახდილი ექნება სატენდერო მოსაკრებელი 500 ლარის ოდენობით.

სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება ამა წლის 10 სექტემბრის 14 საათზე.

პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები შესაძლებელია შეიცავდეს, როგორც შესყიდვის ყველა ობიექტს, ასევე ცალკეული შესყიდვის ობიექტს. შეფასება მოხდება შესყიდვის ობიექტების მიხედვით. ტენდერში შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ: მცენარეთა დაცვის სამსახური, ქ. თბილისი, ჭავჭავაძის პრ. 82, ტელ: 22-04-18; 23-54-29, ლ. ყანჩაველი.

პარასკევი
6 აგვისტო

7

07.55 მოამბე **08.10** "ღამის მოამბე" გამეორება **09.00, 12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **09.10** მულტსერიალი "სიმბა-ფეხბურთელი" **09.40** იმღერე რამე **10.10** სერიალი "**ბორიგი მსხვერპლი**" **11.00** სერიალი "**ფსიქფაქტორი**" (12) **12.15** ტელესერიალი "**სოლედადი**" **13.00** სერიალი "**ფორსაიტების საგა**" **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.15** დოკ. ფილმი "ეგვიპტოლოგიის პიონერები" **15.20** სერიალი "**რეაფეხა-9**" **16.00** მოამბე ინგლისურ ენაზე **16.05** სერიალის გაგრძელება **16.25** მულტსერიალი "სიმბა ფეხბურთელი" **16.55 ფეხბურთი**. "თბილისი"- ფოთის "კოლხეთი". შესვენებისას "ვესტნიკი" **19.00** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.05** სერიალი "**სოლედადი**" **22.00** სტუმრად მსახიობთა სტუდიაში **00.00** ვიდეოფილმი "საქართველო მე-20 საუკუნე" **00.20** კონცერტი **01.30** მხ. ფილმი "**ნივთმტკიცება**"

2

19.00 მულტფილმი "პაპირუსის თავგადასავალი" **19.30** სერიალი "**ეშმაკუნა**"(ბ) **21.00** დოკ. სერიალი "ჩემი საყვარელი ოჯახი" **21.30** აფხაზეთის ტვ. **22.00** მხ. ფილმი "**ჩრდილოეთის ვარსკვლავი**" (15)

3

07.30 დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეიპუცები" **09.40** სერიალი "**შურისძიება**" **11.00** სერიალი "**უკდავი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.50** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.20** მხ. ფილმი "**სიჩქარის ზონა**" (ბ) **15.25** სერიალი "**სასწრაფო**" **16.30** სერიალი "**ალფი**" **17.05** სერიალი "**მაშველები**" **18.20** "ტელეიპუცები" **18.55** "დისკავერი" **19.45** სერიალი "**შურისძიება**" **22.00** ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად **23.00** სერიალი "**სოპრანოს კლანი**". **00.00** მხ. ფილმი "**უკანასკნელი იმპერატორი**". მთ. რ-ში: ჯონ ლოუნი, ჯოან ჩენი (18). **03.05** მხ. ფილმი "**სურვილების ბაბა**"

0

18.00 მხ. ფილმი "**აპაანაძეა**" **19.50** დოკ. ფილმი **21.00** კონცერტი **22.30** მხ. ფილმი "**ნისლიანი სანაპირო**" (12)

ORT

07.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00 ქრონიკა **07.15, 11.05, 13.15, 16.40, 17.20, 03.05** იმედის მელოდიები **08.30** ანიმაციური ფილმი "მითიური მეგობრები" **09.10** სერიალი "**რელიკვიების მაძიებელი**" **10.10** სერიალი "**ბაუფები**" **11.25** "ათენიდან ათენამდე" (მუ-5 გადაცემა) **12.10** სერიალი "**კლონი**" **13.25, 02.35 ბმ**-მარკეტი **14.05** სერიალი "**ჩანაფრები ფერლოკ პოლმსზე**" **15.15** ქალთა საკალათბურთო ასოციაცია **17.00, 18.00, 19.00, 21.30, 22.00, 02.15** ქრონიკა **17.25** ანიმაციური ფილმი "მითიური მეგობრები" **18.05** სერიალი "**ბაუფები**" **19.35** სერიალი "**კლონი**" **20.30** სერიალი "**ჩანაფრები ფერლოკ პოლმსზე**" **21.40** ა. ცქვიტინიძის მოდების ჩვენება (მოსკოვი) **23.00** "პირველები" **23.00** "ათენიდან ათენამდე" (მუ-6 გადაცემა) **00.05** მხ. ფილმი "**აპი ძალ-ლი**"

09.00 მზერა დღის ბოლოს **10.00 09.00** მზერა დღის ბოლოს **10.00** სერიალი "**ველური მთავარ**" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10, 20.50** მინისერიალი "**ბერაუსების დინასტია**" **12.10, 21.45** დეტ. სერიალი "**ინსპექტორები**" **13.10** მხ. ფილმი "**ცუდი კომპანია**" (ენგმონი პოპკინსი) (ბ) **15.10** სერიალი "**ბარის ვილია**" **16.00, 17.00, 18.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **16.10** სერიალი "**ფერიების ქვეყანა**" **17.10** მულტსერიალი "რედვოლი" **17.35** მულტსერიალი "მეხანძრე ძაღლები" **18.10** დოკ. სერიალი "ელექტრონული ამბები" **19.00** სერიალი "**ველური მთავარ**" **22.45** არჩევანის ზღვარზე **00.00** მხ. ფილმი "**მონოლინი**"

MUSIC

13.00 მუსიკა **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** სერიალი "**მილედი**" **24-25** ს. **19.20, 21.00** სპეციალური **00.30** მუსიკა

IST

07.20 პოპ. ად. ათეული **08.00** ტოროლა **11.00** ქართული მუსიკა **13.00** ინფორმატორი **14.10** მუსიკა **16.00** მუსიკა **17.00, 19.15** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** მუსათეული **22.35** პაპარაცი **23.15** სოლო **02.00** "ბრავო" **03.45** პაუზის გარეშე

202

10.00 მულტფილმი **12.00** მხ. ფილმი "**რონინი**" (ბ) **14.00** მუსიკა **15.00** მხ. ფილმი "**ბაოლინელი ხის კაცი**" (ჩეკი ჩანი) (ბ) **17.00** სპ. ფილმი **19.00** სერიალი "**მუსკულები**" (ბან.) **20.00** მხ. ფილმი "**ნიმოელი კლანები**" (ველ კილმერი) (ბ) **22.00** სერიალი "**მუსკულები**" **22.20** ნიკა ქავთარაძის ანეგდოტები **22.30** შიშველი სიმართლე **22.40** ი. საღინაძის "კენო" **22.45** დებატები **202**-ზე **00.00** მხ. ფილმი "**ბრწყინვალება**"

◎ მემკვიდრეობა

რა ელის არმაზისხევს

დღეს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის სავალალო ბედის შესახებ ბევრმა იცის. ბოლო წლებში მათი მოვლის, დაცვისა და განახლება-გადარჩენის სურვილიც რომ ყოფილიყო, საამისო არათუ სახსრები, არამედ მართვის სისტემები და სათანადო საკანონმდებლო სივრცეც არ იყო. არადა, მდგომარეობა ძალზე მძიმეა, ჩვენი უნიკალური, არქეოლოგიური ნიმუშები დიდი ხანია, შველას ითხოვენ.

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ გადაწყვიტა, რომ ეს სიმართლე არ შენიღბოს, წარმოაჩინოს რეალური ვითარება და ყოველი ძეგლის გადარჩენისათვის მიმართული მუშაობა ღია გახადოს მასმედიისათვის, მოქალაქეებისათვის და მიიჩნევს, რომ ძეგლთა გადარჩენისთვის ფართო საზოგადოებრიობის მონაწილეობა აუცილებელია.

სამინისტროს მცხეთა-მთიანეთის სამხარეო აღმინისტრაციასთან, მცხეთის რეაბილიტაციის ფონდთან, ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმთან, გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტთან, მცხეთის არქეოლოგიის ინსტიტუტთან ერთად იწყებს არმაზისხევის ისტორიული კომპლექსის რეაბილიტაციის პროგრამაზე მუშაობას.

დიახ, მცხეთით იწყებს, რადგან განუზომელია ისტორიული ძეგლებით ამ უმდიდრესი ქალაქის მნიშვნელობა. როგორც ცნობილია, მცხეთის დასავლეთით მდებარე არმაზისხევში, ძველად ქართლის პიტიახშთა სამოსახლოში 1937-46 წლებში არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილმა ძეგლებმა – სასახლეებმა ზღურბლიანი დარბაზით, უნიკალურმა აბანომ, სამარხებმა, ლაპიდარულმა წარწერებმა, იშვიათმა ქვის ფონდმა ამ ორმოცდაათი წლის წინათ საველე მუზეუმის სახე მიიღო. მაგრამ რას წარმოადგენს იგი დღეს?

კულტურის სამინისტრომ ჟურნალისტებს სამუალება მოგვცა დაგვეთვალიერებინა კომპლექსი, რომელიც ისეა გაჩანაგებული და გავერანებული, რომ გული გიმძიმდება. ჭერჩამოქცეულ და მინებჩამსხვრეულ ნაგებობაში მოთავსებულ უნიკალურ ექსპონატებს, ქვის ფონდს აწვიმს და ნამსხვრევებად ქცეული ნაგავშია შერეული, დამგვრეულია თაბაშირის მულაჟები, მიწითა და ეკალ-ბარდებით არის დაფარული საპიტიახშოს წრის სამარხები, ძეძვებს დაუფარავს მშვენიერი სერაფიგას სამარხიც. უძველესი, II-III საუკუნეების რომაული სტილის აბანოს, მართალია, კაპიტალური გადახურვა შეუნარჩუნებია, მაგრამ უყურადღებოდ დარჩენილი ზოგი ნაწილი ქვა-ღორღს ამოუვსია, ჩამოშლილია არმაზის ბილინგვის, ორენოვანი ეპიტაფიის ასლი... ერთი სიტყვით, უმძიმესი მდგომარეობაა.

არმაზისხევის კომპლექსს მალე საუკეთესო, კვალიფიკაციური სპეციალისტების ჯგუფი ეწვევა. სამინისტრო სარეაბილიტაციო პროექტის (ავტორები ვახტანგ საგინაშვილი და რუსუდან მეგულიშვილი) ორ ეტაპად განხორციელებას ვარაუდობს. პირველ ეტაპზე სპეციალისტები ქვების ფონდის მესწავლას და სარეესტრო მუშაობას შეუდგებიან. ექსპონატებს სხვადასხვა მუზეუმში მიუჩენენ აღგილს. აქ კი მხოლოდ ის განძი დარჩება, რაც პიტიახშთა ნაქალაქარიდან არის მოპოვებული. მოიხსნება მტკვრის მხარეს აღმართული კედელი, რომლიდანაც არმაზისხევის უმშვენიერესი პეიზაჟები და კალაუბანი იფარება, მას ფანჩატურები შეცვლის. პირველივე ეტაპზე, დაახლოებით, ერთ ჰექტარამდე ტერიტორია მოსუფთავდება მწვანე საფარისგან და მიწაყრილებისგან. სამეცნიერო-საკონსულტაციო ჯგუფს სათავეში ჩაუდგება არქიტექტორი მალხაზ ლეკვეიშვილი.

შემდეგ ეტაპზე დაიწყება აბანოს რკინა-ბეტონიანი გადახურვის დემონტაჟი, რომელიც „ჭამს“ ამ უნიკალურ ძეგლს. იგი მსუბუქი კონსტრუქციის გადახურვით შეიცვლება. ამავე ეტაპზე აიგება ქვათა ფონდის დამცავი ნაგებობა.

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის მოადგილის ნიკა ვაჩეიშვილის თქმით, მომავალში I-IV საუკუნეების ეს უმნიშვნელოვანესი კომპლექსი ღია ცის ქვეშ ექსპონირებული ძეგლის სახეს მიიღებს და იგი კულტურული მემკვიდრეობით მდიდარ ტურისტულ აგგილადაც უნდა იქცეს. ძეგლი ერთ-ერთი მთავარი უაქტორი უნდა გახდეს ქალაქის განახლების ფართო კონტექსტში.

როგორც ამ საქმის მოთავეები გვპირდებიან, პირველ შედეგებს რვა თვის შემდეგ ვიხილავთ.

რუსუდან მუხიგულაშვილი.

სურათებზე: ასეთი იყო აბანოს ის ნაწილი, რომელიც ამჟამად ქვა-ღორღით არის ამოვსებული; ასე, შედარებით უკეთესად გამოიყურებოდა რამდენიმე წლის წინათ არმაზისხევის კომპლექსის ქვის ფონდი. დღეს იგი ჩამოქცეული და დამგვრეულია.



◎ გზას გვილოცავენ

საქართველოში საბერძნეთის ელჩის მიმართვა საქართველოს ოლიმპიური გუნდის ათენის 2004 წლის ოლიმპიურ თამაშებზე გამგზავრებასთან დაკავშირებით

საქართველოში საბერძნეთის ელჩი, ქალბატონი კონსტანტინა მავროსკენლიდუ ათენში ოლიმპიური თამაშების გამართვასთან დაკავშირებით მიესალმება ქართულ ოლიმპიურ გუნდს და წარმატებებს უსურვებს მათ.

ელჩმა განაცხადა, რომ საბერძნეთმა ყველანაირი ღონე იხმარა, რათა გამორჩეულად უსაფრთხო და ლამაზი ოლიმპიური თამაშებისათვის ემასპინძლა.

ასე რომ, სპორტსმენები, რომლებიც საბერძნეთში მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან ჩავლენ, შეძლებენ მთელი მონდომებით ჩაერთონ პატიოსნ ასპარეზობაში.

ქალბატონი ელჩი დარწმუნებულია, რომ ჩვენი სპორტსმენები კარგად მომზადებულები და ნიჭიერები არიან და დამაჯერებლად აიღებენ სტარტს. საბერძნეთი მათ სიყვარულით მიიღებს და გვჯერა, რომ ისინი 2004 წლის ოლიმპიური თამაშებიდან გამარჯვებულები დაბრუნდებიან, – დასძინა დიპლომატმა.

◎ ევროტურნირები

„პროგრესი“ აშკარაა

პრაკოვის „ვისლამ“ ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო რაუნდში ჰუმანიტარული დახვედრა მოუწყო და სათადარიგო შემადგენლობით მხოლოდ 3:0 მოუგო თბილისის „ვიტ ჯორჯიას“. როგორც ვხედავთ, მწვრთნელის გამოცვლამ ვეტერინარებზე სასიკეთო გავლენა იქონია – გუნდი პოლონეთში გაცილებით „ღირსეულად“ გამოიყურებოდა ვიდრე საკუთარ მინდორზე (2:8).

დანარჩენი შედეგები

ცსკა – „ნეფთჩი“ 2:0 (0:0).
„მაქაბი“ (თელ-ავივი) – ჰიკ 1:0 (0:0)
„შახტარი“ – „პიუნიკი“ 1:0 (3:1),
„ტრაბზონი“ – „სკონტო“ 3:0 (1:1),
„შერიფი“ – „რუსენბორგი“ 0:2 (1:2),
„დინამო“ (ბუქარესტი) – „ეილინა“ 1:0 (1:0),
„კოპენჰაგენი“ – „გორიცა“ 0:5 (2:1),
„ფერენცვაროში“ – „ტირანა“ 0:1 (3:2),
„შელბურნი“ – „ჰაიდუკი“ 2:0 (2:3),
„სპარტა“ – „აპოელი“ 2:1 (2:2),
„კაუნასი“ – „იუგორდენი“ 0:2 (0:0),
„ცრვენა ზვეზდა“ – „იანგ ბოიზი“ 3:0 (2:2),
„ლოკომოტივი“ (სოფია) – „ბრიუგე“ 0:4 (0:2).

III საკვალიფიკაციო ეტაპი
10-11 და 24-25 აგვისტო
„გრაცერი“ – „ლივერპული“,
„იუვენტუსი“ – „იუგორდენი“,
„ფერენცვაროში“ – „სპარტა“,
„რუსენბორგი“ – „მაქაბი“ (ჰაიფა),
„ლევერკუზენი“ – „ბანიკი“,
ცსკა – „გლაბგო რეინჯერსი“,
„შახტარი“ – „ბრიუგე“,
„დინამო“ (კიევი) – „ტრაბზონი“,
„ცრვენა ზვეზდა“ – „ეინდჰოვენი“,
„დინამო“ (ბუქარესტი) – „მანჩესტერი“,
„ბაზელი“ – „ინტერი“,
„ბენფიკა“ – „ენდერლეხტი“,
„დეპორტივო“ – „შელბურნი“,
პაოკ – „მაქაბი“ (თელ-ავივი),
„გორიცა“ – „მონაკო“,
„ვისლა“ – „რეალი“.

ინტერტოტის თასი
ნახევარფინალი
„სლავენი“ – „ლილი“ 1:1 (0:3),
„ნანტი“ – „ლიბერეეი“ 2:1 (0:1),
„ჰამბურგი“ – „ვილიარეალი“ 0:1 (0:1),
„ატლეტიკო“ – „ოფკ 2:0 (3:1),
„ლეირია“ – „გენკი“ 2:0 (0:0).
„შალკე“ – „ესბიერგი“ 3:0 (3:1)

ფინალი
10 და 24 აგვისტო
„ლილი“ – „ლეირია“,
„შალკე“ – „ლიბერეეი“,
„ვილიარეალი“ – „ატლეტიკო“.

◎ ფეხბურთი

ტირასპოლი – ტრაბზონი: ტრანზიტის წინ

ახალი სეზონის პირველ ამხანაგურ მაგჩებს საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებები 18 აგვისტოს დნესტრისპირეთის დედაქალაქ ტირასპოლში მოლდოველებთან გამართავენ. გუშინ სფფ-ში მოწყობილ პრესკონფერენციაზე გუნდების თავკაცებმა ის შემადგენლობები დაასახელეს, ტრაბზონში თურქებთან (4 სექტემბერი) და თბილისში ალბანელებთან (8 სექტემბერი) „მუნდიალ – 2006“-ის შესარჩევი რაუნდის სასგარგო შეხვედრების წინ გენერალურ რეპეტიციას რომ გაივლიან.

ეროვნული ნაკრები

ლომაია, დევაძე, მჟავანაძე, კალაძე, ხიზანიშვილი, ხიზანეიშვილი, კვარაცხელია, კვირკველია, ამისულაშვილი, ასათიანი, ჯამარაული, ცქიტიშვილი, კობიაშვილი, ბურდული, მუჯირი, გოგუა, იამშვილი, დემეტრაძე, ალექსიძე, ჯაკობია. მწვრთნელი – ალენ ქირესი.

ახალგაზრდული ნაკრები

თორთლაძე, ბალაძე, შეყრილაძე, ციმაკურიძე, იმედაშვილი, ლომიძე, დათუნაიშვილი, კაშია, ელიავა, ბურნაძე, მარცვალაძე, კანკავა, ჭელიძე, ალადაშვილი, ხოჯავა, გურული, მოდებაძე, ებანოიძე, გრიგალაშვილი. მწვრთნელი – გოჩა ტყემბუჩავა.

ბუნებრივია, განსაკურებული ინტერესი „ჯვაროსანთა“ ფრანგი მესაჭის შემოთავაზებულმა კანდიდატურებმა გამოიწვია და ჟურნალისტებმაც კითხვებით „დასეტყვეს“ მუსიე ჟირესი. აი, მისი პასუხები.

– ეს გახლავთ ოპტიმალურთან მიახლოებული შემადგენლობა, თუმცა არაა გამორიცხული მასში გარკვეული კორექტივების შეტანა. რაც შეეხება ცალკეულ ფეხბურთელებს, მოგახსენებთ შემდეგს: **გიორგი ნემსაძე** ამჯერად იმიგომ არ გამოვიძახეთ, რომ მან ახლახან მოიშუშა ტრავმა და „დინამოს“ მიერ უეფას თასზე ბელორუსიის „ბატესთან“ მოგებული თამაშები გამოგოვა, ჩემი პრინციპი კი ეროვნული ჩემპიონატის მონაწილეთაგან მხოლოდ ძირითადი შემადგენლობის წევრთა მიწვევას ითვალისწინებს. მართალია, ამ ეტაპზე **შოთა არველაძეც** „დავასვენეთ“, რაც მისი სუსტი ფუნქციონალური მზადყოფნითაა გამოწვეული, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს მასზე საბოლოოდ უარის თქმას. მინდა დაგამშვიდოთ, რომ არც **გოგა გახოკიძეს** ვივიწყებთ, სფფ-დან გაგზავნილი ფაქსების შემდეგ უეფამ 10-მაგჩიანი დისკვალიფიკაცია 3 შეხვედრამდე შეუმცირდა. როგორც დაკვირდით, გვყავს ორი დებიუტანტი – **გოგიტა გოგამ** ეს პაგიები ისრაელ თანაგოლთა წინააღმდეგ ახალგაზრდულ ნაკრებში კარგი თამაშით დაიმსახურა, **ლაშა ჯაკობიას** კი რეკომენდაცია მისი ახალანდელი კლუბის – ხარკოვის „მეტალისტის“ მწვრთნელმა გენადი ლიტოვჩენკომ გაუწინა – „მაგ ბიჭმა გოლების გატანა დაიწყო და შეგიძლიათ ენდოთო“. სხვათა შორის, ჩემი თვალთახედვის არეში სხვა ნიჭიერი ახალგაზრდებიც არიან მოქცეულნი, მაგალითად დინამოელი **ჯაბა კანკავა.** მათ ვურჩევ, ნუ აუვარდებათ თავში პრესის ეპითეტები, ეროვნული ნაკრების კარს კი თავის დროზე გავუხსნით. დავძენ, რომ გუნდი ე. წ. ჩამშლელის დეფიციტს განიცდის მინდვრის ცენტრში, თუმცა უცელელი რჩება ჩვენი მიზანი – შესარჩევი ქვეჯგუფიდან გასვლა.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

◎ ზაფხული – 2004

სად გაირუჯე, ქეთი? - აქვე, „ლაგუნა-ვერეზე“

ასეთი კითხვა-პასუხი მოვისმინე ამ დღეებში თბილისში.

ახალგაზრდებს უყვართ მზეზე გარუჯვა, განსაკუთრებით – ზღვის ნაპირზე. აჭარის კურორტებს და სასტუმროებს, მოგეხსენებათ, უამრავი ხალხი მიაწყდა. ბევრი ჩამსვლელი არცთუ კეთილმოწყობილ კერძო სახლს ქირაობს, რადგან იცის, რომ „ოთხ კედელში“ მხოლოდ დასაძინებლად თუ შევა, სხვა დროს კი – პლაჟი და მისი ჯანი!

კარგია, აგვისტოს პაპანაქებაში ღღეების ზღვაზე გატარება. ეს ცნობილია, მაგრამ განა ყველას აქვს შესაბამისი დრო და ფული? ჰოდა, თბილისში დარჩენილებსაც ხომ უნდა შევუქმნათ იმის შეგრძნება, რომ წყალსა და მზეს აქაც იპოვიან, აგგილზე – თუნდაც თბილისის ზღვაზე, კუს ტბაზე და, ბოლოს, სპორტულ კომპლექსს „ლაგუნა-ვერეზე“.

აბა, ნახეთ ამ ღღეებში ჩვენი ფოტოკორესპონდენტის ჯემალ კასრაძის გადაღებული სურათები. ეს უამრავი ქალ-ვაჟი სწორედ აქ, „ლაგუნა-ვერეს“ „ზღვაზე“ ისვენებს და იკაქუბს ჯანმრთელობას. თბილისური „ზაგარიც“, როგორც ირკვევა, არაფრით ჩამოუვარდება ბათუმისას. და ეს სიამოვნება არცთუ ძვირი უჯდებათ აქ მომსვლელებს.

კომპლექსის დირექციამ შეიმუშავა შემსახურების (ზაფხულის) ნიხრი, რომელიც იქვეა გამოკრული. რა თქმა უნდა, გაგეთში მისი სრულად დაბეჭდვა, აგგილსაც დიდს წაიღებდა და დროსაც. ამიგომ ვიტყვით მხოლოდ: დროდადრო მომსვლელთათვის მომსახურება 7 საათიდან 1 საათით 3 ლარი ღირს, აბონენტთა მფლობელებს (ვინც 12-ჯერ მობრძანდება) უფრო იაფი უჯდებათ სიამოვნება – სულ 35-დან 60 ლარამდე. მომხმარებლებს აქ თავაზობენ 2-საათიან მომსახურებასაც (5 ლ.), კვირაობითაც, სხვადასხვა საათებში. ერთი სიტყვით, არცთუ ძვირად მიიღებთ ყოველივე იმას, რასაც ევროპული დონის აუზები სთავაზობენ აზიის და მომთხოვნ კლიენტებს.

აქვე შეგიძლიათ ინვენტარით სარგებლობა. 25 თეთრად ჩამოსრიალდებით ჰიდროგრაქციონით, 2 ლარად ითამაშებთ მაგიდის ჩოგბურთს (30 წთ), შეგლონგის გამოყენებაც 2 ლარი დაგიჯდებათ.

დაუმატეთ ამას აქ არსებული იდეალური სისუფთავე, მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, იქვე არსებული სხვადასხვა ტრენაჟორი, კაფე-სასადილო და ბევრი სხვა სიკეთე, რომელიც ასე ალამაზებს და ახალისებს ჩვენს დინამიურ და დამღლელ ყოველდღიურობას.

მამ ასე, ქეთიმ გადაწყვიტა, აქვე ვაატაროს აგვისტოს ცხელი ზაფხული, იცურაოს და გაირუჯოს კიდეკეთილი და პატიოსანი. ჩვენ მხარს ვუჭერთ ქეთის არჩევანს.

ანდრო ბარძაია.
ჯემალ კასრაძის ფოტო.



◎ წყალბურთი

ფრე – პირველ შეხვედრაში

თურქეთის ქალაქ ისტამბულში დაიწყო ახალგაზრდა წყალბურთელთა საერთაშორისო ტურნირი ისიპოლის თასზე. შეჯიბრებაში რვა გუნდი მონაწილეობს – მათ შორის საქართველოს ნაკრები (ფაქტობრივად, „ლაგუნა ვერე“). სოსო მაისურაძის შეგირდებმა ჯგუფში პირველი შეხვედრა სერბეთ-ჩერნოგორიის გუნდთან ფრედ – 7:7 დაამთავრეს. ქართველი წყალბურთელები თავიდან დაწინაურდნენ, შემდეგ მეტოქემ იძალა. ბოლო წამებზე ზურაბ რურუამ წონასწორობა აღადგინა. პირველ მაგჩში ქართველთაგან 3 გოლი ილია ბუტიკაშვილმა გაიტანა, ორი – ზურაბ რურუამ, თითო – მიხეილ ბაღათურიამ და ნოდარ რაფავამ.

საქართველოს ნაკრები ისტამბულში ასეთი შემადგენლობით გამოდის: თორნიკე თოდაძე, სანდრო ნამორაძე, გუჯა ქენქაძე, გურამ კოტარია, გიორგი ახვლედიანი, ნოდარ რაფავა, ილია ბუტიკაშვილი, მიხეილ ბაღათურია, გიორგი ბიბილეიშვილი, ზურაბ რურუა, გიორგი ცირეკიძე, ტატა ნიკოლეიშვილი, გივი კიღურაძე, გიორგი სტურუა, ალექსანდრე რეხვიაშვილი, მწვრთნელები – სოსო მაისურაძე და ირაკლი გოშაძე.

გუშინ საღამოს ჩვენი ბიჭები რუსებს შეხვდნენ. მაგჩი გვიან დამთავრდა.

გიორგი გაგუა.

◎ ყოველი მხრიდან

ვინ დაეუფლება აზიის თასს?

ეს მხოლოდ ხვალ, პეკინში გადაწყდება, როდესაც ფეხბურთში აზიის თასის ფინალში ერთმანეთს ჩინეთისა და იაპონიის ნაკრებები დაუპირისპირდებიან.

შეიძლება ითქვას, რომ როგორც მთელმა ტურნირმა, დაძაბულად, უკომპრომისო ბრძოლაში ჩაიარა ნახევარფინალურმა მაგჩებმაც. ბაჰრეინიაპონიის მაგჩში თავიდან ყველაფერი პირველების სასარგებლოდ წარიმართა და გაიმიც მათ მოიგეს ხუბაილის გატანილი ბურთით. მეორე გაიმის დასაწყისში იაპონელებმა (ისინი ენდოს გაძევების გამო 10-ნი დარჩნენ) უმალ გაათანაბრეს ანგარიში (კ. ნაკატა) და წინაც გაიჭრნენ (თამადა), შემდეგ ისევ ხუბაილმა ივაჟკაცა (2:2), რასაც ნასერის გოლი მოჰყვა (3:2), 90-ე წუთზე კი ნაკაძავამ ისევ აღადგინა წონასწორობა – 3:3.

ყველაფერი დამატებითი დროის პირველ წუთებზე გადაწყდა, როცა თამადა მხრებზე ჩამოკიდებული ორი მცველით საჯარიმოში შეიჭრა და ბრწყინვალე გოლი გაიტანა.

ჩინეთი-ირანის შეხვედრა კი თერთმეტმეტრიანების სერიამდე მივიდა, პირველი გაიმი ფრედ – 1:1 – დამთავრდა. ცვლილებები ვერც მეორე გაიმმა და დამატებითმა დრომ შეიტანა (0:0, 0:0).

მსაჯმა, რომელიც ვითომდა ტრავმირებულ შაო ცზიანის „ანკესზე“ წამოეგო და ირანელი ზარე გააძევა, შემდეგ წითელი ბარათი აჩვენა უკვე შეცვლილ ალავის არბიტრის სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის.

თერთმეტმეტრიანების სერიაშიც ორივე გუნდი თანაბრად მიდიოდა, მაგრამ ბოლო პენალტი ირანელმა გოლმოჰამადიმ ისე უგერგილოდ დაარტყა, რომ ლიუ იუნფეიმ იოლად მოიგერია და ეროვნულ გმირად იქცა.

დღეს მესამე ადგილისათვის ერთმანეთს ირანისა და ბაჰრეინის ნაკრებები შეხვდებიან.

სურათზე: ჩინეთი-ირანი. ირანის ნაკრების მცველი ჰუსეინ კაები (მარცხნივ) ჩინელთა მცველის სუნ სიანის წინააღმდეგ.

საქმიო საზოგადოება „თბილგაზი“ აცხადებს კონკურსს საფინანსო სამმართველოს უფროსის (მთავარი ბუღალტერი) ვაკანტური ადგილის დასაკავებლად.

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ საქართველოს მოქალაქეებს, რომელთაც აქვთ უმაღლესი ეკონომიკური განათლება და მთავარ ბუღალტრად მუშაობის არანაკლებ 5 წლის სტაჟი.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:

განათლების დამადასტურებელი მოწმობა, ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, ავტობიოგრაფია და პირადობის მოწმობის ასლი.

დოკუმენტების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2004 წლის 11 აგვისტოს 18 საათი. მისამართზე, ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ. 18ა. სს „თბილგაზის“ აღმინისტრაციული შენობა, კადრების განყოფილება.

გასაუბრება კონკურსანტებთან ჩატარდება 2004 წლის 12 აგვისტოს 15 საათზე.

კონკურსი ჩატარდება 2004 წლის 13 აგვისტოს 15 საათზე.

სს „თბილგაზის“ აღმინისტრაცია.

განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

1. სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო აცხადებს ღია ტენდერს და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

ლოტი 1. სხვადასხვა სახის ავტოსათადარიგო ნაწილების შესყიდვაზე;

ლოტი 2. სხვადასხვა სახის ავტოსატრანსპორტო საშუალებების სერვისი.

2. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 19 აგვისტოდან 24 აგვისტოს ჩათვლით, მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო, 9 აპრილის ქ. №4.

3. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

3.1. იურიდიული პირებისთვის:

ა) ცნობები სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი ლიკვიდაცია ან რეორგანიზაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობა ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის ყადაღა დადებული;

გ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

3.2. ფიზიკური პირებისთვის:

ა) ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია.

ბ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ ტენდერში მონაწილეობის მიღებისას იგი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ ყოფილა მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

გ) ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

3.3. როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირებისთვის:

ა) ბანკიდან – რომ ანგარიშზე ერიცხებათ გარკვეული თანხა და არა აქვთ დავალიანებები;

ბ) საგადასახადოდან – რომ ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხებათ დავალიანებები;

4. დაინტერესებული პირები ვერ გაივლიან საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ ისინი ზევით აღნიშნულ ვადებში არ წარმოადგენენ მე-3 მუხლში ჩამოთვლილ ცნობებს და ინფორმაციას, ან რომელიმე წარმოდგენილი ცნობა ან ინფორმაცია აღმოჩნდება ყალბი.

5. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს **500 ლარის** ოდენობის საატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ არა უგვიანეს **2004 წლის 30 აგვისტოსა,** შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, 9 აპრილის ქ. №4.**

6. საატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: **ზაზა სადაღაშვილი, ტელ. 99-64-61, 899-10-05-36.**

სატენდერო კომისია.

1. უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან

საქართველოს რესპუბლიკა
№ 181. პარასკევი. 6 აგვისტო. 2004 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალბომი

ექელას რაიმე აქვს სახსოვარი

ქართველ საზოგადო მოღვაწეთა ერთი ჯგუფი ექვთიმობის დღესასწაულზე სოფელ ლიხაურში.
გადაღებულია 1985 წელს.

მოგვაწოდა წამალთმცოდნე სოკრატ სალუქვაძემ.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა. ტელ: 99-66-10.

◎ ცოტაც გავილიმოთ...

— მითხარით, ექიმო, სიცხე მალე დამიწევს?

— დიახ, პატივცემულო, საღამოსთვის ოთახის ტემპერატურა გექნებათ.

* * *

— ექიმო, ორი პრობლემა მაქვს.

— რიგ-რიგობით გამაცანით.

— იცით, ექიმო, ნამდვილი სქესობრივი გიგანტი ვარ. დილით სამჯერ მაქვს სექსი ცოლთან, მერე სამსახურში — მდივან ქალთან, სადილობაზე ერთ საყვარელთან მივდივარ, ნასადილევს — ჩემი მოადგილის მდივანთან, სამსახურის შემდეგ — მეორე საყვარელთან, საღამოს კი კვლავ ცოლთან მაქვს სექსი.

— თქვენ სქესობრივი გიგანტი კი არა, უბრალოდ, სექსუალური მანიაკი ყოფილხართ. ახლავე გამოგიწერთ დამაწყნარებელს. მეორე პრობლემა რომელია?

— ოი, ექიმო, მე ისეთი ფანტაზიორი ვარ...

* * *

ქმარი — ცოლს:

— კი, მართალია, დაქორწინებამდე ოქროს მთებს დაგპირდი, მაგრამ სარეცხის მანქანაზე საუბარი არ გვქონია.

* * *

— რით განსხვავდება შვედური მაგიდა რუსულისგან?

— შვედურ მაგიდასთან შეიძლება ისე დანაყრდე, რომ განძრევა გაგიჭირდეს, რუსულთან კი ისე დათვრე, რომ მოძრაობა ვერ შეძლო.

* * *

— ვივახშმოთ საღამოს?

— საერთოდ, საღამოობით მე ისედაც მუდამ ვვახშმობ.

* * *

— ეს რა კოშმარული წამალი მომიტანეთ? — ეკითხება ავადმყოფი მედდას.

— ეს წამალი კი არა, თქვენი სადილაა!

* * *

— მამა, შეიძლება საღამოს შენი მანქანით ვისარგებლო?

— ოჰ, შე ზარმაცო, ფეხები რისთვისღა გაქვს?

— ერთი ფეხი — გადაბმულობის პედლისთვის, ერთიც — მუხრუჭისა და გაზისთვის.

◎ გულგრილობა

კიბესთან დადარაჯებული სიკვდილი

ადამიანის სიკვდილი ყოველთვის შემაძრწუნებელია, მაგრამ როდესაც დიდების უყურადღებობისა და გულგრილობის გამო ბავშვი იღუპება, შეძრწუნება პიკს აღწევს.

17 ივლისს, ქ. რუსთავში, ნიკოლაძის ქ. №5-ში მდებარე საერთო საცხოვრებლის სარდაფში 7 წლის ელმარ ნაბიევი დაიხრჩო.

თვითმხილველთა თქმით, ბავშვები ეზოში თამაშობდნენ. ელმარი მივიდა წყალთან, რომელიც თითქმის სადარბაზოს შესასვლელამდე იყო ამოსული...

თამაშში გართულმა პატარებმა ბავშვი ამჩნიეს, რომ მათი ამხანაგი აღარ დაბრუნდა. მეზობლებმა ბავშვი იქვე სარდაფის ჩასასვლელთან დამხრჩვალი იპოვეს. გვამის ამოღება თოხებით და ჯოხებით ძლივს მოახერხეს.

შენობა, სადაც ბავშვი დაიღუპა, ფაქტობრივად, წყალში დგას. ორ მეტრზე მეტი სიღრმის სარდაფი წყლით და საყოფაცხოვრებო ნარჩენებით პირამდეა სავსე. ამას ისიც ემატება, რომ წყალში მოქცეულია ელექტროსადენებიც. იოლი წარმოსადგენია სადენების ვარგისიანობა, რომლებიც წლების განმავლობაში წყალშია (ალბათ ამიტომაც გაჭირდა გვამის ამოღება). აღვილი შესაძლებელია წყალი დაელექტროებულიც იყოს. ყველაზე გამაოგნებელი კი ის არის, რომ კორპუსში, სადაც ასეთი საშიში სადარბაზო შესასვლელია, 44 ოჯახი ცხოვრობს.

არსებული სიტუაციის გამო კომენტარი ვთხოვეთ სს „აზოგის“ სოციალურ საკითხთა სამმართველოს უფროსს ХОНІ რუხაძეს.

— ნიკოლაძის №5-ში მდებარე საერთო საცხოვრებელი საექსპლუატაციოდ 1966 წელს გადაეცა. თითქმის მაშინვე დაიწყო სარდაფში წყლის დაგროვება. ეს ტერიტორია გრუნტის წყლებით მდიდარი აღმოჩნდა. დავაყენეთ წყალსაქაჩი, რომლის მეშვეობითაც სისტემატურად ამოვქაჩავდით ხოლმე წყალს. ვინაიდან საერთო საცხოვრებელი საწესდებო კაპიტალში არ გვქონია და, უბრალოდ, მხოლოდ ჩვენს ბალანსზე იყო, არაერთხელ ვთხოვეთ ქალაქის მერიას, თავის ბალანსზე გადაეტანა იგი, მაგრამ უშედეგოდ.

დროთა განმავლობაში აღგილობრივმა მცხოვრებლებმა წყალსაქაჩი სისტემა გაძარცვეს და ჯართში ჩააბარეს. სარდაფში ჩასასვლელი კარი მოხსნეს და დაწვეს, შემდეგ გაკეთებული რკინის ცხაურიც მოიპარეს. მართალია, ხალხს უჭირს, მაგრამ, არა მგონია, საკუთარი თავის გაძარცვა რამეს შეელოდეს.

საერთო საცხოვრებელში დღისათვის 44 ოჯახი ცხოვრობს. მათგან მხოლოდ 16 მუშაობს „აზოგში“, დანარჩენი ლტოლვილები და მიუსაფარი ადამიანები არიან, ჩვენ მათ არავითარ გადასახადს არ ვახდევინებთ. უფრო მეტიც, პერიოდულად ვარემონტებთ შენობას (შევაკეთეთ სახურავი, ვცვლით პირველი სართულის იატაკს და ა. შ.). სახანძრო განყოფილება სისტემატურად ამოქაჩავს წყალს, თუმცა, წვიმის შემდეგ სარდაფი ისევ მალე ივსება. რაც შეეხება კონკრეტულ ფაქტს, რა თქმა უნდა, ძალიან დასანანია ბავშვის დაღუპვა. მართალია, ისინი ქარხანაში არ მუშაობენ, ჩვენ მაინც გავუწიეთ შესაბამისი მატერიალური დახმარება, ვინაიდან უკიდურესად გაჭირვებული, უმამაკაცო ოჯახია.

დღეისათვის მერიამ მოგვცა თანხმობა ამ შენობის მის ბალანსზე გადატანის თაობაზე. მანამდე ვაპირებთ შესაძლებლობის ფარგლებში შევაკეთოთ ის.

მართალია, დღეისთვის უკიდურესი სოციალური სიდუხჭირეა, მაგრამ არაფრით არ არის გამართლებული კორპუსებისადმი ამ შენობის მკვიდრთა გულგრილი და დაუდევარი დამოკიდებულება. ხომ შეიძლებოდა სარდაფის შესასვლელის მაინც ისე ჩაკეტვა, რომ ბავშვებისთვის შეუღწეველი ყოფილიყო? ამას არც ბევრი ხარჯი სჭირდებოდა და არც ბევრი შრომა (მით უმეტეს, კარები არაერთხელ ყოფილა გაკეთებული), უბრალოდ ცოტაოღენი პასუხისმგებლობა და მონდომება იყო საჭირო. არადა, სიკვდილი იქვე, კიბეებთან არის დადარაჯებული და მორიგ მსხვერპლს ელის.

ყველაფერს გულხელდაკრეფილი ველოდებით. დროა, იქაური მცხოვრებნი, სანამ ვეიან არ არის, თვითონაც გაიარჯონ საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად.

თამარ ტატიკაშვილი.

◎ გიხარიდენ!

ილია, ლუკა და მაია

— „ამ:ალ:ელ: ორი ვაჟკაცი გეგზრდებოდა, ახლა კი გოგონაც შემოგვემატა, გუშინ, 4 აგვისტოს მე და ჩემს მეულლეს თამარს გოგონა შეგვეძინა; ისეთი გოგოა, კალმით ნახატი. ხომ დაბეჭდავთ მისი დაბადების შესახებაც თქვენს კარგ გაზეთში?“ ასეთი „განცხადება“ გააკეთა რედაქციაში მოსულმა ახალგაზრდა კაცმა ვანო გვრიტიშვილმა. ბიჭებმა — 5 წლის ილიამ და 3 წლის ლუკამ დაიკოს მაია დაარქვეს.

მესამე შვილის შეძენას ვულოცავთ თამარს და ვანოს. სახარული და ბედნიერება უმრავლოთ ღმერთმა.

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

◎ ჩვენი მემატიანე

გაცრეცილი ფურცლებიდან დანახული წარსული

„საქართველოს რესპუბლიკა“ — მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
სამშაბათი, 6 აგვისტო, 1918 წელი №11

კანონი: სახალხო მილიციისა და ადმინისტრაციისა

1. სოფლად წესების დასაცავად, ყოველ სოფლის საზოგადოებაში დაარსდეს მუდმივი სასოფლო მილიცია: ერთი სასოფლო კომისარისა და ხუთი მილიციონერისაგან შემდგარი...

... მილიციისათვის საჭირო თანხა ცხრა მილიონ შვიდას ოცდასამი ათას ექვსასი (9.723.600) მან. მიღებული იქნას სახელმწიფო ხაზინიდან, ხოლო შემოღების შემდეგ მომავალი წლის იანვრის პირველიდან, ნაწილი ამ ხარჯებისა გადაეცემა ერობას“.

„მიეწოდოს მთავრობას საჭიროების მიხედვით მოახდინოს ნაწილობრივი, ან სრული ლიკვიდაცია საქართველოს ტერიტორიაზე დარჩენილი რუსეთის, კავკასიის, ამიერკავკასიის საერთო დაწესებულებების და მათი აღგილობრივი განყოფილებებისა, არა უგვიანეს 1918 წლის დეკემბრის პირველსა“.

F160 4456

საქართველოს რესპუბლიკა

ფასი ერთი კაპიკი

საქართველოს მთავრობის ორგანო

№ 1 — 6 აგვისტო, 25 ივლისი 1918 წ. — № 1

„საქართველოს რესპუბლიკა“

დაევალოს მთავრობას ყოველი ასეთი ლიკვიდაციის გამო სათანადო კანონპროექტი წარმოედგინოს საქართველოს ეროვნულ საბჭოს, არა უგვიანეს ერთი თვისა ამა თუ იმ დაწესებულებების სრული ან ნაწილობრივი ლიკვიდაციისა.

ლიკვიდაციისათვის საჭირო ხარჯი გაღებულ იქნას ათი მილიონი ფონდიდან“.

კანონი ძალაში შედის დღიდან მიღებისა“.

1918 წელი, 2 აგვისტო

ეროვნული საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი — **ე. თაყაიშვილი**

რესპუბლიკის მთავრობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე — **ნ. რამიშვილი.**

პრესის მიმოხილვა

„დაშნაკელების ორგანო „ჰორიზონი“ გაკვეთილად იყენებს ჯუღაშვილის მიერ რაჭის ბოლშევიკებისადმი გაგზავნილ წერილს.

ამ ერთი კვირის წინ ყველა აღგილობრივ გაზეთებში დაიბეჭდა ის წერილი, რომლითაც მიმართა სტალინ-ჯუღაშვილმა, ეროვნებით ქართველმა რაჭის ბოლშევიკებს; ჯუღაშვილი სთხოვდა მათ, შეეწყვიტათ ყოველივე გამოსვლა დამოუკიდებელი საქართველოს ნორჩი მთავრობის წინააღმდეგ.

რასაკვირველია პირველი შეხვედრისთანავე გაგიკვირდება, რომ ბოლშევიკი ჯუღაშვილი თხოულობს მენშევიკურ მთავრობის წინააღმდეგ გამოსვლების შეწყვეტას, მაგრამ თუ ობიექტურად ჩავუკვირდებით ამ გარემოებას, დავინახავთ, რომ აქ არაფერია ამაღელვებელი და განსაცვიფრებელი. ამ წერილით თვით ცხოვრება მეტყველებს ცოცხალი ენით, გრძნობითა და გონებით, ეს წერილი ბუნებრივი გამოსახულებაა ქართველური სისხლის და ფსიქოლოგიის, რაც ქართველ ჯუღაშვილს კიდევ შერჩენია, ინტერნაციონალი ინტერნაციონალია, მაგრამ სამშობლოც სამშობლოა...

ჩვენ რასაკვირველია განცვიფრებაში არ მოვუყვანივართ ჯუღაშვილის წერილს, ეს წერილი დიდს არა, ბუნებრივს რასმე არ წარმოადგენს, დამახასიათებელია ბატონ ჯუღაშვილისთვის, რომელიც ამას წინათ ბრძანებას სცემდა — საქართველოს პური არ მისცეთო... მაგრამ ის კი მართალია, რომ „ჰორიზონისებრი“ თქმაა; თითქოს სამშობლოსა და ინტერნაციონალის გარჩევა მხოლოდ მათ იციან...

... მაუმიანი რაგომ არ გაახსენდა გაგეთს?... მოიგონეთ ის დეკრეტი, რომელიც მან ოსმალეთის სომხეთის შესახებ გამოსცა — როცა განსაკუთრებული უფლებებით აღჭურვილი კომისრის ფირმანით შემობრძანდა თბილისში!

ჩვენი შემეცნებით სამშობლო და ინტერნაციონალი ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება — მათ სინთეზს კი მხოლოდ დემოკრატიული აზროვნება და დემოკრატიული მოქმედება ახდენს“. (IV გვერდი „ს. რ.“ №11, 6 აგვისტო).

ახალი ამბები

„4 ივნისს ღამით ბათუმიდან თბილისში სტუმრად ჩამოვიდა კავკასიის ფრონტზე ოსმალების ჯარების მთავარსარდალი ხალილ-ფაშა ამალით. თბილისში დარჩება რამდენიმე დღე. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ბ. ხალილ-ფაშას საქართველოს ღედაქალაქში ჩამოსვლა ხელს შეუწყობს საქართველოსა და ოსმალეთს შორის სადაო პოლიტიკის სასურველად გადაწყვეტას, კეთილ-მეზობლურ დამოკიდებულების განმტკიცებას მომავალში“.

* * *

„ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებიდან მრავალი ლტოლვილი გადმოვიდა“.

* * *

„დაევალოს სასურსათო მინისტრმა გამოარკვიოს აღერბეიჯანის წარმომადგენლებთან მოლაპარაკებით გაარკვიოს, სურთ თუ არა შეასრულონ ხელშეკრულება შაქარისა პურზე გაცვლის შესახებ და რა ვადებში შეუძლიათ პურს მოცემა“.

(ამონაწერი მთავრობის დადგენილებიდან).

* * *

„საქართველოს ზვრებისა და სავენახე გამგეობაში დიდძალი ღვინო დაიკვეთეს ავსტრო-უნგრეთის, ბულგარეთისა და რუმინეთის მთავრობებმა“.

რუბრიკას უძღვება
ცისანა სიხარულიძე.

◎ სენსაცია?!

სიახლე სარძევე ჯირკვლის კიბოს დიაგნოსტიკაში

ამ ცოტა ხნის წინათ რუსეთში გაჩნდა სარძევე ჯირკვლის მდგომარეობის უსაფრთხო დიაგნოსტიკისა და დაავადების აღრეულ სტადიებში ზუსტი დიაგნოზის დასმის შესაძლებლობა. რუსი მეცნიერების უახლოესი ნამუშევრის — მამოსცინტიგრაფიის გამოყენებით, მედიკოსებს შეუძლიათ, დასვან დიაგნოზი მაშინ, როცა თვით სიმსივნე, პრაქტიკულად, ჯერ კიდევ „ჩანასახის“ დონეზეა. ძნელია, გადაჭარბებით შევაფასოთ ეს აღმოჩენა, თუ გავითვალისწინებთ, რომ საქმე ეხება ყველაზე გავრცელებულ ავთვისებიან დაავადებას — სარძევე ჯირკვლების კიბოს, რომელიც ყოველი ცხრა ქალიდან ერთს აქვს. ეს მეთოდი უკვე გამოიყენეს პრაქტიკაში მოსკოვის კიბერნეტიკული ინსტიტუტის კლინიკაში. გაზეთ „მოსკოვსკი კომსომოლეცის“ კორესპონდენტი ესაუბრა კლინიკის ექიმ-მამოლოგს ნიკოლოზ აღაჯანოვს:

— რაში მდგომარეობს აღრეული დიაგნოსტიკის მეთოდი?

— იგი ეფუძნება Fe59 რკინის პრეპარატის თვისებას, რომელიც შერჩევითად გროვდება ავთვისებიანი სიმსივნეების ქსოვილებში. სპეციალური გადამწოდები არეგისტრირებენ Fe59 პრეპარატის დაგროვებას ქსოვილებში, რომლებიც გარს ერტყმიან ავთვისებიან სიმსივნეს. მიღებულ ინფორმაციას ავტომატურად ამუშავებს კომპიუტერი და გამოსცემს მას მონიტორზე. გამოკვლევის შედეგების მიხედვით ექიმს შეუძლია ზუსტად იმსჯელოს ორგანიზმში სიმსივნის არსებობის შესახებ, ერთმანეთისგან განასხვავოს ავთვისებიანი და კეთილთვისებიანი სიმსივნეები.

— რამდენად უსაფრთხოა დიაგნოსტიკა?

— გამოკვლევა აბსოლუტრად უმტკივნეულო, კომფორტული და უსაფრთხოა. დიაგნოსტიკის მეთოდიკა მოიწონა რუსეთის ფედერაციის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ.

— როგორ მიმდინარეობს თვით გამოკვლევა?

— ექიმის კონსულტაციის შემდეგ გამოსაკვლევი პირი იღებს Fe59 რკინის პრეპარატის 1-2 აბს. დიაგნოსტიკა ხორციელდება მომდევნო დღეს სპეციალურ დანადგარზე. პაციენტი ჯდება სავარძელში ისე, რომ მისი სარძევე ჯირკვლები მოთავსდეს სპეციალურ ფოსოებში. ეს სპეციალური გადამწოდებია, რომლებიც არეგისტრირებენ Fe59 პრეპარატის დაგროვებას. 15 წუთის შემდეგ შედეგი მზად იქნება და ექიმები გამოიტანენ დასკვნას სარძევე ჯირკვლების მდგომარეობის შესახებ.

— ქალებისათვის კიდევ რა გამოკვლევების შეთავაზება შეუძლია თქვენს კლინიკას?

— სრული სპექტრის: სარძევე ჯირკვლების რადიოთერმომეტრია, ფარისებრი ჯირკვლის, სარძევე ჯირკვლების, საშვილოსნოსა და საკვერცხეების საჰჯერადი ულტრაბგერითი დასხივება.

ხსოვნა

თენგიზ ნაჭყებია

აფხაზეთის ტრაგედიამ კიდევ ერთხელ შეგვახსენა თავი. წავიდა ჩვენგან ნიჭიერი, განათლებული, ენერგიით სავსე ახალგაზრდა, სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული პიროვნება, აფხაზეთიდან დევნილი, აფხაზეთში საომარი მოქმედებების აქტიური მონაწილე, საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის აფხაზეთის ფილიალის დირექტორი **თენგიზ გალაქტიონის ძე ნაჭყებია.**

თენგიზ ნაჭყებია დაიბადა 1960 წლის 10 ოქტომბერს ქ. გაგრაში აფხაზეთში ცნობილი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწის გალაქტიონ ნაჭყებიას ოჯახში. 1977 წელს სოხუმის შ. რუსთაველის სახელობის №1 საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში და მიიღო ელექტროკავშირგაბმულობის ინჟინრის სპეციალობა.

1983-85 წლებში მუშაობდა სოხუმის საგელეფონო-საგელეგრაფო სადგურში ტონალური საამქროს ინჟინრად, 1985-87 წლებში — სოხუმის კომკავშირის ქალაქკომის საორგანიზაციო განყოფილების ინსტრუქტორად; 1987-88 წლებში — აფხაზეთის კავშირგაბმულობის სამმართველოს წამყვან ინჟინრად ტელეგრაფიის დარგში, 1988-89 წლებში იყო აფხაზეთის კავშირგაბმულობის სამმართველოს ოპერატიული მართვის განყოფილების უფროსი, 1989-92 წლებში — სოხუმის ფოსტამტის მთავარი ინჟინერი.

1992-93 წლებში აფხაზეთში საომარი მოქმედებების დაწყების ღღიდან ლეიტენანტი თენგიზ ნაჭყებია იყო 23-ე ბრიგადის მე-3 ბატალიონის რიგითი, ოცეულის მეთაური, ასეულის მეთაური. პირადად მონაწილეობდა ძალზე მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო საომარი ოპერაციების განხორციელებაში.

ბობოქარი სულის პატრონი, იგი ვერ შეურიგდა მისი საყვარელი სოხუმისა და აფხაზეთის დაცემას. აფხაზეთში სწრაფად დაბრუნების მტკიცე იმედით, იგი 3 თვე იმყოფებოდა კოდორის ხეობის დამცველთა რიგებში. შემდეგ მუშაობა დაიწყო ქ. თბილისის სამხედრო კომენდატურაში. მას მჭიდრო საქმიანი კავშირები ჰქონდა ავტონომიური რესპუბლიკის ძალოვან სტრუქტურებთან. ყოველთვის მზად იყო მათი თანადგომისათვის, ცხოვრობდა მათი ცხოვრებით. განსაკუთრებით ეს გამოიკვეთა 1998 წელს გალის ტერიტორიაზე დაგრიალებული ტრაგედიის დროს. მებრძოლის თვისებებთან ერთად იგი იყო მიმტევებელი და დიდსულოვანი.

1996 წლიდან 1998 წლამდე მუშაობდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე. 1998 წლიდან იყო საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის აფხაზეთის ფილიალის დირექტორი. ყველგან, სადაც კი უმუშავნია, მან დაგოვა თავისი ღრმა კვალი, როგორც პროფესიონალმა, განათლებულმა და საქმისადმი განსაკუთრებული პასუხისმგებლობით გამორჩეულმა პიროვნებამ.

თენგიზ ნაჭყებიას ახასიათებდა განსაკუთრებული სითბო და გულისხმიერება გასაჭირში მყოფ თანამემამულეთა, აფხაზეთის ომის ვეტერანთა, დაღუპულთა ოჯახების მიმართ.

უკურნებელმა სენმა იმსხვერპლა ჯერ კიდევ ახალგაზრდის სიცოცხლე. მიუხედავად საქართველოს მთელი ჯანდაცვის სისტემის, საპენსიო ფონდის, მეგობართა, ახლობელთა ძალისხმევისა, მას ვერ ასცდა სიკვდილის მსახვრალი ხელი.

წავიდა ჩვენგან გულანთებული მამულიშვილი, სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული პიროვნება, რომელსაც უარეტენზიოდ, ყოველგვარი ხმაურის გარეშე შეეძლო თავი მიეგანა მის სამსხვერპლოზე, რაც არაერთხელ დაუმტკიცებია ომის დროს თუ მის შემდეგ. წავიდა და თან წაიღო მშობლიური კუთხის მონატრება, აუხდენელი ოცნება სოხუმის ლაჟვარდი ცისა და ზღვის ნახვისა.

წავიდა და დაგოვა დიდი ტკივილი დედის, ოჯახის, მეგობრების, თანამშრომლების გულში.

ნათელი ეფინოს მის სულს. მსუბუქი იყოს მისთვის ქართული მიწა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო;
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო და მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აქტიური საზოგადო მოღვაწე, ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ყოფილი პასუხისმგებელი მუშაკი, აფხაზეთის ომის ვეტერანი, სახელმწიფო ჯილდოების კავალერი, საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის აფხაზეთის ფილიალის დირექტორი

თენგიზ გალაქტიონის ძე ნაჭყებია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო.
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის აფხაზეთის ფილიალის დირექტორის, აქტიური საზოგადო მოღვაწის, აფხაზეთის ომის ვეტერანის

თენგიზ ნაჭყებიას

გარდაცვალებასთან დაკავშირებით შექმნა დამკრძალავი სახელმწიფო კომისია შალვა წულეისკირის თავმჯდომარეობით.

გარდაიცვალა აქტიური საზოგადო მოღვაწე, ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ყოფილი პასუხისმგებელი მუშაკი, აფხაზეთის ომის ვეტერანი, სახელმწიფო ჯილდოების კავალერი, საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის აფხაზეთის ფილიალის დირექტორი

თენგიზ გალაქტიონის ძე ნაჭყებია

პანაშვიდი 8, 9 VIII. მისამართი — დიღმის მასივი, მე-6 კვ. მე-14 კორპ. დაკრძალვა 10 VIII, გამოსვენება 15 საათზე ამაღლების გაძრიდან (საბურთალოს სასაფლაო).

თ. ნაჭყებიას დამკრძალავი სახელმწიფო კომისია.



შვილი იურა სანიკიძე, შვილიშვილები სოფიკო, გივი, რძლები ცირა ორმოცაძე, ეკა მამასახლისი, შვილიშვილები ანი, ელენე, ლაშა, ლუკა, ძმები ავთანდილი, რეზო, და თამარი, სიძეები კახა მეტრეველი, შალვა ჭელიძე, რძლები ლენა, ციალა, ძმისწულები, დისწულები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ზივი სანიკიძე

პანაშვიდი 6, 7 VIII, 17 სთ. დაკრძალვა 8 VIII, 15 სთ. მისამართი — მცხეთის II შეს. №8.

გოგი გულუა ოჯახით გამოხატავს ღრმა მწუხარებას და თანაუგრძნობს ვახტანგ და ანაგოლი თითმერიებს საყვარელი

დედის

გარდაცვალების გამო.

ენერგოეფექტურობის ცენტრი თანაგრძნობას უცხადებს მანანა დადიანს მამის

დავით დადიანის

გარდაცვალების გამო.

გარდაიცვალა

მაყვალა ალექსანდრეს ასული მელქაძე

პანაშვიდი 6, 7 VIII, 17 სთ. დაკრძალვა 8 VIII, 15 სთ. ყიფიანის II ჩიხი, №5.

მეულლე მზია, შვილები ზაზა, დემაგული, დები ეთერი, გოგოლა, სიძეები ავთო, ვახტანგი, გურამი, ცოლისდები ციალა, ციური, დისწულები და ძმისწულები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ზივი (ბიგლა) კარტოზია

დაკრძალვა 7 VIII, 15 სთ. მისამართი — ევდოშვილის ქ. №14.

რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!

საქართველოს რესპუბლიკა
Sakartvelos Respublika
გამომცემელი შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები.
მთავარი რედაქტორი **რუსლან რუსია.**
ნომრის მორიგე რედაქტორი **რუსუდან ლორთქიფანიძე.**

ინდექსი 66434, მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა: **sakresp@gol.ge**
ვებ გვერდი: **www.open.ge/sakartvelos-respublika**